

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 8 აგვისტო 1963


ელექტრონული ბიბლიოთეკა

გვირაბი, რომელშიც გაივლის ენგური.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 8 (145) აგვისტო, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

გზა სულ მაღლა და მაღლა მიიწევს, ხან ენგურის ციცაბო ნაპირებს გასდევს, ხან ბუჩქნარით დაფარულ ხეობებს მიუყვება, ხან კიდევ ფერდობებს სერავს და შორს, რუხი მთების იქით იკარგება.

და აი, უკვე ენგურჰესის მშენებლობაზე ვართ. მანქანას ვაჩერებთ და გვირაბისაკენ მიმავალ ბილიკს მივუყვებით.

გზის ასახვევთან საშუალო ტანის, ფაქიზად გამოწყობილ ახალგაზრდა ქალს წამოვეწიეთ. ნელი ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს პროსპექტზე მისეირნობსო. ცალ ხელში ფოტოაპარატი ეჭირა, მეორე ხელით კი თეთრად დაწინწკლულ ყელსახვევს მიაფრიალებდა.

ჩვენმა ფოტორეპორტიორმა აპარატი მოიმარჯვა, ნაბიჯს აუჩქარა, ქალს თვალი შეავლო და ჰკითხა:

— ეს გზა პირდაპირ გვირაბისაკენ მიდის?

— პირდაპირ იქით მიდის, — მიუგო ქალმა და მაშინვე ღიმილით დაუმატა, — გზის დაბნევის ნუ შეგეშინდებათ, მეც იქ მივდივარ.

რამდენიმე ხანს ჩუმად მივაბიჯებდით სიცხისაგან დახეთქილ ბილიკზე, ბოლოს ისევ ფოტორეპორტიორმა დაარღვია დუმილი:

— ალბათ ტურისტი ბრძანდებით?.. გვირაბის დასათვალიერებლად მიდიხართ, არა?

პასუხის გაცემას არც კი დაუცადა, ფოტოაპარატის ჩხაკუნით გზა გადაუჭრა ქალს და ხელის აწევით შესძახა:

— ნება მომეცით ჩვენი მეგზურის სურათი გადავიღო!..

ქალი შეჩერდა, ღიმილით გახედა აფუსფუსებულ ფოტორეპორტიორს და წყნარი ხმით უთხრა:

— ნუ აჩქარდებით, ენგურჰესის მშენებლობაზე იმდენ საოცარ და საინტერესო რამეს ნახავთ, რომ გირჩევთ აქედანვე დაიწყოთ ფირის დაზოგვა.



ისინი აშენებენ ენგურჰესს. მარცხნიდან მარჯვნივ — მჭედლები: გ. ახვლედიანი, ა. მურცხველაძე, შემდუღებელი ი. კულაკსიზოვი, მბურღავი გ. ტვალდიანი.

ფოტო თ. არჩვაძისა

ენგურჰესის პირველი რიგის ჰიდროელექტროსადგური კაშხლიდან თექვსმეტი კილომეტრის დაშორებით აიგება. ეს ჰესი მთლიანად მიწის ქვეშ იქნება მოთავსებული. კაშხალის ფსკერიდან 180 მეტრის სიმაღლეზე გაიჭრება გვირაბი. ამ გვირაბში წამოსული წყალი დიდი სიმაღლიდან დაეცემა მიწისქვეშა ჰესის ტურბინებს და აამუშავებს მათ.

მეორე რიგის ელექტროსადგური ე. წ. ვარდნილი ტიპისა იქნება, მისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით კი ენგურზე ერთმანეთის მიყოლებით სამი მძლავრი ახალი ჰიდროელექტროსადგური ჩარიგდება.

ამუშავების შემდეგ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მთელი კომპლექსი წელიწადში ერთი მილიონ შვიდასი ათას კილოვატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ეს კი იმდენი ელექტროენერგიაა, რამდენსაც ამჟამად ყოველწლიურად იმუშავებს ამიერკავკასიის ყველა ჰიდროელექტროსადგური.

* * *

გვირაბმშენის უბნის უფროსი მიხეილ აბზიანიძე გატაცებით გვესაუბრება მშენებლებზე, გვიყვება მათი ცხოვრებისა და საქმიანობის ამბავს. გვაცნობს მოწინავე ადამიანებს, რომლებიც მოუღლელად ებრძვიან პიტალო მთებს, გაჰყავთ გზები და გვირაბები, საფუძველს უყრიან მსოფლიოში არნახული კაშხალის აშენებას.

# ენგურის ხეობა

* * *

მართალი გვითხრა ჩვენმა „გზის გამკვლევმა“.

უკვე რამდენიმე საათია, რაც გულდასმით ვეცნობით ენგურჰესის მშენებლობას და აღარც კი ვიცით როგორ დავფაროთ ჩვენი გაოცება და აღტაცება.

აი ამ ადგილას, სამი მხრიდან მთებით შემოზღუდულ ხეობაში, სადაც შხუილით მოექანება ენგური, სულ მოკლე ხანში უზარმაზარ კაშხალს ააგებენ მშენებლები. ეს კაშხალი თავისი თაღოვანი ფორმით ერთადერთი უნიკალური ნაგებობა იქნება მთელს მსოფლიოში.

ენგურჰესის სამასმეტრიან კაშხალს რკინა-ბეტონის ნაცვლად მთლიანად სუფთა ბეტონისაგან ააგებენ. კაშხლის წვერთან ბეტონს რამდენიმე მეტრი სისქე ექნება, ქვევით და ქვევით იგი თანდათან გაფართოვდება.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ რა გრანდიოზული სამუშაოების ჩატარება მოუხდებათ კაშხალის მშენებლებს, შეიძლება ერთი ასეთი შედარება მოვიყვანოთ: „საქჰიდროელექტრომშენმა“ მთელი თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე მილიონ-ნახევარი კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხა, მარტო ენგურჰესის ასაგებად კი, სულ ცოტა, სამი მილიონი კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმა დასჭირდებათ.

მას შემდეგ რაც კაშხალი გზას გადაუღობავს ენგურს, მაქსანიის ხეობაში შეიქმნება უზარმაზარი საცავი, რომელიც თხუთმეტ მილიარდ კუბურ მეტრზე მეტ წყალს დაიტევს.

აქ აშენდება კაშხალი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი ერთი მათგანი! — ამბობს მიხეილი და ჯინსურში შემოსულ ქალზე გვანიშნებს, — გაიცანით, ჩვენი მოწინავე მშენებელი ნანული ცენტერაძე გახლავთ...

გაოცებით შევცქერით ახალგაზრდა ქალს, რომელსაც დაწინწკლული ქელსახვევი და ახალი ფოტოაპარატი უჭირავს ხელში. ბიჭოს! ეს ხომ ჩვენი „გზის გამკვლევია!"

— წავიდეთ, ადგილზე ვნახოთ ჩვენი მშენებლები, — გვეუბნება მიხეილი, — ალბათ ნანულიც წამოვა ჩვენთან, დღეს შესვენების დღე აქვს და ურიგო არ იქნება თავისი მეუღლის უბანი მოინახულოს...

სიტყვაძუნწი და მორიდებული ქალი გამოდგა ნანული. მივდივართ და თითო-ოროლა სიტყვას თუ დავაცდენინებთ თავისი მუშაობის შესახებ. სამაგიეროდ, მიხეილი სათქმელს ველარ ამთავრებს, შეუჩერებლად ჰყვება და ჰყვება ნანულის შრომისა და კაიქალობის ამბავს.

ნანული ცენტერაძე მშენებლებთან რვა წლის წინათ მოვიდა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ქალიშვილმა ლაჯანურჰესის მშენებლობას მიაშურა, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ორი წლის საწარმოო სტაჟი დაეგროვებინა.

ხალისიან შრომაში შეუმჩნევლად გაფრინდნენ წლები; ისე შეეწყო და შეეთვისა ნანული მშენებლობას, ისე შეუყვარდა შრომაში მოუღლელი მეგობრები, რომ ქალაქში დაბრუნება აღარც კი უფიქრია.

ლაჯანურჰესის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, სხვებთან ერთად, ნანულიმაც აიკრა გუდა-ნაბადი და ახლა ენგურჰესის მშენებლობას მიაშურა. მოვიდა, რომ ახალი გამარჯვებისათვის ჩაეყარა საფუძველი.

აქ, მშენებლობაზე, გაეცნო ნანული თავისი ცხოვრების თანამგზავრს. კაშხლის მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილე იური ცენტერაძესთან ერთად მტკიცე და ბედნიერი ოჯახი შექმნა.

სწავლა? არც სწავლის გაგრძელება დავიწყებია ნანულის, მოწინავე მშენებელმა და კარგმა მეოჯახემ აქაც ისახელა თავი, — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრეწველობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები.

ენგურჰესის მშენებლობაზე ნანულის მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანა დააკისრეს. იგი ყოველდღიურად გულმოდგინედ ამოწმებს და ადგენს მშენებლობისათვის განკუთვნილი ბეტონის ხარისხს. იცის ნანულიმ, რომ მის კარგ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საერთო წარმატება, რომ ბეტონის ხარისხის დადგენის დროს დაშვებულმა უმნიშვნელო შეცდომამ შეიძლება დიდი მსხვერპლი და ზარალი მოიტანოს.

— ნანული ცენტერაძე ყოველთვის პირნათლად უძღვება თავის საქმეს, — გვეუბნება მიხეილი, — არასოდეს არ მომხდარა, რომ მისი მიზეზით მუშაობა შეფერხებულიყო, რომ ნანულის მიერ ბეჭედდასმულ ბეტონს უსიამოვნება მიეყენებინოს მშენებლებისათვის.

შევცქერით მორცხვად თავდახრილ ქალს და სიამაყით ვფიქრობთ, რომ აი ასეთი თავმდაბალი, რიგითი საბჭოთა ადამიანები ახდენენ სასწაულებს.

შევცქერით და ვფიქრობთ, რომ ნანული ერთადერთი როდია ამ მშენებლობაზე, რომ მასავით გამრჯე ადამიანები მტკიცე საძირკველს უყრიან საქართველოს ენერგეტიკის სიამაყეს — ენგურჰესის მშენებლობას.

* * *

მაქსანიის ხეობაში მთელი დღე არ წყდება მშენებელთა საქმიანი ფუსფუსი.

მთელი დღე გუგუნებენ ხორთუმგაშვერილი ექსკავატორები და ამწეები. მოდიან და მოდიან ათასგვარი სამშენებლო მასალით დატვირთული ავტომანქანები.

გვირაბის მშენებლობა უკვე დასასრულს უახლოვდება. ცოტა კიდევ და ენგური იძულებული გახდება თავისი ძველი გზა შეიცვალოს: შმაგი მდინარე


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანული და მისი ბიჭუნა.

შხუილით შეიჭრება ამ უზარმაზარ გვირაბში და ადამიანებს შესაძლებლობა მიეცემათ კაშხალის მშენებლობა დაიწყონ.

ხეობას დროდადრო მძლავრი აფეთქების ხმა აზანზარებს, მთიდან მთას აწყდება გამაყრუებელი ექო.

ეს შუქრი მთვარაძის ბრიგადის წევრები აკეთებენ თავიანთ საქმეს: ქართველი გივი ახვლედიანი, რუსი ვლადიმერ ერიომინი, უკრაინელი ანატოლ პავლენკო, აზერბაიჯანელი მამედ სპირინჯიევი ნაცადი ხელით უბურღავენ გულს პიტალო კლდეებს.

გაივლის კიდევ ცოტა ხანი და ლაჯანურჰესის მშენებლობაზე ნაწრთობი ბიჭები: გიორგი ახვლედიანი, ამბროსი მურცხველაძე, ილარიონ კულაკსიზოვი, ილია ასლამაზოვი და სხვები მონდომებით შეებმებიან საქმეს. კაშხალის მშენებლობის დაწყებასთან ერთად, მიწისქვეშა ახალი გვირაბისა და მძლავრი ელექტროსადგურის მშენებლობასაც წამოიწყებენ...

ერთხელ კიდევ გულდასმით ვავლებთ თვალს მშენებლებით სავსე მაქსანიის ხეობას, ერთხელ კიდევ გულთბილად ვემშვიდობებით ამ შრომისმოყვარე ადამიანებს.

ის არის მანქანაში ვაპირებთ ჩასხდომას, რომ ფოტორეპორტიორი ისევ უღობავს გზას ჩვენს გვერდით მომავალ ნანული ცენტერაძეს.

— ნება მომეცით სურათი გადავუღო ენგურჰესის ერთ-ერთ მოწინავე ადამიანს.

რა გაეწყობა. ფოტოაპარატში კიდევ დარჩა ერთი კადრის გადასაღები ფირი და ნანულის აღარ შეუძლია უარი თქვას ამ თავაზიან თხოვნაზე...

გზა სულ დაბლა და დაბლა მიიწევს, ხან ენგურის ციცაბო სანაპიროს გასდევს, ხან ბუჩქნარით დაფარულ ხეობებს მოუყვება, ხან კიდევ ფერდობებს სერავს და შორს მთების იქით იკარგება.

მივდივართ და ისევ ენგურჰესის მშენებლებზე ვფიქრობთ, ვფიქრობთ იმ გიგანტურ ელექტროსადგურებზე, რომლებიც სულ მალე წამოიმართებიან მთებში და ელექტროენერგიის უწყვეტ ნაკადს მიაწოდებენ ჩვენს რესპუბლიკას.

ტ. ჯანიაშვილი



კლდის აფეთქება.

# მუდამ პარტიასთან ერთად, პარტიის ხელმძღვანელობით

ამას წინათ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებს და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში. მოხსენება ამ საკითხზე წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ.

მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა უნდა ემსახურებოდეს სკკპ პროგრამის განხორციელებისა და კომუნიზმის იდეალების გამარჯვების საქმეს. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ყველა მონაწილის გამოსვლას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, — აღნიშნავდნენ ორატორები, — დიდი მოვლენაა პარტიისა და ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სიამაყით ლაპარაკობდნენ ორატორები ჩვენს ლენინურ პარტიაზე — ხალხის ნაცად ბელადსა და ორგანიზატორზე, რომელსაც მტკიცედ უპყრია მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა.

„თანამედროვე ეტაპზე მთელს ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია,— აღნიშნავს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული აღმოფხვრა, პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ თვალსაზრისით განიხილა ჩვენი რესპუბლიკის მთელი ცხოვრება, ჩვენი ადამიანების მჩქეფარე შრომითი საქმიანობა, იდეოლოგიური ფრონტის ვითარება და დასახა კონკრეტული საბრძოლო ამოცანები პარტიული ორგანიზაციების წინაშე.

ამ საბრძოლო ამოცანების განხორციელებაში ჩვენმა პრესამ უდიდესი როლი უნდა შეასრულოს. პლენუმის გადაწყვეტილებანი აღძრავენ უაღრესად აქტუალურ საკითხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის სფეროში, რომლებიც თხოულობენ კომუნისტური პრესის ოპერატიულ ჩარევას; კერძოდ, ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი კულტურის ფრონტზე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოავლინა ნაკლოვანებები ჩვენი მწერლების, კომპოზიტორების, თეატრის მუშაკების, მხატვრების მუშაობაში, ჩვენი საგამომცემლო ორგანიზაციების, ჟურნალ-გაზეთების საქმიანობაში, მოგვიწოდა უფრო გაბედულად გარდავექმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საბჭოთა ხალხის მაღალი მოთხოვნილებების შესაბამისად.

პლენუმზე აღინიშნა, რომ „უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურაში აშკარად ისახება მისწრაფება ცხოვრებისეულ მოვლენათა ფართო მხატვრული განზოგადებისადმი, თანამედროვე ადამიანის მკაფიო დამახასიათებელი სახეების შექმნისადმი... ქართული ლიტერატურის სახელგანთქმულ ოსტატებთან ერთად აქტიურად შრომობენ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები და პროზაიკოსები“.

შესამჩნევი წარმატებები გვაქვს კულტურის სხვა სფეროებშიც, მაგრამ ეს სრულიადაც არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას. ჩვენში ჯერ კიდევ იწერება ნაწარმოებები, რომლებიც არასწორად, დამახინჯებულად ასახავენ სინამდვილეს. გამოდის უფერული, არაფრის მთქმელი წიგნები, რომელთა იდეური და მხატვრული დონე ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მაღალკულტურული მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

პლენუმზე აღინიშნა ჩვენი თეატრალური და კინოხელოვნების ნაკლოვანებანი, ცალკეული მცდარი ტენდენციები. ჩვენმა მხატვრულმა ინტელიგენციამ ეს კრიტიკა მიიღო როგორც პარტიის ზრუნვის ახალი გამოხატულება; ეს კრიტიკა საჭიროა ჩვენთვის როგორც ჰაერი, იგი რაზმავს ჩვენს ძალებს, რათა უფრო წარმატებით ვიბრძოლოთ მხატვრული შემოქმედების პარტიულობისა და ხალხურობისათვის, ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების კავშირის განმტკიცებისათვის, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის, იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც დასახა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ივნისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა — ჩვენი უწმინდესი და საპატიო მოვალეობაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“ და მიიღო ისინი განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. პლენუმის მონაწილეებმა აღუთქვეს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომუნისტები არ დაიშურებენ ძალღონესა და შრომას იმისათვის, რომ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მიაღწიონ იდეოლოგიური მუშაობის ახალ აღმავლობას.

პლენუმმა მიიღო აგრეთვე დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა მოწვეულ იქნას 1963 წლის 24 დეკემბერს.



# ჩვენი ძვირფასი სტუმრები



ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო სპექტაკლები: „დავით-ბეგი“, „ოტელო“, „სპარტაკი“, „არშაკ მეორე“, „ოიდიპოს მეფე“, „ანუში“, „ტრავიატა“ და სხვ.

გასტროლები დაიწყო ა. ტიგრანიანის ოპერა „დავით-ბეგით“. ამ ნაწარმოებს XVIII საუკუნეში გადავყავართ. აქ ნაჩვენებია, რომ ქართველი და სომეხი ხალხები მუდამ ერთად იყვნენ ჭირსა და ლხინში, ბრძოლაში და მშვიდობის დროსაც. ოპერაში წინა პლანზეა დავით ბეგი — საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის საყვარელი მხედართმთავარი, რომელიც ეთხოვება თავის სატრფოს თამარს და მიეშურება სომხეთში, რათა სათავეში ჩაუდგეს მოძმეებს, ირანელების წინააღმდეგ საბრძოლველად რომ ირაზმებიან. დავით ბეგის როლს ასრულებს სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ნაროვან ოვანესიანი, თამარის როლს — სსრ კავშირის სახალხო არტისტი თათევიკ საზანდარიანი.

ასევე დიდი წარმატებით დაიდგა „ოტელო“, „სპარტაკი“, „ოიდიპოს მეფე“, „ანუში“, „ტრავიატა“...

ბაქოს მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები თბილისში დაიწყო უ. აჯიბეკოვის ცნობილი დრამატული ოპერით „ქოროღლით“, ეს ოპერა აზერბაიჯანული მუსიკის შედევრია. ასევე შესანიშნავია უ. აჯიბეკოვის მეორე ოპერა „ლეილი და მეჯნუნი“. ამას გარდა, ბაქოს საოპერო თეატრმა თბილისში ჩამოიტანა და მაყურებელს უჩვენა „პიკის ქალი“, „გედების ტბა,“ „ლეგენდა სიყვარულზე“ და სხვ.

თბილისელი მაყურებლები არასოდეს არ დაივიწყებენ ერევნისა და ბაქოს საოპერო თეატრების გასტროლებს; ეს გასტროლები ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთესველი კეთილი თესლისა

ფოტო გ. თიკანაძისა

მზე ჯერ ამოწვერილიც არ არის მწვანედ აქოჩრილი მთების უბიდან, ჯერ კიდევ თვლემენ რიყრაყის ნისლში გახვეული ზვრები და ბაღები, როცა საგულდაგულოდ გარეცხილი და გაკრიალებული „კოლხოზნიკი" გუგუნით ჩაიქროლებს ხოლმე გურჯაანის მიძინებულ ქუჩებში. ღამის მორიგეები და დარაჯები კარგად იცნობენ მას. სხვა არა იყოს რა, უტიაშვილების შავტუხა სულხანი მაინც არ შეეშლებათ აქაურებს. მანქანა პარტკომის მდივნის გივი აზაურაშვილისაა; მასთან მუშაობა კი მხოლოდ ისეთ მოუსვენარ, დაუღალავ კაცს ძალუძს, როგორიც სულხან უტიაშვილია, აკი თვით პარტკომის მდივანიც იტყვის ხოლმე, ამ კაცს შეუძლია ოცდაოთხი საათი იჯდეს საჭესთანო.

ზუსტად ხუთ საათზე გივი აზაურაშვილი სახლიდან გამოდის და მანქანაში ჯდება. ქუჩის მყუდროებაში ყრუდ ჯახუნობს კაბინის კარი.

— როგორ გეძინა, სულხან? — ღიმილით ეკითხება პარტკომის მდივანი შოფერს, რომელსაც სულ რაღაც სამი-ოთხი საათის წინ დაშორდა.

— როგორც აკვანში, პატივცემულო გივი, — ელავენ სულხანის თეთრი, ქათქათა კბილები. ყოველ დილით ერთი და იგივე შეკითხვაა, პასუხიც ერთი და იგივეა. მაგრამ ორივეს მოსწონს ეს კითხვა-პასუხი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა და შეიძლება საქმეს შეუდგნენ.

— წავიდეთ, პატივცემულო გივი?

გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი დილის ცხრა საათზე იწყებს მუშაობას. მანამდე ჯერ კიდევ ოთხი საათია დარჩენილი. მაშასადამე, შეიძლება რამდენიმე კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის შემოვლაც მოასწრონ. ხვავისა და დოვლათის ბედი მინდვრებსა და ვენახებში წყდება; ჰოდა, გული როგორ მოუთმენს სამმართველოს პარტკომის მდივანს საკუთარი ფეხით არ მოიაროს იქაურობა, საკუთარი თვალით არ იხილოს ყველაფერი, მით უმეტეს, რომ წლევანდელმა წვიმებმა ლამის მართლაც წყალში ჩაუყაროს ხალხს ამდენი შრომა და ამაგი.

— ვეჯინის კოლმეურნეობა, — მოკლედ ამბობს გივი და მანქანაც იძვრება.

ასე იწყება ამ მაღალი, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა კაცის ყოველი სამუშაო დღე.

გივი აზაურაშვილი იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც თუმცა ჯერ კიდევ ნორჩი იყო დიდ სამამულო ომში მტერთან შებმისათვის, მაგრამ ზურგში უკვე მხარში ედგა უფროსებს, მათთან ერთად მამაცურად იტანდა ჭირსა და ვარამს და, ადრე დავაჟკაცებული, ცხოვრებაზე პასუხისმგებლად გრძნობდა თავს. ეს არის მამაცთა ქედუხრელი, გაუტეხავი თაობა, თაობა ყამირის დამპყრობლებისა და კოსმოსის პიონერებისა, თაობა, გაზრდილი და გაკაჟებული ლენინური კომკავშირის მიერ. გივი აზაურაშვილის ცხოვრების გზაც სწორედ ამ თაობის ცხოვრების გზაა: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შესვლისთანავე იგი ჩაება კომკავშირის მჩქეფარე საქმიანობაში; ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ კომკავშირულ, მერე პარტიულ აპარატში და ბოლოს საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივნად აირჩიეს. რომ ჩამოვთვალოთ ყველა მისი თანამდებობა, ყოველივე ის, რასაც, ჩვეულებრივ, „მშრალ ანკეტურ მონაცემებს" უწოდებენ ხოლმე, ჩვენს თვალწინ ჩვენი დროის ადამიანის მეტად მდიდარი ბიოგრაფია გადაიშლება. და მხოლოდ იმას, ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედრია საქმეში გივი აზაურაშვილს, შეუძლია თქვას, თუ რამდენი ენერგია, რამდენი გულისხმიერება და ზრუნვა, დაუსრულებელი ზრუნვა იმალება მისი ანკეტის „მშრალ მონაცემებს" უკან.

ალაზნის ბორანზე.



ახლაც, როცა გასცქერი ალაზნის პირას გაშლილ, დაულეველი ლვარცოფებით დახრამულ ზვრებსა და ხოდაბუნებს, რომლებსაც სტიქიასთან გურჯაანელი გლეხკაცის ვაჟკაცური შებმის დაღი დასდებიათ, არ შეიძლება არ იფიქრო ამ მედგარ, ხელმადლიან ხალხზე, არ იფიქრო მის ხვალინდელ დღეზე და მხარში არ ამოუდგე ლხინსა და გაჭირვებაში.

გამრჯე ხალხია გურჯაანის რაიონის მშრომელები. შარშან 81.860 ტონა ყურძნის ნაცვლად 42.644 ტონა ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს. გააშენეს 1460 ჰექტარი ახალი ვენახი, ყველა გეგმა შეასრულეს და ახალი ენთუზიაზმით შეუდგნენ წლევანდელი მოსავლის მოწევას. სიახლე უცხო როდია მათ ცხოვრებაში. ამას წინათ რაიონში პირველად ველისციხელებმა წამოიწყეს შესანიშნავი თაოსნობა — ბრიგადები და ფერმები სპეციალისტებით დააკომპლექტეს. საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ სიახლეს და ფართო პროპაგანდა გაუწია მას. სულ მოკლე ხანში გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში ბრიგადებისა და ფერმების ხელმძღვანელებად სამოცდაათზე მეტი აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი გაიგზავნა.

ერთხელ პარტკომის მდივანი კურორტ ახტალის მებაღე-დეკორატორს გივი იმერლიშვილს შემოხვდა. მდივანი დაინტერესდა ახალგაზრდა მებაღის საქმეებით. განათლებით ის თურმე აგრონომ-ეკონომისტი ყოფილა, რაღაც მანქანებით მოხვედრილა აქ და ეს ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი დროს ცუდუბრალოდ ხარჯავდა.

— იქნებ ბრიგადირად წამოხვიდე გურჯაანის კოლმეურნეობაში? — გამომცდელად შეავლო მას თვალი აზაურაშვილმა, — მარჯვე და მცოდნე ბიჭები გვჭირდება. ამ შენს საქმეს კი მოხუცებიც გაუძლებიან.

კარგა ხანს ესაუბრა პარტკომის მდივანი იმერლიშვილს. ბოლოს მისმა რჩევამ გაჭრა, მებაღე-დეკორატორი გურჯაანის კოლმეურნეობაში მებოსტნეობის ბრიგადის ხელმძღვანელად გადმოვიდა სამუშაოდ და აი, ახლა მთელი რაიონის ერთ-ერთ საუკეთესო ბრიგადირად ითვლება.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, დაკვირვებულ, გულმოდგინე მუშაობით ირჩეოდნენ საქმის მოთავე, წარმმართველი კადრები და აკი ასეთმა მეცადინეობამ თავისი ნაყოფიც გამოიღო — რაიონმა უკვე შეასრულა ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების ნახევარი წლის გეგმები, შეასრულა გადაჭარბებით. რაც შეეხება კახელი კაცის სარჩოსა და საბადებელს — ვენახს, აქ კი ცოტა ბედმა უმუხთლა გურჯაანელებს, გაუთავებელმა წვიმებმა და ნიაღვრებმა ლამის წალეკეს ვენახები. წელს გურჯაანელებმა სახელმწიფოს 35.000 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ გეგმით. მართლაც კარგი ვაჟკაცობა იქნება ამგვარ უამინდობაში ასეთი საქმის გაკეთება. იმიტომაც არის, რომ დღე ერთია და სამმართველოს პარტკომის მდივნის ბაღ-ვენახებში გადასვლა ათასი. დიდია გურჯაანის რაიონი. ახლა მისი მიწის საერთო ფართობი 150 ათას ჰექტარს უდრის. მარტო სასოფლო-სამეურნეო სავარგული 110 ათასი ჰექტარი მაინც არის. რაიონში 24 გამსხვილებული კოლმეურნეობა და 6 საბჭოთა მეურნეობაა. ჰოდა, ძნელია მოასწრო ყველაფრის ნახვა, ყოველ საქმეში ჩახედვა. მაგრამ პარტკომის მდივნის მწვანე „კოლხოზნიკს" მაინც ყველგან შეხვდებით. ადამიანები კეთილი, მეგობრული ღიმილით ეგებებიან მას. მათ უკვე მოასწრეს ამ სერიოზული, უბრალო და საქმიანი ახალგაზრდა კაცის შეყვარება. მასთან შეიძლება თავისუფლად ილაპარაკო იმაზე, რაც გაწუხებს, გაანდო სანუკვარი ფიქრი ან გულისტკივილი, შეეკამათო და მიიღო ნათელი, ამომწურავი პასუხი. კოლმეურნეები მას უბრალოდ „ჩვენ გივის" ეძახიან და სწორედ ამ შინაურული მიმართვით აღიარებენ მას თავისიანად, გამოხატავენ თავის ნდობასა და სიყვარულს. აკი ერთხმად აირჩიეს კიდეც იგი თავიანთ წარგზავნილად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

ამას წინათ აზაურაშვილმა კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში შეიარა. ვაზებთან კაკლის ჩრდილში მუშები ისვენებდნენ. პარტკომის მდივნისა და მეურნეობის დირექტორის თეიმურაზ სეხნიაშვილის დანახვაზე წამოიშალნენ. მაგრამ გივიმ ისევ დასხა ისინი და თვითონაც გვერდით მიუჯდა. საუბარი, რა თქმა უნდა, მაშინვე უამინდობაზე ჩამოვარდა. მერე პარტიის ივნისის პლენუმის მუშაობას შეეხნენ, რომელშიც აზაურაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ბოლოს მოსაუბრეებმა სულ გადაუშალეს გული პარტკომის მდივანს და ზოგიერთი თავისი გაჭირვებაც გაანდეს. ერთმა, ფქვილი არ მოაქვთ დროზე პურის წერტილში, შესჩივლა მდივანს, მეორემ, ახალი მაღაზიის მშენებლობა წამოიწყეს და ჩვენს სახლებთან მისასვლელი გზა გააუქმესო, მესამემ... მესამესაც თავის გაჭირვება ჰქონდა. გივიმ ყურადღებით მოუსმინა მათ და ჰკითხა:

— აქამდე მიმართეთ ვინმეს, თუნდაც ამხანაგ თეიმურაზს?

მუშები შეიშმუშნენ. არაო, თავი გაიქნია ერთიორმა.

— ჰოდა, მე რა უნდა გითხრათ, ამხანაგებო, — თქვა პარტკომის მდივანმა, — გისმენთ და ისეთი გრძნობა მებადება, თითქოს აქ მუშაობის გარდა, არ გეხებოდეთ არაფერი, განა ეს ქვეყანა და ეს სახელმწიფო თქვენი არ არის? განა თქვენი შრომით არ შენდება ყველაფერი, არ იქმნება ეს დოვლათი და სიკეთე? თქვენ თუ არა, აბა, ვინ უნდა მოკიდოს ხელი ასეთი ნაკლოვანებების აღმოფხვრას. რა თქმა უნდა, დაგეხმარებით. ამაში უმთავრესად თქვენ აგებთ პასუხს, ამხანაგო თეიმურაზ!

აზაურაშვილმა მეორე დღისათვის დაიბარა რამდენიმე მათგანი კიდევ სხვა საქმისათვის და გულთბილად გამოეთხოვა მუშებს.

მაგრამ ასეთი შეხვედრებით როდი თავდება პარტკომის მდივნის ურთიერთობა ადამიანებთან. ჯერ ცხრა საათიც არ არის და მისი მისაღები ოთახი უკვე სავსეა პარტორგანიზაციების მდივნებით, სამეურნეო მუშაკებით, მთხოვნელებით, თვითეულს შეუძლია თავისუფლად შევიდეს მდივანთან, საქმე უამრავია, ყველა სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს და ეს გამხდარი, ენერგიული სახის ახალგაზრდა კაციც ასწრებს ყოველ მათგანში ღრმად ჩახედვას, მთავარი ძარღვისა და ძირითადი არსის დაჭერას.

მერე იწყება სხვადასხვა ხასიათის თათბირები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, სადაც საჭიროა პარტკომის მდივნის დასწრება, სამუშაო გეგმების განხილვა, ყოველდღიური სამეურნეო მონაცემების შემოწმება და კიდევ ვინ იცის რა. მაგრამ მარტო პარტკომის მდივანი რას გაუძლვება ყველა ამ საქმეს, მხარში რომ არ ედგნენ ისეთი გამოცდილი და ენთუზიაზმით სავსე ამხანაგები, როგორიცაა საწარმოო სამმართველოს უფროსი ვალერიან რევაზიშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გუგული ჭიმშელაშვილი და სხვები.

ზოგჯერ მარტოდ დარჩენილი პარტკომის მდივანი სულის მოსათქმელად გაირინდება სავარძელში, მერე ტელეფონის მილს აიღებს და შინ დარეკავს, თავის პატარა ბიჭის გიგას ტიტინს მოისმენს, შორიდან მიუალერსებს და, თითქოს დევკაცის ძალა შთაბერესო, ახალი ენერგიით იწყებს მუშაობას.

და მხოლოდ მაშინ, როცა შუაღამე გადავა და გურჯაანის ქუჩები დაღლილი კაცის ღრმა ძილს მიეცემიან, პარტკომის მდივნის დამტვერილი, ტალახიანი „კოლხოზნიკი" ყრუ თუხთუხით გაჩერდება მაღალი, ლამაზი სახლის წინ.

— აბა, ჯერჯერობით, სულხან! — ემშვიდობება შოფერს აზაურაშვილი, — დილით არ დაიგვიანო.

— დარდი ნუ გაქვთ, პატივცემულო გივი, — წყნარად იქნევს თავს უტიაშვილი და ისევ იღიმება, — ძილი ნებისა.

მაგრამ არც ძილი აქვს მშვიდი გივი აზაურაშვილს, ყოველ წუთს, ყოველ წამს შეიძლება აწკრიალდეს ტელეფონი, აწკრიალდეს ცუდისა თუ კარგი ამბის მაცნედ და მაშინ პარტკომის მდივანი, „მთესველი კეთილი თესლისა", კვლავ გაჰყვება თავისი რაიონის ფართო გზებსა და ძნელ ბილიკებს.

ა. ქამთარაძე

კოლმეურნეებმა თავიანთი გული გადაუშალეს პარტკომის მდივანს.





# მამა და შვილი

მაგიდასთან დახრილმა კაპიტანმა სწრაფად გახსნა საქაღალდე, ლურჯი მელნით დაწერილ განცხადებას დახედა და შემოსულისაკენ არც კი გაუხედავს ისე ჩაილაპარაკა:

— უარი!

კასპის რაიონის სამხედრო კომისარს კონსტანტინე ჩხარტიშვილს მესამედ ეუბნებოდნენ უარს. სამივე განცხადებაზე გაკრული ხელით წაეწერათ: „უარი ეთქვას. მისი დარჩენა საჭიროა ზურგში".

ორიოდე კვირის შემდეგ კომისარმა მეოთხე განცხადება დაწერა და აკი მიაღწია კიდეც მიზანს. 1942 წლის თებერვალში კონსტანტინე ჩხარტიშვილი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე გაგზავნეს.

მთის ვიწროებში შეერკინა იგი მტერს. ის ახლა პოლკის მეთაური იყო და გააფთრებით ებრძოდა ჰიტლერელებს, რომ მილიონებთან ერთად საკუთარი მკლავით დაეცვა ხალხის ბედნიერება და თავისუფლება.

მიწყნარდებოდა თუ არა ბრძოლა, კონსტანტინე ტკბილი ოცნებით მაშინვე თავის ოჯახსა და ეზოყურეს დასტრიალებდა. შვილებს დანატრებული მამა შორიდან ჩურჩულით ესიყვარულებოდა მათ: პატარა ზაური ყოველ დილით ალბათ ისევ ხტუნვახტუნვით მისდევს დედას საბავშვო ბაღისაკენ. უფროსი ვაჟიშვილი ნოდარი კი საცაა საშუალოს დაამთავრებს და მამის ნაცვლად ბურჯად შეუდგება ოჯახს...

იმ დღესაც ამ ფიქრებში იყო გართული კონსტანტინე, როცა მოულოდნელად პოდპოლკოვნიკი წამოადგა თავზე.

— ახალი შევსება მიიღეთ, მაიორო, — ჩაილაპარაკა მან და ეშმაკური ღიმილით გახედა ძელმიწურის ახლოს ატუზულ წითელარმიელს.

გამორკვევა ვერც კი მოასწრო კონსტანტინემ, რომ წითელარმიელი რამდენიმე ნახტომით მიიჭრა მასთან და მხურვალედ ჩაეხვია მკერდში.

არა, ეს არ იყო მოჩვენება! პოლკის მეთაურის წინ ნამდვილად მისი ვაჟიშვილი იდგა, თექვსმეტი წლის ვაჟკაცი ნოდარი!

გახალისებული მებრძოლები ღიმილით შესცქეროდნენ ახალგაზრდა წითელარმიელს, რომელიც გატაცებით უყვებოდა მამას, თუ რამდენი ბრძოლა და დავიდარაბა დასჭირდა, რომ ფრონტზე მოხალისედ მოეხერხებინა წამოსვლა.

იმ დღიდან მოყოლებული, ომის დახლართულ გზებზე მუდამ ერთად მიიბრძოდნენ კონსტანტინე და ნოდარ ჩხარტიშვილები, მუდამ მხარდამხარ მიჰკაფავდნენ მტერს სამშობლოს დასაცავად ამხედრებული მამა და შვილი.

ერთ-ერთი შეტაკების დროს ნოდარი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ მიუტოვებია. მან მოულოდნელად შენიშნა, რომ ხეს ამოფარებული ფაშისტი ავტომატს უმიზნებდა მეთაურს. წითელარმიელის ზუსტმა გასროლამ ძირს დასცა ჰიტლერელი, მაგრამ მამის გადარჩენით გამოწვეული სიხარული დიდხანს როდი გაჰყოლია ნოდარს...

რამდენიმე დღის შემდეგ პოლკის მეთაურმა მაიორმა კონსტანტინე ჩხარტიშვილმა პირნათლად შეასრულა სარდლობის დავალება, ელვისებური დარტყმით გაანთავისუფლა დასახლებული პუნქტი, მაგრამ ბრძოლის უკანასკნელ წუთებში სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა მიწაზე.

გადაიარეს ომის წლებმა და დღეს, სამხედრო კომისარიატში მაშინდელი კომისრის კონსტანტინე ჩხარტიშვილის ნაცვლად საქმეს მარჯვედ უძღვება მამის საიმედო შემცვლელი — ნოდარ ჩხარტიშვილი.

დიახ, კონსტანტინე ჩხარტიშვილის სიცოცხლე კვლავ გრძელდება მის შვილებსა და შვილიშვილებში, გრძელდება იმ კეთილშობილურ საქმეში, რასაც მოუღლელი მარჯვენით აკეთებენ საბჭოთა ადამიანები.

ზ. მახარაძე



# რა პირდაპირ უნდა ვთქვათ



ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თეატრი — ცეცხლის ხაზზეა, თეატრში ბრძოლა მიმდინარეობს — ბრძოლა ჩვენთვის უცხო იდეოლოგიასთან, ბრძოლა, რომელმაც ნათელყო შეუძლებლობა ყოველგვარი კომპრომისებისა და დათმობებისა, უარყო ყოველგვარი ცდები სხვადასხვა იდეურ მიმართულებათა თანაარსებობისა. თეატრს დღეს ერთადერთი გზა აქვს, რომელიც განათებულია პარტიის ბრძნული იდეებით. ხელოვნების მუშაკები ვალდებულნი არიან მიიტანონ ეს იდეები ყოველი საბჭოთა ადამიანის გულამდე და შეგნებამდე. თეატრალური კოლექტივის ბრძოლისუნარიანობა ჩვენს დღეებში განიზომება არა იმ ყველაზე ადვილად თვალში მოსახვედრი, ზედაპირზე მდებარე ციფრებითა და ფაქტებით, რომლებიც ხანდახან გარეგნულად მოგვაჩვენებენ ხოლმე თითქოს ყველაფერი კარგად არის (აი, რამდენი ახალი სპექტაკლი დავდგით!), არამედ თეატრის იმ პასუხისმგებლობით მაყურებლის წინაშე, რომელიც ნამდვილად გადააქცევს თეატრს მაღალ ტრიბუნად და ხდის მას ხალხის ნამდვილ აღმზრდელად.

ქართული თეატრისათვის გასული სეზონი იყო სეზონი დიდი და ღრმა ჩაფიქრებისა იმ ნამდვილად არსებით პრობლემებზე, რომლებსაც პარტია აყენებს ჩვენი ხელოვნების მუშაკების წინაშე. ჩვენი თეატრები ისწრაფოდნენ თავიანთი მუშაობა წარემართათ ამ პრობლემათა გადაჭრის ნიშნით. მართალია, ეს სწრაფვა მუდამ წარმატებით არ მთავრდებოდა, მაგრამ წარმატებები იყო და ამის უარყოფა არ შეიძლება. ისინი, ეს წარმატებები, თავიანთ გამოხატულებას პოულობდნენ შემოქმედებითი ტრადიციების შენარჩუნებაშიც, ახალი თემების, გამოხატვის ახალი ხერხების ძიებაშიც, იმაშიც, რომ იბადებოდა საინტერესო აქტიორული სახეები. როგორც ხარკი სახელოვანი ტრადიციისადმი, როგორც სიმბოლო ამ ტრადიციის უქრობი სიახლისა და ძალისა— აჟღერდა განვლილ სეზონში ქართული თეატრის ორი შესანიშნავი პრემიერა— კოტე მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა“ და სანდრო ახმეტელის „რღვევა“; და როცა ხელახლა გაისმა მარჯანიშვილის თეატრის სცენიდან სახელგანთქმული ფრაზა — „სტყუი, რაბინო“, როცა რუსთაველის თეატრის თაღებს ქვეშ აჟღერდნენ ვაჟკაცური ბგერები ინტერნაციონალისა და მთელი დარბაზის გასწვრივ წამოვიდა წითელი ალამი, მაყურებლებს, როგორც ოდესღაც, ამ სპექტაკლის პირველი დადგმის შორეულ დღეს, კვლავ აჩქარებით დაუწყო გულმა ცემა და მათ მხურვალედ და ერთსულოვნად დაუკრეს ტაში მსახიობებს, მათი გმირების ღვაწლსა და საქციელს, რეჟისორული აზრის სითამამეს.

დიახ, ვაჯამებთ რა შედეგებს, ჩვენ გვინდა, უპირველეს ყოვლისა, ვილაპარაკოთ იმ კარგზე, რაც ჩვენს თეატრებს გასულმა სეზონმა მოუტანა. ჩვენ დავიწყეთ ტრადიციებით. მაგრამ საბოლოო ანგარიშში არა ისინი (ან უფრო სწორად, არა მხოლოდ ისინი) განსაზღვრავენ თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას საერთოდ და თანამედროვე ეტაპზე, კერძოდ.

რეპერტუარი — თეატრის საფუძველია. ჰქმნიდე რეპერტუარს, ეს ნიშნავს, განამტკიცებდე თეატრის სიცოცხლისუნარიანობას, მისი შემოქმედებითი კოლექტივის სიმწიფეს და სიჭარმაგეს. თეატრის კარგ ხელმძღვანელებს ეს მუდამ ახსოვთ. და სწორედ ამით იზომება თეატრის ღვაწლი თავისებური, სხვა თეატრებისაგან განსხვავებული რეპერტუარის შექმნის საქმეში. საიდუმლოება არ არის, რომ მთელი რიგი ჩვენი წამყვანი და პერიფერიული თეატრები ცდილობენ მჭიდრო თანამეგობრობა დაამყარონ დრამატურგებთან, ეძებენ „თავიანთ“ ავტორებს. ამ გზით თეატრებში იქმნება ახალი პიესები. განა სასიხარულო არ არის, რომ სწორედ რუსთაველის სახელობის თეატრს დაუკავშირა თავისი პიესების ბედი ისეთმა მწერალმა, როგორიც დავით გაჩეჩილაძეა, რომ სპეციალურად ამ თეატრისათვის დაწერა გ. ხუხაშვილმა თავისი „ზღვის შვილები“ და ო. იოსელიანმა „ადამიანი იბადება ერთხელ“, რომ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან მჭიდრო თანამეგობრობით არის დაკავშირებული მწერალი ნ. დუმბაძე, ხოლო მ. ჯაფარიძემ თავისი პიესა „ბულარა“ გადასცა ქუთაისელებსა და მარჯანიშვილის თეატრს. ამ სფეროში ბევრ კარგ საქმეს აკეთებს ქუთაისის თეატრიც, რომელსაც აკ. ვასაძე ხელმძღვანელობს. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ეს ტრადიცია თავს იჩენს არა მარტო ქართულ კოლექტივებში. გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსულმა თეატრმა კარგა ხანია „თავის“ ავტორებად გახადა მ. მრევლიშვილი და ო. ჩიჯავაძე, ორი წლის წინ თავის სცენაზე დადგა გრ. აბაშიძის პიესა „მოგზაურობა სამ დროში“, ხოლო წელს განახორციელა კ. ბუაჩიძის კომედია „ეზოში ავი ძაღლია“. ეძებს და პოულობს თავის ავტორებს სოხუმის თეატრის აფხაზური დასიც. გასულ სეზონში თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნ. ეშბამ დადგა ადგილობრივი დრამატურგების ორი პიესა — მ. ჩამაგუას „ივანე აფხაზი“ და ნ. თარბას „სიმღერის შექმნა არც ისე ადვილია“.

მაგრამ ზემოთქმული ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს ასეთი თანამეგობრობის ნაყოფი მუდამ უმწიკვლო და უნაკლო იყოს.

ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთა მთელ რიგ პიესებში არის ბევრი სადავოც და ხანდახან პირდაპირ მიუღებელიც. მეტად ბუნდოვანია დ. გაჩეჩილაძის „ამირანის“ იდეურ-მხატვრული კონცეფცია, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სპექტაკლის ხარისხზეც. მეტ სასიცოცხლო პათოსსა და ოპტიმიზმს ელოდა მაყურებელი პიესიდან და სპექტაკლიდან „ადამიანი იბადება ერთხელ“, ნაწილობრივ სქემატიზმის დაღი აზის ნ. თარბას პიესას „სიმღერის შექმნა არც ისე ადვილია“, სუსტია პოზიტიური ხაზი კ. ბუაჩიძის პიესაში „ეზოში ავი ძაღლია“.

მაგრამ მთავარი უბედურება ეს არ არის. იმ პიესებს შორის, რომლებიც ჩვენმა წამყვანმა თეატრებმა გასულ სეზონში განახორციელეს, არ არის თითქმის არც ერთი, რომელიც, როგორც იტყვიან ხოლმე, დღევანდელ დღეს მხარდამხარ მისდევდეს. თვით უკეთესნი ამ პიესებიდან გვიხატავენ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც დღეს ჩვენთვის უკვე ერთგვარად ისტორიას წარმოადგენენ. იბადება კითხვა — ხომ არ ვლინდება აქ, ამ ტენდენციაში უნებური ხარკი ჯბადაღებული „დისტანციის თეორიისადმი“? გვერდს ხომ არ აქცევენ ჩვენი თეატრები თავიანთ უპირველეს მოვალეობას, ცხოვრების გარდამქმნელის საპატიო მისიას?

უქონლობა სრულფასოვანი პიესებისა, რომლებიც მიძღვნილი იქნებოდა დღევანდელი დღისადმი, უქონლობა პიესებისა, რომლებიც უპასუხებდნენ ჩვენი ხელოვნების იდეურ-მხატვრულ კრიტერიუმს და გვიჩვენებდენ ჩვენი თანამედროვეობის დადებითი გმირის სახეს — ფრიად სერიოზული ნაკლია ჩვენი თეატრისა და ეს პირდაპირ უნდა ვთქვათ.

დიდი რეჟისორი ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო ხშირად იმეორებდა ხოლმე სიტყვებს, რომლებიც მის ძირითად შემოქმედებით მრწამსს გამოხატავდნენ: „თუ თეატრი თავის სცენაზე თანამედროვე ცხოვრებას არ გამოხატავს, ის დგას საფრთხის წინაშე, რომ ძლიერ ჩქარა მკვდრული აკადემიზმის ტყვეობაში მოექცევა“.

ეს სიტყვები მუდამ უნდა ახსოვდეთ ჩვენს თეატრებს — იმათაც, რომლებიც ჩამორჩებიან ამ არსებითი პრობლემის გადაჭრაში და იმათაც, რომლებსაც თანამედროვეობის იარლიყით ხანდახან სცენაზე გამოაქვთ ხალტურული, მდარე პიესები და თან ისე წარმოუდგენიათ საქმე, თითქოს ამით აკმაყოფილებენ ჩვენი მაყურებლის გემოვნებას. განა ამაზე არ მეტყველებენ წარსული სეზონის ისეთი პიესები და სპექტაკლები, როგორიც დ. უგრიუმოვის „უცხოური ჩემოდანი“, ან ი. ზლობინის და მ. სელეზნევის „საუცხოო დღე“, რომლებიც გრიბოედოვის თეატრის სცენაზე ვნახეთ?

ხშირად ვლაპარაკობთ ჩვენი თეატრების მაღალ პრინციპულობაზე რეპერტუარის შერჩევის დროს, ვლაპარაკობთ რომ თეატრებმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნონ თავიანთი შემოქმედებითი სახე. მაგრამ საკითხავია, რით გაამდიდრეს ამ პიესებმა გრიბოედოვის სახელობის თეატრის შემოქმედებითი ტრადიციები? რა შესძინა რუსთაველის თეატრს უ. გიბსონის „სასწაულთმოქმედმა“, ან მარჯანიშვილის სახელობის თეატრს პიესა „კეროპმა“? და რამდენიც არ უნდა აქონ რეჟისორი მ. თუმანიშვილი გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქას“ დადგმისათვის, საბოლოო ანგარიშში ყველასათვის ნათელია, რომ არა ეს ნაწარმოები განსაზღვრავს რუსთაველის სახელობის თეატრის მთავარ იდეურ-შემოქმედებით ხაზს.

კიდევ ბევრ რამეზე ჩაგვაფიქრა განვლილმა სეზონმა, კერძოდ—რეჟისურის საკითხებზე; არ შეიძლება ვურიგდებოდეთ იმას, რომ საქართველოს ბევრ თეატრში შესამჩნევია დიდი დენადობა რეჟისურის კადრებისა. ამ ბოლო წლებში გრიბოედოვის სახელობის თეატრში შეიცვალა რამდენიმე მთავარი და მორიგი რეჟისორი (ამიტომ ხომ არ ხდება, რომ ეს თეატრი მოკლებულია რაიმე მტკიცე მხატვრულ პრინციპებს და მისი მსახიობებიც შემოქმედებითად ნაკლებად იზრდებიან?); ხშირად იცვლებიან რეჟისორები რაიონულ თეატრებშიც, ხოლო იქ, სადაც რეჟისორი მტკიცედ დგას თავის კოლექტივის საჭესთან, საქმე გვაქვს შემოქმედებით წარმატებებთან. არ შეიძლება არ გვიხაროდეს, რომ სოხუმისა და ბათუმის თეატრებს სათავეში უდგანან ახალგაზრდა რეჟისორები — ლ. მირცხულავა (სოხუმის თეატრის ქართული დასი), ნ. ეშბა (აფხაზური დასი) და გ. ჟორდანია (ბათუმი). მაყურებელთა შორის დიდი წარმატება ჰქონდა ლ. მირცხულავას სპექტაკლს „ბახტრიონს“, ნ. ეშბას სპექტაკლს „შიშველ მეფეს“ და ჩეხოვის ერთმოქმედებიან პიესებს. ყოველივე ამის შემდეგ არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ რაიონებიდან თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლის კარგმა ტრადიციამ გასულ სეზონში ვერ ჰპოვა თავის განხორციელება.

სასინანულო შეიძლება ბევრი სხვა რამეც იყოს. აი, მაგალითად, თუნდაც ის, რომ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს, გასულ სეზონში, არსებითად, არ უჩვენებია არც ერთი ახალი სპექტაკლი (ოპერა „ტრავიატას“ და ბალეტი „დონ კიხოტის“ პრემიერები ახალ დადგმებად მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩავთვალოთ); ამას გარდა, დასანანია ისიც, რომ თბილისის თეატრებში არ იყო არც ერთი სპექტაკლი, რომელიც გააღვიძებდა აზრს, აღძრავდა დავას, გვაიძულებდა გვედავა — დავთანხმებოდით ან არ დავთანხმებოდით, რომ ჩვენი თეატრები ერთგვარად, ჩამორჩებიან ცხოვრებას, კვალდაკვალ ვერ მისდევენ მის მშფოთვარე წინსვლას. მაგრამ უნდა გვწამდეს, რომ ეს „დროებითი მიწყნარება“ მართლაც დროებითი იქნება, რომ ის უზრუნველყოფს ქართული თეატრის შემოქმედებითი ძალების მობილიზებას, რომლებიც, სექტემბერში, ახლად ძალმოკრებილნი, დაიწყებენ თავიანთ ორმოცდამეორე თეატრალურ სეზონს, განამტკიცებენ თავიანთ კავშირს ხალხის ცხოვრებასთან და ხალხთან ერთად იბრძოლებენ იმ დიად წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად, რომლებიც ჩვენს წინაშე წამოსჭრა კომუნისტურმა პარტიამ.

ეთერი გუგუშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

# კოსმოსი გვიხმობს

## ანტინივთიერების აფრებზე

აკად. ლ. ლანდაუ, პროფ. ი. რუმერი

დამიანის ფანტაზია უსაზღვროა, მისი შესაძლებლობანი კი შეზღუდულია ბუნების მკაცრი და ურყევი კანონებით, რომელთა შეცვლა ჩვენ არ ძალგვიძს. ამიტომ შეიძლება გვკითხონ, შეძლებს თუ არა კაცობრიობა ოდესმე მზის სისტემის ფარგლებს იქით გასვლას? შესაძლებელია თუ არა გაფრენები შორეულ ვარსკვლავებისაკენ, სხვა საპლანეტო სისტემებისაკენ, სადაც დასაშვებია ისეთი სიცოცხლის არსებობა, როგორიც ჩვენს პლანეტაზეა?

ზეშორეული პლანეტებისაკენ მიმავალ გზაზე ორი ზღუდეა აღმართული: პირველია ე. წ. „სინათლის ბარიერი", ანუ ისეთი რაკეტების აგების პრინციპული შეუძლებლობა, რომლებიც სინათლის სიჩქარეზე უფრო სწრაფად იფრენენ. ეს ბუნების ისეთივე ურყევი კანონია, როგორც მუდმივი ძრავას („პერპეტუუმ-მობილეს") აგების შეუძლებლობა. მეორე ზღუდეა „სიცოცხლის ბარიერი" ე. ი. ადამიანის შედარებით ხანმოკლე სიცოცხლე.

თუ დავუშვებთ იმას, რომ მომავალში ბიოლოგები და მედიცინის მუშაკები მნიშვნელოვნად გაახანგრძლივებენ ადამიანის სიცოცხლეს, მაშინაც კი არ შეიძლება იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი შეძლებენ უკვდავი, დაუბერებელი ადამიანის შექმნას.

მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ კაცობრიობას გადაკეტილი აქვს გზა შორეული ვარსკვლავებისაკენ, იმ ვარსკვლავებისაკენ საიდანაც სინათლე ჩვენამდე, ვთქვათ, ათასი წლის განმავლობაში აღწევს? ამ შეკითხვაზე მეცნიერება თითქოსდა სრულიად მოულოდნელ პასუხს იძლევა. თანამედროვე ექსპერიმენტებით დასაბუთებული ფარდობითობის თეორია ამტკიცებს, რომ მფრინავ რაკეტაში დრო უფრო ნელა მიდის, ვიდრე დედამიწაზე, და დროის მსვლელობის ეს შენელება მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია რაკეტის სიჩქარე. თუ ეს სიჩქარე მიახლოვებულია სინათლის სიჩქარესთან, მაშინ, რაკეტის საათის მიხედვით, შესაძლებელი იქნება ერთ დღეში შორეულ ვარსკვლავამდე მიფრენა და უკან დაბრუნება. დაბრუნებისას კი აღმოჩნდება, რომ დედამიწაზე ამ დროის განმავლობაში ას წელიწადზე მეტი ხანი გასულა. როგორც არ უნდა დაუჯერებელი გვეჩვენოს ეს სიტყვები, ისინი სრულიად ეთანხმებიან მეცნიერულ ფაქტებს და საბუთდებიან ზუსტი ექსპერიმენტებით.

როგორია ისეთი კოსმოსური ხომალდების აგების ტექნიკური შესაძლებლობა, რომლებიც დაახლოებით სინათლის სიჩქარით ფრენას შეძლებენ? ან რა სათბობი უნდა გამოიყენოს ამ ხომალდებისათვის კაცმა? რაკეტული სათბობი, რომელსაც ჩვენ დღეს ვიყენებთ, რა თქმა უნდა, აქ არ გამოდგება, რადგან მას მეტად მცირე თბოუნარიანობა აქვს. ამ სათბობით ერთი ტონა წონის რაკეტა რომ სინათლის სიჩქარით გავაფრინოთ, იგი, ეს სათბობი, მრავალი მილიარდი ტონა უნდა დავწვათ, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მაგრამ კაცობრიობა მხოლოდ ახლა უახლოვდება იმ ძირითად ენერგეტიკულ რეზერვებს, რომლებსაც ბუნება განაგებს. ატომური სათბობი ჩვეულებრივ სათბობზე დაახლოებით მილიონჯერ უფრო თბოუნარიანია, მაგრამ მისი „შესაძლებლობებიც" არ არის ამისთვის საკმარისი. აი, ანტინივთიერება კი, თუ მას სარაკეტო სათბობად გამოვიყენებთ, ნამდვილად გაგვიხსნის კოსმოსში შორეულ ტრასებს. გამოანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ შორეულ ვარსკვლავებისაკენ გასამგზავრებლად რაკეტისათვის საკმარისია სამ-ნახევარი ტონა ანტინივთიერება.

ჩვენს ლაბორატორიებში დიდი ხანია ვსწავლობთ რადიოაქტიურ ბირთვებიდან გამოფრენილი ანტიელექტრონების აღმოჩენა, ბევრად ძნელი იყო ანტიპროტონებისა და ანტინეიტრონების აღმოჩენა, რომლებიც მძლავრ თანამედროვე დამჩქარებლებში იქმნებოდნენ. ამ ელემენტარულ ნაწილაკებიდან პრინციპში შესაძლებელია როგორიც გინდათ ანტიატომის შექმნა და, მაშასადამე, ანტინივთიერების მიღებაც.

სამწუხაროდ, მეცნიერება ჯერ არ ფლობს ანტინივთიერების თუნდაც მცირე რაოდენობით მიღების მეთოდს. დროთა მანძილზე ასეთი მეთოდების გამომუშავება არ არის გამორიცხული. თუმცა ამასთან წარმოიქმნება ანტინივთიერების შენახვის მეტად ძნელად გადასაჭრელი ამოცანაც. ყოველ „ჩვეულებრივ" ნივთიერებასთან მისი შეხება დაუყოვნებლივ გამოიწვევს ისეთი ძალის აფეთქებას, რომელთან შედარებით თანამედროვე ატომური ბომბის აფეთქება გამოჩნდებოდა, როგორც უბრალო ჭურვის აფეთქება.

ჩვენ ახლა არ ვიცით, როგორ მოგვარდება ამ სასწაულმოქმედი სათბობის წარმოება. ეჭვი არ არის, იგი მეტად რთული და შრომატევადი იქნება. შორეული ვარსკვლავებისაკენ პირველი გაფრენისათვის საჭირო სამ-ნახევარი ტონა ანტინივთიერების შეგროვება კაცობრიობას ალბათ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოუხდება. მაგრამ როცა ეს საკითხი გადაწყდება, მაშინ დღის წესრიგში დადგება ისეთი რაკეტებისა და კოსმოსური ხომალდების აგების ამოცანა, რომლებშიც შესაძლებელი იქნება დროის არსებითად შენელება.

გათვალისწინებული უნდა იქნას ისიც, რომ სინათლის სიჩქარეს მიახლოვებული სისწრაფის დროს ყოველი შეუმჩნეველი ნაწილაკი კოსმოსურ სამყაროში ვარსკვლავთაშორისო ხომალდისათვის გადაიქცევა მრისხანე საფრთხედ. თუ ხომალდი, რომელიც წამში 240 ათასი კილომეტრის სიჩქარით მიქრის, შეეჯახა ერთი გრამი წონის ნაწილაკს, წარმოიქმნება ისეთი სითბური ენერგია, რომელიც საკმარისი იქნება ასი კუბომეტრი ლითონის ასაორთქლებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში კოსმოსური ხომალდი უბრალოდ დაიწვება. ცხადია, კოსმოსური ნაწილაკებისაგან ხომალდის დაცვა ყველაზე მძლავრი ძრავების შექმნაზე არა ნაკლებ რთულ საქმეს წარმოადგენს. მაგრამ ადამიანის გენია უეჭველად მონახავს ამ პრობლემის გადაჭრის გზასაც კოსმოსური ერა მხოლოდ ახლა დაიწყო. კოსმოსის შტურმი გრძელდება.

## რა არის ანტინივთიერება?

პროფ. მ. მირიანაშვილი

თანამედროვე ფიზიკის მრავალ შესანიშნავ აღმოჩენათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა ანტინივთიერების არსებობის აღმოჩენა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ანტინივთიერების არსებობა წინასწარ განჭვრეტილი იყო თეორიულად, კვანტური თეორიისა და ფარდობითობის თეორიის გაერთიანების ცდით. რამდენიმე წლის წინათ კოსმოსური სხივების შესწავლის დროს, აღმოჩენილ იქნა პირველი ანტინაწილაკი — პოზიტრონი, რითაც სავსებით დადასტურდა ეს თეორიული წინასწარმეტყველება.

ჯერ კიდევ 1928 წელს გამოჩენილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა დირაკმა შექმნა ზოგადი თეორია, ე. წ. რელატივისტური კვანტური მექანიკა, რომელშიც გაერთიანებულია ორი თეორია — კვანტური და ფარდობითობის თეორია. ამ თეორიის თანახმად ნივთიერ ნაწილაკს, კერძოდ, ელექტრონს აქვს ტალღური ბუნება — ამას მოითხოვს კვანტური თეორია. ამავე დროს, მისი სიჩქარე არ შეიძლება გაუტოლდეს ან მეტი გახდეს სინათლის სიჩქარეზე — რასაც მოითხოვს ფარდობითობის თეორია. დირაკმა გამოიყვანა ელექტრონის მოძრაობის განტოლება, რომელიც იძლევა მისი ყოველგვარი მდგომარეობის სრული აღწერის საშუალებას. მაგრამ ამ განტოლებას ერთი ფრიად უცნაური თვისება აღმოაჩნდა. გამოირკვა, რომ მოცემული სიჩქარის მქონე ელექტრონს შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ენერგია. მაგრამ ვინაიდან, ფარდობითობის თეორიის თანახმად, ნაწილაკის მასა მისი ენერგიის პროპორციულია, გამოდიოდა, რომ ელექტრონი შეიძლება იმყოფებოდეს უარყოფითი მასის მდგომარეობაშიც. ეს კი სრულიად ეწინააღმდეგებოდა კლასიკური ფიზიკის წარმოდგენებს მასის ბუნებაზე.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ელექტრონს ძალიან უცნაური თვისებები უნდა ჰქონოდა. გარეშე ძალის მოქმედების დროს მას უნდა ემოძრავა არა ძალის მიმართულებით, არამედ მის საწინააღმდეგოდ. მის გასაჩერებლად საჭირო იქნებოდა მისთვის ენერგიის მინიჭება და არა წართმევა, როგორც ეს ჩვეულებრივ დადებითი მასის მქონე ნაწილაკის გაჩერებისთვის არის საჭირო. ერთი სიტყვით, ასეთი ნაწილაკი ყველაფერში გამოიჩენდა ფიზიკაში დღემდე ცნობილი ელექტრონის საწინააღმდეგო თვისებებს. ასეთი უცნაური ნაწილაკები ფიზიკოსებს არასოდეს არ შეხვედრიათ. ამიტომ ძალიან ძნელი იყო მათ არსებობასთან შეგუება.

დირაკის თეორიის ამ უცნაურმა შედეგმა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ფიზიკოსები. ამ თეორიის ხელაღებით უარყოფა შეუძლებელი იყო, ვინაიდან იგი მშვენივრად ხსნიდა ატომში ელექტრონის მოძრაობის ხასიათს, მეორეს მხრივ კი ძალიან ძნელი და უჩვეულო იყო უარყოფითი მასის მქონე ელექტრონის არსებობის დაშვება.

ამგვარად, დირაკმა პირველად ფიზიკაში შემოიტანა ანტინაწილაკის ცნება. მალე დირაკის ეს თეორიული წინასწარმეტყველება ბრწყინვალედ დადასტურდა. 1933 წელს ანდერსენმა და ბლეკეტმა კოსმოსურ სხივებში აღმოაჩინეს ასეთი ნაწილაკი, იგი ელექტრონის საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება.

ცნობილია, რომ ჩვეულებრივ ელექტრონს უარყოფითი ელექტრული მუხტი აქვს, ანტიელექტრონს კი დადებითი ელექტრული მუხტი აღმოაჩნდა. ეს ანტიელექტრონი ანუ დადებითი ელექტრონი, რომელსაც პოზიტრონი უწოდეს, თავისი მასით ჩვეულებრივი უარყოფითი ელექტრონის მასის ტოლია. პოზიტრონს ელექტრონის საწინააღმდეგო აქვს აგრეთვე ყველა ის სიდიდე (მაგ. მაგნიტური მომენტი), რომელიც დაკავშირებულია მუხტთან. ასე იყო აღმოჩენილი პირველი ანტინაწილაკი — ანტინივთიერების პირველი შემთხვევა.

დირაკის თეორიის შემდგომმა განვითარებამ ცხადჰყო, რომ უნდა არსებობდნენ არა მარტო ელექტრონის, არამედ სხვა ნაწილაკების ანტინაწილაკებიც. მართლაც, 1955-56 წლებში ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს ანტიპროტონი და ანტინეიტრონი.

ამგვარად, თანამედროვე ფიზიკის თვალსაზრისით ყოველ ნივთიერ ნაწილაკისათვის არსებობს ანტინაწილაკი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში აგებულებით არ განსხვავდება თვით ნაწილაკისგან, ე. ი. შესაძლებელია არსებობა ანტიატომებისა, რომლებიც, ჩვეულებრივი ატომებისაგან განსხვავებით, შედგებიან ანტიპროტონების, ანტინეიტრონების და პოზიტრონებისაგან. მაშასადამე, შეიძლება ანტინივთიერების არსებობაც. ფიქრობენ, რომ სამყაროს შორეულ ნაწილებში შეიძლება დიდი რაოდენობით არსებობდეს ანტინივთიერება, სადაც ყოველი სხეული უნდა შედგებოდეს ანტინაწილაკებისაგან, ე. ი. არსებობდეს მთელი ანტისამყარო.

ალბათ შეგვეკითხებიან — შეიძლება თუ არა დედამიწიდან დაკვირვებამ გვითხრას რამე ანტისამყაროების არსებობის შესახებ? შეიძლება თუ არა ვთქვათ რომელიმე ციურ სხეულზე, რომელსაც, დავუშვათ, ჩვენ ვხედავთ დედამიწიდან, რომ იგი აგებულია მატერიისა ან ანტიმატერიისგან?

სინათლესა და საერთოდ ელექტრომაგნიტურ ტალღებზე დაკვირვება ამ შეკითხვაზე არაფერს არ გვიპასუხებს. წყალბადის ატომის მიერ გამოსხივებული სინათლე არაფრით არ განსხვავდება ანტიწყალბადის ატომის მიერ გამოსხივებული სინათლისაგან (სინათლის კვანტები — ფოტონები — ჭეშმარიტად ნეიტრალური ნაწილაკებია, რომლებსაც არა აქვთ არავითარი მუხტი და ამიტომ არაფრით არ განსხვავდებიან თავიანთი ანტინაწილაკებისაგან).

მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა. სინათლის ისეთი წყარო, როგორიც მზეა, ასხივებს ნაწილაკებს — ნეიტრინოს, რომლის აგებულება ჯერ არ არის ცნობილი. ამ ნაწილაკების გამოსხივება დასაშვებია სხვა ვარსკვლავებისთვისაც, სადაც ენერგიის ძირითადი წყაროა თერმობირთვული რეაქციები, რომლებიც წყალბადს გადააქცევენ ჰელიუმად. წარმოვიდგინოთ ახლა ანტიმზე, რომლის შინაგანი პროცესები მზის შინაგანი პროცესების მსგავსია. მაშასადამე, ენერგიის წყარო იქ იქნება ანტიწყალბადის გადაქცევა ანტიჰელიუმად. ასეთი ანტიმზეების სინათლე არაფ-

რით არ იქნება განსხვავებული მზის სინათლისაგან, მაგრამ ისინი გამოასხივებენ არა ნეიტრინოს, არამედ ანტინეიტრინოს! ამიტომ, თუ ადამიანი ექსპერიმენტულად განსაზღვრავს, რომ შორეული გალაქტიკა ასხივებს ანტინეიტრინოების ჭავლს, იგი დარწმუნებით იტყვის — ეს გალაქტიკა, სხვა არა არის რა, თუ არა ანტისამყარო.

დირაკის თეორიის თანახმად ნაწილაკი და ანტინაწილაკი (იგივე ნივთიერება და ანტინივთიერება) ერთმანეთთან შეხვედრის დროს ქრებიან და მათი მთელი ენერგია გამოსხივდება სინათლის სახით ან გადაეცემა სხვა ნაწილაკს.

ნაწილაკის და ანტინაწილაკის შეხვედრისას მათი მოსპობა მატერიის მოსპობას კი არ ნიშნავს, არამედ მატერიის ერთი სახის (ნივთიერების) გადასვლას მატერიის მეორე სახეში (სინათლეში). ამ ნაწილაკების მთელი ენერგია კი გადადის მოძრაობის ენერგიაში. ნივთიერების და ანტინივთიერების ურთიერთ შეხვედრა და მოსპობა წარმოადგენს მოძრაობის ენერგიის ბუმბერაზულ წყაროს — ამაზე დიდი ენერგიის მიღება ყოვლად შეუძლებელია.

თუ რამდენად დიდია ეს ენერგია, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი. ჩვეულებრივი საწვავის ერთი კილოგრამის წვის შედეგად გამოიყოფა 7-10 კილოკალორია, ასეთივე რაოდენობის ნივთიერების ბირთვული რეაქცია იძლევა 3 მილიონჯერ მეტ ენერგიას, თერმობირთვული სინთეზი — 7,5 მილიონჯერ მეტს, ნივთიერების და ანტინივთიერების მოსპობა კი 133-ჯერ მეტ ენერგიას, ვიდრე თერმობირთვული სინთეზი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ენერგიის საწვავი ოდესმე შორეულ ვარსკვლავებზე გაფრენის ზედმიწევნით დიდ შესაძლებლობებს მისცემს ადამიანს.

# დრო და კოსმოსური რეისი

**რ. შადური**

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

სამყაროს მეცნიერულმა შესწავლამ ნათელჰყო მისი უსასრულობა; ადამიანი დარწმუნდა, რომ სამყარო მარადიულია, რომ მას არა აქვს არც დასაწყისი, არც დასასრული, უახლოესი ვარსკვლავის ადგილზე რომ ჩვენი მზე მოვათავსოთ, იგი დედამიწიდან სულ პატარა, მკრთალ ვარსკვლავად გამოჩნდება. ხოლო თუ მისკენ „ტუ-114"-ით გავფრინდებით, საათში 1000 კილომეტრის სისწრაფით, მაშინ მასთან მიფრენას 4 მილიონ 600 ათასი წელიწადი დასჭირდება. შედარებისათვის შევნიშნავთ, რომ იმ დროიდან, რაც ადამიანი ცხოველთა სამეფოს გამოეყო, დაახლოებით ერთი მილიონი წელი თუ არის გასული.

მზის გარემომცველი ვარსკვლავების სიმრავლე წარმოადგენს ერთ მთლიან სისტემას, რომელიც თავისი ფორმით უზარმაზარ დისკოს მოგვაგონებს. ამ სისტემას „ირმის ნახტომს" ანუ გალაქტიკას უწოდებენ. ჩვენი მზე მისი უბრალო, რიგითი ვარსკვლავია და იმყოფება სადღაც მის „გარეუბანში", როგორც სეკუნდის ისარი საათის ციფერბლატზე. ეს სისტემა მოიცავს 120 მილიარდზე მეტ ვარსკვლავს. სინათლის სხივი, რომელიც წამში 300 ათას კილომეტრს გადის, ამ გალაქტიკის განივის გასწვრივ გარბენას 100.000 წელიწადს ანდომებს.

მაგრამ ჩვენი გალაქტიკის საზღვარი არ წარმოადგენს სამყაროს საზღვარს. სამყაროში ასეთი გალაქტიკა უამრავია. უახლოესი მათგანი ისე შორს იმყოფება ჩვენი გალაქტიკიდან, რომ მათ შორის მანძილის გარბენას სინათლის სხივი 850.000 წელიწადს ანდომებს. მძლავრი რადიოტელესკოპების საშუალებით აღრიცხულია 500 მილიონამდე ასეთი გალაქტიკა მაგრამ ამ ხელსაწყოების „მხედველობის" საზღვარიც არ წარმოადგენს სამყაროს საზღვარს. საიდანაც არ უნდა დავიწყოთ მოგზაურობა ერთი რომელიმე მიმართულებით და რამდენი ხანიც არ უნდა ვიმოგზაუროთ სინათლის სხივის სისწრაფით, სამყაროს კიდეს მაინც ვერ მივაღწევთ — სამყარო უსასრულოა როგორც სივრცეში, ისე დროში.

შესძლებს თუ არა ოდესმე ადამიანი ამ გიგანტური სივრცეების დაპყრობასა და შორეულ ვარსკვლავებამდე მიღწევას?

პლანეტებისა და ვარსკვლავების სიმრავლე სრულიადაც არ უადვილებს ადამიანს მათთან უშუალო კონტაქტის დამყარებას. თანამედროვე კოსმოსური ხომალდის სიჩქარე ჯერ კიდევ ვერ წყვეტს ვარსკვლავებისკენ გაფრენის ამოცანას. მართალია, კოსმოსური ხომალდის ძრავა ავითარებს ზარბაზნის ყუმბარაზე ხუთჯერ მეტ სიჩქარეს, მაგრამ უახლოეს ვარსკვლავამდე ასეთი სიჩქარით მოგზაურობა 200.000 წელიწადს გაგრძელდებოდა. ისეთი ხომალდითაც კი, რომელიც წამში 20 კილომეტრის სიჩქარით იმოძრავებდა, რაც სრულიად საკმარისია მზის მიზიდულების დასაძლევად, იმავე ვარსკვლავამდე მიღწევას 65 ათასი წელიწადი დასჭირდებოდა. შესაძლებელიც რომ იყოს ასეთი მოგზაურობა, იგი მაინც მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ აზრს ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობის გამო.

ნუთუ მართლაც პრინციპულად შეუძლებელია ვარსკვლავთა შორის მოგზაურობა? არა, გვიპასუხებენ ამაზე მეცნიერები, ვარსკვლავთა შორის მოგზაურობა, მიუხედავად დროისა და მანძილის წარმოუდგენელი სიდიდისა, სრულიად შესაძლებელია და იგი ადრე თუ გვიან უეჭველად განხორციელდება. ფარდობითობის თეორია გვეუბნება, რომ ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში პრინციპულად შესაძლებელია ჩვენი გალაქტიკის რომელიც გინდათ ვარსკვლავზე ჩაფრენა და უკან დაბრუნება. ეს დებულება ეყრდნობა იმ ურყევ ფაქტს, რომ დროის ცნება ფარდობითია და რომ იგი მოძრავ სხეულში უფრო ნელა გადის, ვიდრე უძრავში, რომ ნებისმიერი ფიზიკური თუ ბიოლოგიური პროცესის მიმდინარეობა მოძრავ სხეულში უფრო შენელებულია, ვიდრე უძრავში. ვთქვათ, გვაქვს ორი საათი, რომლებიც სრულიად ერთნაირად მუშაობენ. ერთი კოსმოსურ ხომალდზეა, მეორე—კოსმოდრომზე. ხომალდის გაფრენამდე ორივე საათი ზუსტად ერთი და იმავე დროს უჩვენებს. გაფრენის მომენტიდან კი ხომალდის საათი დაიწყებს ჩამორჩენას, და ეს ჩამორჩენა მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო დიდი იქნება ხომალდის სიჩქარე.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს. ერთი შეხედვით, მეტად უჩვეულოდ გამოიყურება და ეწინააღმდეგება ჩვენს შეხედულებებსა და დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ჩვენ ხომ ყოველდღიურ საქმიანობაში საქმე გვაქვს მცირე სიჩქარეებთან. ადამიანები საათში ფეხით 5 კილომეტრის სიჩქარით გაივლიან, ცხენით — რამდენიმე ათეულ კილომეტრის სიჩქარით გაირბენენ, თუ მანქანით 100 კმ სიჩქარით გაიქროლებენ, მათი საათების ჩვენებაში განსხვავება სრულიად შეუმჩნეველი იქნება, რადგან იგი ერთ მემილიარდედ წამსაც არ შეადგენს დღე-ღამეში. ხელოვნური თანამგზავრისათვისაც კი, რომელიც კოსმოსში 29.000 კმ-საათ სიჩქარით მოძრაობს, საათი მხოლოდ 0,01 წამით ნაკლებ დროს უჩვენებს წელიწადში. ბუნებრივია, რომ ადამიანს ათასეული წლების მანძილზე იმის მტკიცე რწმენა შეექმნა, რომ სამყაროში დრო თითქოს ერთი და იგივეა ყველა სხეულისათვის. ეს მცდარი დასკვნა არასწორი განზოგადების შედეგია. აქ უგულვებელყოფილია ის ჭეშმარიტება, რომ ყოველი კანონი მართებულია გარკვეულ ფარგლებში და ძალას ჰკარგავს ამ ფარგლებს გარეთ.

იქ, სადაც სიჩქარეები სინათლის სიჩქარესთან შედარებით საგრძნობ სიდიდეს წარმოადგენენ, ნიუტონის კლასიკური მექანიკა ძალას კარგავს, ხოლო მოვლენები ემორჩილებიან ე. წ. რელიატივისტურ მექანიკას. ასეთი სიჩქარეები დამახასიათებელია როგორც ატომური, ისე კოსმოსური მოვლენებისათვის. ადამიანი იმყოფება ამ უსასრულოდ მცირესა და უსასრულოდ დიდ მასშტაბებს შორის სადღაც „ოქროს შუალედში" და თავისი შეუპოვარი გონებით ფარდას ხდის როგორც ატომბირთვის, ისე კოსმოსური სამყაროს საიდუმლოებებს. ფარდობითობის თეორიის დასკვნებს მტკიცე დასაყრდენი აქვს ელემენტარული ნაწილაკებისა და კოსმოსური მოვლენების შესწავლის შედეგად დაგროვილ ფაქტებში, რომლებიც არავითარ ეჭვს არ იწვევენ.

დავუშვათ, რაკეტა მოძრაობს 250-280 ათასი კილომეტრის სიჩქარით წამში. მეცნიერთა გამოანგარიშებით, დრო ამ რაკეტაში შენელებული იქნება თითქმის 50-70-ჯერ ე. ი. რაკეტის კალენდარით გასული 1 წელიწადი ტოლი იქნება დედამიწის კალენდარით გასულ 50-70 წელიწადისა. ასე რომ, თუ ამ რაკეტით მოგზაური კოსმონავტი დავუშვათ 15 წლის შემდეგ დაბრუნდება უკან, დედამიწაზე უკვე გასული იქნება 750-1050 წელიწადი.

თუ ხომალდი უფრო დიდი სიჩქარით იმოძრავებს, ვიდრე განხილულ მაგალითში, დედამიწაზე კიდევ უფრო მეტი დრო გაივლის. ასე, რომ პრინციპში სრულიად დასაშვებია მეზობელი გალაქტიკის ვარსკვლავების შემოვლა და უკან დაბრუნება.

* * *

საერთოდ კი, მეტად ძნელია ზუსტი პროგნოზების გაკეთება. სულ ცოტა ხნის წინათ ზღაპრად მოეჩვენებოდა ადამიანს იმის გაგონება, რომ შეიძლებოდა კოსმოსში მოგზაურობა. მამაცი საბჭოთა კოსმონავტების მთელმა პლეადამ, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ხორცი შეასხა ადამიანის ამ სანუკვარ ოცნებას და გაბედულად შეაღო კოსმოსის კარი. ი. გაგარინის, გ. ტიტოვის, პ. პოპოვიჩის, ა. ნიკოლაევის, ვ. ბიკოვსკის და ვ. ტერეშკოვას საოცნებო რეისები ვარსკვლავეთში იმის საწინდარია, რომ სულ მალე ადამიანი მისწვდება საიდუმლოებით მოცული კოსმოსის უფრო შორეულ კუთხეებსაც.

# „საბავშვო ენციკლოპედიის" პირველი ტომი



სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულმა" გამოსცა „საბავშვო ენციკლოპედიის" პირველი ტომი. იგი ძირითადად თარგმნილია რუსულიდან და შევსებულია ქართული მასალებით და ფოტოსურათებით. ენციკლოპედიაში მოკლედ და გასაგები ენითაა გადმოცემული ის, რაც ადამიანებმა იციან ბუნებაზე, მეურნეობაზე, ტექნიკაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე.

ენციკლოპედიის პირველი ტომი იხსნება აკად. ვ. ობრუჩევის წერილით: „გზა მშვიდობისა მესამეათასწლეულის მოგზაურნო". წერილი „ქართველ ბავშვებს" ეკუთვნის აკად. ნ. მუსხელიშვილს. ამას მოსდევს თავები: „ბუნება და ადამიანი", „დედამიწის აგებულება", „ხმელეთი", „დედამიწის წყლის გარსი", „დედამიწის ჰაერის გარსი", „დედამიწის ნიადაგები და მცენარეთა სამყარო", „დედამიწის ცხოველთა სამყარო", „ძველი მოგზაურები", „დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქა", „XVII საუკუნის გეოგრაფიული აღმოჩენები და გამოკვლევები", „XIX და XX საუკუნეების გამოკვლევები", „ნორჩი გეოგრაფები, მხარეთმცოდნეები, მოგზაურები". ენციკლოპედიის ყოველი განყოფილება უხვადაა ილუსტრირებული. „საბავშვო ენციკლოპედიის" პირველი ტომის რედაქტორია აკად. ნ. კეცხოველი.

საბავშვო ენციკლოპედიის გამოცემა დიდად მნიშვნელოვანი თარიღია; ეს წიგნი ამდიდრებს ჩვენი ნორჩი თაობის წიგნის თაროს.

**სილოვან ნარიმანიძე**

# ზვავი

ზათქით.
მუქარით მიატოვებს მთათა
                    გუმბათებს,
ჩამოშვავდება ზრიალით, ხვნეშით...
და ასე გდია გაზაფხულამდე,
ხავსიან ხევში...
გაზაფხულზე კი,
როცა თოვლი ცრემლად იღვრება
და ჩანჩქერები დაიძვრიან დაბლა,
ბარისკენ,
ზვიადი ზვავიც წყლად იქცევა,
აიზვირთება,
ქვებით,
ლოდებით გულ-მკერდს აივსებს.
ჩამოჰქუხს ჩქერი, —
მთის სუნთქვა და სურვილი მიაქვს.
ვერ შეაჩერებს,
გადაუდგნენ კლდეებიც თუნდა,
მოდის და ახლა
მას სახელად მდინარე ჰქვია,
მოდის და ახლა
სულ სხვაგვარი სიცოცხლე უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მამა-შვილი ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები.

# მეცნიერი, სპორტსმენი, მოქალაქე

ისეთი ადამიანის მოღვაწეობის გაშუქება, როგორიც გიორგი ნიკოლაძე იყო, არც ისე ადვილი საქმეა. ვინც ამას იკისრებს, უნდა იყოს მათემატიკოსი, მეტალურგი, ქიმიკოსი, მხარეთმცოდნე, ალპინისტი, ტანმოვარჯიშე და, თუ გნებავთ, პოეზიის მცოდნეც.

მე ვერ ვიკისრებ პასუხისმგებლობას გიორგი ნიკოლაძის მრავალფეროვანი მოღვაწეობა გავაშუქო. ის, რაც ამ წერილში მინდა გადმოგცეთ, წარმოადგენს ძალიან მცირე ნაწილს მოგონებებისა გიორგის შესახებ, ხოლო მის მრავალფეროვან მოღვაწეობაზე კი მოზრდილი ტომი დაიწერება.

ნიკოლაძეების ოჯახს ბავშვობიდანვე ვიცნობდი სოფ. დიდ-ჯიხაიშიდან, სადაც მათ სანიმუშოდ მოწყობილი პატარა მამული ჰქონდათ.

ნიკოლაძიანთ სახლში მისვლა მუდამ მიხაროდა. მათ ხომ მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, მაგრამ იმ დროს ყველაზე უფრო მიზიდავდა გიორგის მიერ მოწყობილი სისტემატური ტანვარჯიშული მეცადინეობა სპორტის მოყვარულ ჭაბუკთა ჯგუფთან.

ტანვარჯიშობასთან ერთად გიორგი, მაშინ სულ ახალგაზრდა, მეორე თუ მესამე კურსის სტუდენტი, ცდილობდა ჩვენში ჩაენერგა მათემატიკის, საინჟინრო ხელოვნების და მხარეთმცოდნეობის სიყვარული. ხშირად მოგვიჯდებოდა-ხოლმე და მათემატიკურ გასართობებს და პარადოქსებს გვაცნობდა, ან კიდევ სხვადასხვა საზომი იარაღების მოხმარების ხერხებს გვიხსნიდა და პრაქტიკულადაც გვავარჯიშებდა. გიორგის მეოხებით 15-16 წლისამ მე საკმაოდ კარგად ვიცოდი ნიველირება და ლოგარითმულ შიმშაზე ანგარიში, რომელიც მაშინ, ორმოცდახუთი წლის წინათ, ახალი ხილი იყო.

1913 წელს გიორგიმ დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. ახალკურსდამთავრებული იგი ჯერ რამდენიმე თვეს ტულის (კოსოგორის) მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ კი იუზოვკის (ახლა დონეცკის) ქარხანაში გადავიდა. თავდაპირველად ის საპროექტო განყოფილებაში მიიღეს.

სულ მოკლე ხანში გიორგიმ ქარხნის ხელმძღვანელობის ყურადღება მიიპყრო; საპროექტოში დიდხანს აღარ გააჩერეს და ბრძმედების საამქროში გადაიყვანეს. ბრძმედებზე მაშინ ცვლის უფროსად მუშაობდა ივანე პავლესძე ბარდინი, შემდგომში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, შავი მეტალურგიის უბრწყინვალესი სპეციალისტი. ბარდინი საამქროს უფროსის მოადგილედ დანიშნეს, ხოლო გიორგიმ მისი ადგილი დაიჭირა.

გიორგი უაღრესად კეთილი გულის ადამიანი იყო. მას გატაცებით უყვარდა ახალგაზრდობა, არაფერი არ ეზოგებოდა მისთვის და, წარმოიდგინეთ, თავისი ხელფასის ნახევარს უგზავნიდა სტუდენტებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში სწავლობდნენ. გიორგი ასე მსჯელობდა: მე საცხოვრებლად, ძალიანაც რომ გავჭიმოთ, თვეში ჩემი ხელფასის მეოთხედი მეყოფა, ამდენივე მჭირდება მოულოდნელი ხარჯების დასაფარავად და წიგნების შესაძენად. ჩემი დედ-მამა მატერიალურად უზრუნველყოფილია, დებიც თავისთავს თვითონ მოუვლიან და ჩემი დახმარება არ სჭირდებათ; ის, რაც ჩემს პირად ხარჯებს გადარჩება, სჯობს ქართველ სტუდენტებს დავახმარო, რომ მომავალში ჩვენს ქვეყანას გამოადგნენო.

ერთი რამ ყოველთვის გვაკვირვებდა: მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ყოველდღიურად ბრძმედებზე ცამეტ საათს ატარებდა და ხშირად გაცილებით მეტსაც, იმას დრო ყველაფრისათვის ჰყოფნიდა და ყველაფერს ყველაზე მეტს აკეთებდა. იგი საკუთარი დროის განაწილების იშვიათი ოსტატი იყო. გარდა სამსახურისა, იგი ასწრებდა თავის მათემატიკურ გამოკვლევებსაც, კვირაში ორჯერ-სამჯერ, ორ-ორი საათით სატანვარჯიშო დარბაზში იყო, ასწრებდა საკმაოდ ფართო საქმიან და კერძო ხასიათის მიმოწერას, დროსტარებასაც, დასვენებასაც და, იმავე დროს, ყოველთვის კურსში იყო თანამედროვე ტექნიკის ვითარებისა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთაც; წარმოიდგინეთ, ლექსების წერასაც კი ასწრებდა. გიორგის ნაწერი ლამაზი ლექსების საკმაოდ მოზრდილი იმდროინდელი კრებული მის არქივში ინახება.

ნუ დავივიწყებთ, რომ გიორგი იმ დროს სულ 25-26 წლის ახალგაზრდა იყო.

რევოლუციამ მას ენაკიევოში მოუსწრო. მოხდა ქარხნების ნაციონალიზაცია. მუშებმა არასასურველი ადამიანები ქარხანას ჩამოაშორეს, გიორგი კი ბრძმედების საამქროს უფროსად აირჩიეს, ხოლო ბარდინი ქარხნის მთავარ ინჟინრად.

1926 წელს გიორგისა და პროფ. გულისაშვილის მეშვეობით, საქართველოს უნივერსიტეტში მეტალურგების მცირე ჯგუფი ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ძალზე მცირერიცხოვანი იყო (სულ ხუთიოდე კაცი), გიორგიმ მაინც მიზანშეწონილად სცნო მისთვის სპეციალური დროის გამოყოფა და ხელმძღვანელობის გაწევა. ამ ჯგუფის წევრები ჯერ თბილისის ფერომანგანუმის საცდელ ქარხანაში და შემდეგ კი ზესტაფონის ფეროშენადნობთა დიდ ქარხანაში მუშაობდნენ.

1926 წელს გიორგი მიემგზავრება საფრანგეთში, პარიზის უნივერსიტეტში დისერტაციის დასაცავად; დისერტაცია მან ბრწყინვალედ დაიცვა. ამავე დროს იგი გაეცნო საფრანგეთის მეტალურგიულ წარმოებებს და აზოტის ფიქსაციის საქმეს.

1929 წელს საბჭოთა მთავრობის დადგენილებით გადაწყდა საქართველოში ფერომანგანუმის ქარხნის აგება. გიორგის ინიციატივით და ხელმძღვანელობით სპეციალურად აგებულ საცდელ ქარხანაში (დიდუბე) ჩატარებულმა ცდებმა ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები მოგვცა ადგილობრივ მასალებიდან ელექტროღუმელში ფერომანგანუმის გამოდნობის შესახებ.

ამ დნობების შედეგად, უცხოეთის ფირმის მიერ შედგენილ ზესტაფონის ქარხნის პროექტში მნიშვნელოვანი კორექტივები იქნა შეტანილი. საცდელ ქარხანაში გიორგიმ თავი მოუყარა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შესანიშნავ კადრებს, რომლებიც შემდგომ უძღვოდნენ და უძღვიან საქართველოში ფეროშენადნობთა წარმოების ორგანიზაციას. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა კი დღეს ათვისებულ შენადნობთა ასორტიმენტის მრავალფეროვნებით ყველა ფეროშენადნობთა ქარხნებზე წინ დგას არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ ევროპაშიც.

საუბედუროდ, გიორგის არ დასცალდა ზესტაფონის ქარხნის ამუშავებაში მონაწილეობა მიეღო. 1931 წლის იანვრის თვეში მორიგი საცდელი დნობები გიორგისათვის საბედისწერო შეიქნა.

ახლად გარემონტებული ღუმელი ღამის პირველ საათზე უნდა ჩაგვერთო. ქარხანაში წამოსული სადგურამდე ტრამვაით მოსულიყო. სადგურის შემდეგ დიდუბის ხაზი აღარ მუშაობდა და, რადგან სხვა საშუალება ვერაფერი ენახა, დიდუბეში ფეხით წამოსულიყო. საშინელი სუსხიანი ქარი ქროდა, ისეთი ძლიერი, რომ საცდელი ქარხნის სახურავიდან ღუმელის თავზე აგურები ცვიოდა, სადგურიდან ქარხნამდე დაახლოებით ოთხი კილომეტრი იყო, გიორგის ისე სწრაფად ევლო, რომ ის იყო ღუმელს ვუშვებდით და ისიც აჭარხლებული სახით, მაგრამ ღიმილით ამოვიდა ღუმელის ბაქანზე: „თუმცა ფეხით მოვდიოდი, მაგრამ მაინც დროზე მოგისწარით“ — გვითხრა.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს სიცხე ჰქონდა და ლამენათევიც იყო, საღამოთი მაინც მოვიდა ქარხანაში. ვურჩიეთ სახლში წასულიყო, დაგვიჯერა. ეს იყო გიორგის უკანასკნელი მოსვლა ქარხანაში. იმ დღეს ლოგინში ჩაწვა, ფილტვების ანთება დაემართა. ცამეტი დღის შემდეგ კი, 1931 წლის 5 თებერვალს გიორგი გარდაიცვალა.

ირაკლი ლორთქიფანიძე
საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი

# გვეყოფა თუ არა წყალი?

როცა რომში სასტუმროს პატრონი იძულებულია გააფრთხილოს თავისი კლიენტები — ბევრ წყალს ნუ ხარჯავთო, იგი პირსაბანის გვერდით გადმოკიდებს ხოლმე მუყაოს თავაზიანი წარწერით: „ბოდიშს ვიხდით თქვენს წინაშე, მაგრამ რომი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი სასმელი წყლის რეზერვუარები".

სასმელი წყლის ნაკლებობას არა მარტო იტალიის დედაქალაქი განიცდის. წყლის სიმცირე მეტად თუ ნაკლებად მწვავედ იგრძნობა სხვა ქვეყნებშიც. მეცნიერები, რომლებიც ამას წინათ „იუნესკოში" შეიკრიბნენ, იხილავდნენ საკითხს, თუ როგორ მოაწყონ მსოფლიო მასშტაბით ბრძოლა წყლის ნაკლებობის წინააღმდეგ.

აქამდე ზოგიერთი ფიქრობდა, რომ წყლის ნაკლებობა შესამჩნევია მხოლოდ უდაბნოში, რომ სწავლულთა მთელი ძალ-ღონე მიმართული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ გვალვიან ადგილებში წყალმომარაგების სისტემის დასამუშავებლად და შესაქმნელად. სინამდვილეში კი სასმელი წყლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სულ უფრო ძნელდება ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის დიდი კონცენტრაციაა. გამოანგარიშებულია, რომ დიდ ქალაქებში თვითეულ მცხოვრებზე დღეში საშუალოდ 850 ლიტრი წყალი იხარჯება.

წყლის ამ რაოდენობაში შედის როგორც საოჯახო, ისე საერთო-საქალაქო საჭიროებანი. დაუმატეთ ამას მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილება წყალზე და მაშინვე მიხვდებით, თუ რაოდენ ძვირფასი და დასაზოგი ხდება იგი.

ალბათ ბევრმა არც კი იცის, რომ ერთი კილოგრამი შაქრის დასამზადებლად საჭიროა 20 ლიტრი წყალი, ხოლო ერთი კილოგრამი ხელოვნური ბოჭკოსათვის — ერთი ტონა! ერთი კილოგრამი ქაღალდის წარმოება მოითხოვს 200 ლიტრ წყალს, ხოლო ერთი მეტრი მაუდი რომ დავამზადოთ, ათჯერ მეტი წყალია საჭირო!

ეს საგულისხმო მაგალითები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ უკეთესად გავიგოთ ამოცანები, რომლებიც „იუნესკოში" შეკრებილი სწავლულების წინაშე იდგა. მათი მიზანი იყო დაესახათ ჩვენს პლანეტაზე მიწისა და ცის წყლის იმგვარი რაციონალური განაწილების გზები, რომ მცენარეები, ცხოველები და ადამიანები არ განიცდიდნენ წყლის ნაკლებობას.

საუკუნეების მანძილზე თვლიდნენ, რომ წყლის ციკლი განიცდის კანონზომიერ რეგულირებას ერთი წყაროდან მეორემდე — გაივლის რა ნაკადულებს, მდინარეებს, ღრუბლებს, წვიმასა თუ თოვლს. მეცნიერები თვლიდნენ, რომ ყოველივე ეს უბრალოდ ხდებოდა და ეჭვს არ იწვევდა ძველისძველი ჭეშმარიტება: „ბუნებაში არაფერი არ იკარგება და არც არაფერი წარმოიქმნება ხელმეორედ".

ახლა ცნობილია, რომ ყოველდღე წყლისა და ჰაერის განსაზღვრული ნაწილი იკარგება და სამუდამოდ ქრება სივრცეში. ეს „გაქრობა" იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამერიკელი მეცნიერი ჯ. ჯილვერი ამტკიცებს — ამჟამად ოკეანეებისა და ატმოსფეროსაგან, რომელიც ჩვენს პლანეტას მისი არსებობის პირველ პერიოდში ერტყა გარს, არც ერთი მოლეკული აღარ არის დარჩენილი. იბადება კითხვა: „გაქრობის" კომპენსაციისათვის საკმარისი იქნება თუ არა ის წყალი, რომელსაც დედამიწა „გამოიმუშავებს"?

საბჭოთა პროფესორი ბელოუსოვი თვლის, რომ დედამიწის სიღრმიდან გავარვარებული ბაზალტის ამოწევის პროცესი წარმოქმნის უდიდესი რაოდენობის წყალს, რომელიც გრანიტის დაშლის შედეგად წარმოიშვება.

მთელი დედამიწის მტკნარი წყალი გამოდგება თუ არა სასმელად? არა! ასე რომ ყოფილიყო, არც შეშფოთების მიზეზი გვექნებოდა. დასავლეთ ევროპაში უკვე აღარ არის ისეთი მდინარეები, რომლებიც სათავიდან შესართავამდე გამოდგებოდეს სასმელად. მრეწველობის მუდმივ ზრდას მოსდევს არა მარტო წყალზე მოთხოვნილების ყოველწლიური გადიდება, არამედ უკვე გამოყენებული, გაბინძურებული წყლის მდინარეებში ჩაღვრაც. წყლის პრობლემამ შეიძლება თავისი გადაწყვეტილება ჰპოვოს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მკაცრ ზომებს მიიღებს. სოციალისტური ქვეყნების ექსპერტები, რომლებიც ესწრებოდნენ კონფერენციას „იუნესკოში", აღნიშნავდნენ, რომ მათ ქვეყნებში წყლის გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა დაფუძნებულია კანონებზე, რომლებიც სათანადო ორგანიზაციებს ავალდებულებს, რომ სამრეწველო ობიექტების მშენებლობის დროს გამოყენებული წყლის გასაწმენდი და გამაუვნებელი მოწყობილობა დადგან.

წყლის გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, ჰიდროლოგები ეძებენ წყლით მომარაგების ახალ წყაროებს. ხელოვნური წვიმები, წიაღისეული წყლები, აისბერგების გადაადგილება და ზღვის წყლის გამტკნარებაც კი — ყველა ეს „ბუნებრივი რეზერვები" სერიოზულად აინტერესებთ მეცნიერებს.

იუმორი

## დიალოგი ვაგონში

მატარებლის ვაგონში შუახნის კაცს ერთი ლამაზი ყმაწვილი კაცი გამოელაპარაკა.

— მაპატიეთ, ვერ მეტყვით, რომელი საათია?

— ვერა.

— რატომ? — შეეკითხა გაკვირვებული ახალგაზრდა.

— არავითარი „რატომ"! რომ გითხრათ რომელი საათია, თქვენ მადლობას გადამიხდით, ცოტა ხნის შემდეგ ვაგონ-რესტორანში ყავაზე დამპატიჟებთ. წესიერი ახალგაზრდა ჩანხართ, უარს ვერ შემოგკადრებთ და დაგეთანხმებით. შემდეგ ისე დაგიახლოვდებით, რომ იძულებული გავხდები შინ მიგიპატიჟოთ. შინ კი მეტი გზა არ მექნება, ჩემი უმცროსი ქალიშვილი უნდა გაგაცნოთ. იგი საკმაოდ ლამაზია, თქვენც ლამაზი ბრძანდებით და ალბათ ერთმანეთი შეგიყვარდებათ, შემდეგ მის ხელს მთხოვთ.

— მერედა, რა არის ამაში ცუდი?

— როგორ თუ რა? — აღშფოთდა შუახნის კაცი, — ნუთუ გგონიათ, ჩემს ქალიშვილს ისეთ ვიგინდარას მივათხოვებ, რომელსაც საათიც კი არა აქვს?

გერმანულიდან თარგმნა დ. ბუჩუკურმა



დინარა ნოდია

მხატვარი

# ძველი მიწის სიჭაბუკე

მაროკოში, ალჟირსა და ტუნისში მოგზაურობის დროს ადამიანი არა მარტო მოიხიბლება ამ ქვეყნების ეგზოტიკური სანახაობებითა და ხალხის სტუმართმოყვარე, კეთილი გულით, არამედ იძულებული იქნება ბევრ რამესაც დაუფიქრდეს და ღრმად ჩასწვდეს გონების თვალით.

მთავარი, რაც თვალში გეცემათ, ეს არის მაროკოელი, ალჟირელი და ტუნისელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული თავიანთი ქვეყნებისადმი, მათი ვაჟკაცური, თავისუფლებისმოყვარე ბუნება, ახალი, ნათელი ცხოვრების აშენებისადმი დაუოკებელი სწრაფვა და საუკუნეობრივი კოლონიალური მონობის ჯერ კიდევ წაუშლელი მძიმე, შემზარავი კვალი.

აფრიკის ამ ქვეყნებში მოგზაურობის დროს ვაწარმოებდი დღიურს. მხატვრის დღიური, მოგეხსენებათ, სახატავი ალბომია — და ვცდილობდი ჩამეხატა ყველაფერი, რაც ჩემს ყურადღებას მიიპყრობდა და რის ჩახატვაც შესაძლებელი იქნებოდა. ამ ჩანახატებიდან ზოგიერთი აქ იბეჭდება. ის ზოგიერთი შთაბეჭდილება კი, რის გადატანაც ალბომში ვერ მოვახერხე, მინდა ამ პატარა წერილით გავუზიარო ჩვენს მკითხველებს.

თეთრი ქალაქი კასაბლანკა ნამდვილი ოაზისია ყავისფერი მაროკოს უდაბნოში. ეს ოაზისი შექმნილია მაროკოს ხალხის სისხლითა და ოფლით; დღეს ამ ხალხმა მიიღო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ კასაბლანკის თეთრი კვარტალები ჯერ კიდევ ევროპელთა ხელშია. ისინი კვლავინდებურად სარგებლობენ ყველა სიკეთით ამ მდიდარი ქვეყნისა, რომლის ჭეშმარიტი პატრონი, მაროკოელი ხალხი, ჯერ კიდევ ვერ გამართულა წელში კოლონიზატორთა „ცივილიზაციური მისიის" შემდეგ.

უძველეს ტუნისურ ქალაქ კერუანში ცა განსაკუთრებით ლურჯია. მაგრამ სამუშაოზე თავწახრილი კერუანელები ვერ ხედავენ მას. სამაგიეროდ ასობით ამერიკელი ტურისტი აჩხაკუნებს ფოტოაპარატებს ქალაქის ვიწრო, მტვრიან ქუჩებში, რომლებიც უჩვეულოდ გამოიყურებიან იმის გამო, რომ იქ გაფენილია უამრავი, საოცარი ფერით მოქარგული ხალიჩა. მაგრამ ამ ხალიჩების დახვეწილი კოლორიტი და რთული ნაქარგი არახარებს ჩემს თვალს. მათ უკან ამოფარებულია ასობით ბავშვის მოხრილი ზურგი და მოხუც ქალთა დაკორძებული თითები; ისინი ჩვენ ვნახეთ სახალიჩე სახელოსნოების დათვალიერების დროს, სადაც უზომო მუშაობისაგან თვალებგამოხუნებულმა მოხუცმა ქალმა გაგვაცნო პაწია ოსტატები — 5-6 წლის გოგონები.

კართაგენს თქვენ უცებ გადაჰყავხართ ტუნისის უძველეს ისტორიაში, რომლის სათავე რომაელი დამპყრობლების შემოსევის პერიოდს იქით იკარგება.

ქალღმერთ ტანაიტის ტაძარი, პირველი ფინიკური ნაგებობები მჭერმეტყველურად მოგვითხრობენ ამ მიწის უძველესი კულტურის წარსულზე. ამ ხალხის სულიერ სიმდიდრეზე მოგვითხრობს აგრეთვე ტუნისური მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილია ფინიკური კულტურის ნიმუშთა დიდი კოლექცია, უძველესი კერამიკის თვითმყობადი ნაწარმოებები, ტუნისური მინიატურები და რელიეფები — ეს არის ძველი და ბრძენი ხალხის უმდიდრესი სულიერი სამყარო. მაგრამ როგორ გამოიყურება ეს სამყარო დღეს? რას ვხედავთ დღევანდელი მხატვრების სალონებსა და სახელოსნოებში? აბსტრაქციონიზმისა და მოდერნიზმის ფრანგული სკოლის ბრმა მიბაძვას, რასაც აქ არა აქვს არავითარი ორგანული წყობა და ფუძე, არავითარი ეროვნული საფუძველი; იმ ხალხის მიწაზე, რომელსაც უძველესი კულტურის ძეგლები აქვს, სოკოსავით მომრავლებულა მოდერნისტული ყაიდის ნაგებობები კოლონიზატორთა კომფორტული ცხოვრებისა და დროსტარებისათვის, ბრძნული და დიდებული არაბული ლიტერატურის ნიმუშების მაგიერ წიგნის მაღაზიები და ფარდულები გაჭედილია ფრანგული ბულვარული რომანებითა და ამერიკული „კომიქსებით".



რა თქმა უნდა, ის ფრანგი მუშა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ შემხვდა პარიზის ბულვარებში კეთილი, მხიარული სახით და რომელიც წარმომიდგა მრავალი წარმტაცი, ადამიანური სილამაზის შემქმნელად — არ შეიძლებოდა ყოფილიყო ყველა ამ სახალხო სიმდიდრის დამანგრეველი და გამაპარტახებელი, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ხარბი და დაუნდობელი მბრძანებელი, რომლისთვისაც მონურ შრომაში ილუნებოდნენ ეს შავი ზურგები.

მე მახსენდება პარიზში გატარებული სამი დღე, ჩემს მიერ ყველასათვის ცნობილ ჭეშმარიტებათა აღმოჩენების სამი დღე, ამ პოეტური ქალაქითა და ხალხით გამოწვეული ჩემი აღფრთოვანება, ხალხით, რომლის შემოქმედებითმა გენიამ მრავალი დიდებული რამ შესძინა კაცობრიობას. მახსენდება სენის სანაპირო, ასე ნაცნობი პისაროსა და მონეს ნამუშევრებით, ვერჰარნის მიერ ხოტბაშესხმული ბარჟებით, დატვირთული მდიდარი ნამკალით, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის ბარაქიანი მიწისა და მისი შრომისმოყვარე მუშა-ხალხის სიმბოლოს. მახსენდება უტრილოს მიერ ნაქები მონმარტრი, სადაც ჩემთვის გასაგები გახდა მოდელიანის აღმაფრენაცა და დაცემაც. მონმარტრი, სადაც მე ვნახე მხატვრები, რომელთა თვალები აღსავსე იყო სასოწარკვეთითა და იმედით. მახსენდება ლუვრი, ხელოვნების ეს დიდებული ქალაქი, კიბის თავზე აღმართული ქალღმერთი ნიკეთი, მარად მომღიმარი ჯოკონდათი და უჩვეულო, თავისი გაუგებარი თანამედროვეობით, სადაც მსოფლიო ხელოვნების შედევრებს შორის განსაკუთრებით ნათელი ხდება მოდერნისტული და აბსტრაქციონისტული ხელოვნების მთელი უილაჯობა.

მაგრამ მონდრიანისა და პოლაკის შემდეგ, ფუჟერონისა და ტასლიცკის შემოქმედება ადასტურებს, რომ ამ ქვეყანაში კვლავ ცოცხლობს დემოკრატიული ხელოვნება, ისეთი ხელოვნება, რომელიც თავის ძალასა და შთაგონებას საფრანგეთის ხალხის, მისი მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლიდან იღებს. მახსენდება ეს სტუმართმოყვარე, ნიჭიერი და მხიარული ხალხი, რომელსაც მე ვიცნობდი რენუარითა და ბალზაკით, რენე კლერისა და ჟან გაბენის გმირებით, ბრესანსისა და მონტანის სიმღერებით — და ფრანგი კაცის ეს ზოგადი სახე ვერა და ვერ ეგუება ჩემს გონებაში იმ კანიბალს, რომელიც ჩემს წინაშე წარმოსდგა ჩრდილოეთ აფრიკის გაპარტახებულ მიწაზე.

საფრანგეთის ექვსი წლის სირცხვილს უწოდებენ ფრანგი კოლონიზატორების ექვსი წლის ბრძოლას გმირი ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც დამპყრობთა სამარცხვინო მარცხით დამთავრდა. ახლა ალჟირი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. იგი სასწრაფოდ იმუშებს უცხოელთა მიერ მიყენებულ ჭრილობებს და თავგამოდებით აგებს ახალ, თავისუფალ ცხოვრებას.

ძველებური არაბული თქმულება ჩრდილოეთ აფრიკას ადარებს ფრინველს, რომლის სხეული ალჟირია, ფრთები კი — მაროკო და ტუნისი. ახლა ეს ფრინველი, როგორც ზღაპრული ფენიქსი, დგება ფერფლიდან და ემზადება შორეული გაფრენისათვის, იქით, სადაც თვალის მომჭრელად ელავს ხალხთა მეგობრობის, თანასწორუფლებიანობისა და ბედნიერების ჩაუქრობელი მზე.

გზაზე შემოხვედრილი პირველივე შენობები, დაცხრილული ტყვიებითა და ყუმბარების ნამსხვრევებით, ახლადგადატანილ გააფთრებულ ბრძოლებზე ღაღადებენ. გზებს დღესაც იცავენ ალჟირელთა სამხედრო პატრულები. ქალაქ ალჟირის ევროპული კვარტალები დაცარიელებულია. ფრანგებმა დატოვეს ქალაქი. ახლა მათი ვეებერთელა ფეშენებელური სახლები დარაბებდაგმანული ფანჯრებით, ბრმებივით გამოიყურებიან. ყველგან კედლებზე, მესრებზე ელავენ წარწერები: „ძირს კოლონიზატორები!" „გზა თავისუფალ ალჟირს!" ქალაქის არაბული ქუჩაბანდების სილატაკისა და სიდუხჭირის ფონზე ეს საბრძოლო მოწოდებანი განსაკუთრებით მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ ალჟირელი ხალხის სიძულვილსა და ურყევ ნებაზე.

„სოვეტიკ" — იყენებდა რა ამ სიტყვას, როგორც ზღაპრულ თილისმას „სეზამ, გაალე კარები!" ჩვენს გამყოლს შევყავდით ქალაქის ისეთ კვარტალებში, სადაც ევროპელებს ფეხი არ შეედგმებოდათ. შავგვრემანი ხელების მეგობრული, ღონიერი ჩამორთმევა, ალერსიანი ღიმილი და ენის უცოდინრადაც კი გასაგები, თბილად წარმოთქმული სიტყვები — აი რას ვხვდებოდით ყოველ ნაბიჯზე მთელი ჩვენი მოგზაურობის დროს ალჟირში.

პატარა ტანის, მაგრამ გმირული სულის კაცმა, გაზეთ „რესპუბლიკის" რედაქტორმა და მწერალმა-მოქალაქემ ანრი ალეგმა, რომელმაც მრავალი საშინელი წელი გაატარა კოლონიზატორთა საპყრობილეში, გვიამბო ალჟირის დღევანდელ დღეზე და თავის მგზნებარე ოცნებაზე ხვალინდელი დღის შესახებ. და ჩვენც ალჟირული სოფლების ფიჩხის ღობეებსა და კვადრატებად დაყოფილ მინდვრებს იქით ვხედავთ ამ მრავალტანჯული მიწის უდიდეს ძალასა და მის თვალწარმტაც მერმისს. ჩვენ ვიყავით კოოპერატივში, სადაც ეს ღობეები აღებულია და გაერთიანებულ მიწას ერთი პატრონი ფლობს. ფრანგი ბორჯოს ფერმა მთლიანად გადასულია გლეხების ხელში.







კასაბლანკა

მხატვრები მონმარტრზე

ნელ-ნელა თავს აღწევენ საუკუნეობრივ წყვდიადს ალჟირელი ქალებიც. ჩადრი — მონობისა და უუფლებობის ეს საშინელი სიმბოლო თანდათან გამოდის ყოფა-ცხოვრებიდან. ორანში, როცა ეს აღფრთოვანებული ხალხი ხვდებოდა ბენ ბელას, ყვავილებით მოკაზმული აივნები სავსე იყო ჩადრმოხსნილი, სახეგაბრწყინებული ქალებით.

აი ეროვნულ არაბულ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი ქალი ვიზახირი. იგი ექვსი წლის განმავლობაში ავტომატით ხელში იბრძოდა მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისათვის. ალჟირელ ქალთა კომიტეტში ვიზახირი აღტაცებული შემოგვეგება. ჩვენ გვიამბეს ამ საზოგადოების მუშაობის შესახებ, რომლის მიზანია შრომის მეოხებით ალჟირელი ქალის განთავისუფლება, შავბნელი წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრა.

ალჟირელმა ქალებმა, რომლებიც ჩვენ გვახსოვდა დელაკრუასა და მატისის ტილოებიდან, მოიპოვეს ახალი თანამედროვე მოქალაქეობრივი სილამაზე. ისინი უდიდეს ამაგსა სდებენ თავიანთ სამშობლოს.

ჩვენი გზა დასასრულს უახლოვდება. თვითმფრინავიდან დავცქერით ალჟირული მინდვრების მომწვანო-ოქროსფერ კვადრატებს და ვფიქრობთ იმ რთულსა და ძნელ გზაზე, რომლის გავლაც მოუხდებათ ამ უძველესი მიწის ადამიანებს.

შეხვედრა ბენ ბელასთან

ფოტო ავტორისა



ბედუინის დაკრძალვა უდაბნოში



ქ. ფესი. ბაზარი



არაბები



ხალიჩების სახელოსნოში

კართაგენის ნანგრევები



ალჟირის ქუჩაზე




პარიზი. მეტრო



ეროვნული ბიბლიოთეკა



პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

პარიზი. კაფე





საუბარი.




სამხედრო პატრული ალჟირის შესახვევებში

# ნაქსოვი ცისარტყელები

კომისიის წევრები გულდასმით ათვალიერებდნენ ახლად მოქსოვილ ხალიჩებს.

— კარგია, შესანიშნავია! — აღტაცებული ამბობდნენ საფეიქრო მრეწველობის სპეციალისტები, — ეს ხალიჩები ალბათ მალე საქვეყნოდ გაითქვამს სახელს.

ვინ მოთვლის, რამდენი შრომა, დაძაბული ფიქრი და ძიება დასჭირდა ამ საუკეთესო ხარისხის, ცისარტყელასავით ნაირფერებით ამეტყველებული ხალიჩების შექმნას.

ქართული ხალიჩების დასამზადებლად გატაცებით შრომობდნენ მხატვარი-მოდელისტები და არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები და ინჟინერ-ტექნოლოგები.

შედიხართ ახლა დუშეთის ხალიჩების საწარმოში, გულდასმით ათვალიერებთ იატაკზე გაფენილ „ცისარტყელებს" და თითქოს ნათლად ხედავთ საქართველოს წარმტაცი ფერებით მოქარგულ მინდვრებსა და მთებს, ხედავთ ჩვენი ტაძრების დიდებულ ჩუქურთმებსა და ორნამენტებს.

— კარგია, შესანიშნავია! — აღტაცებით ჩურჩულებთ თქვენ და ეჭვიც კი აღარ გეპარებათ იმაში, რომ ქართველი ფეიქრების მადლიანი ხელით ნაქსოვი „ცისარტყელები" მალე სერიოზულ კონკურენციას გაუწევს მსოფლიოში სახელგანთქმულ ირანულ ხალიჩებს...

ქართული ხალიჩების წარმოებამ დუშეთში 1959 წელს აიდგა ფეხი. პატარა საამქროებში პირველ ხანებში მხოლოდ რამდენიმე საქსელი და საქსოვი დაზგა მუშაობდა. მაგრამ ფაბრიკის იმედი, მისი ფასდაუდებელი სიმდიდრე გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანები იყვნენ, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ საუკეთესო ქსოვილების შესაქმნელად. ამ ადამიანების ხელით დამზადდა ქართული ხალიჩების თარგები — „არმაზი პირველი" და „არმაზი მეორე", რომლებსაც მალე „ქართული პირველი" და „ქართული მეორე" მოჰყვა...

დუშეთის ხალიჩების საწარმოში ახლა განუწყვეტლივ გუგუნებს რამდენიმე ათეული ახალი ტიპის დაზგა. ასამდე გამოცდილი ფეიქარი მარჯვედ და მოულოდნელად დასტრიალებს დაზგებს. შარშან მათ სახელმწიფოს 70 ათასამდე მანეთის პროდუქცია მისცეს, წელს კი უფრო ლამაზ, უფრო მეტ და მაღალხარისხოვან ხალიჩებს ქსოვენ.

რომელი ერთი მოწინავე და ხელმადლიანი ფეიქარი უნდა ჩამოთვალოს კაცმა? ახსენებთ ლიანა ჭიკაიძეს, ევა ველთაურს, ნატო ვერძეულს და არ შეიძლება მათ გვერდით სონია ქავთარაძე, მედეა ჯარიაშვილი და ფატი ჭონქაძეც არ დააყენოთ. გატაცებით დაიწყებთ საუბარს ლეილა მთვარელიშვილისა და ნაზი ფეიქრიშვილის ბრიგადებზე და როგორ იქნება, ნათელა როშნიაშვილისა და ზინა ბედოშვილის წარმატებებზეც არ ილაპარაკოთ?

განუწყვეტლივ გუგუნებენ დაზგები. ქსოვილში ერთმანეთის მიყოლებით სხდება შინდისფერი, მდელოსფერი, ვარდისფერი ნასკვები... ერთმანეთის მიყოლებით ცოცხლდება ქართული ნატიფი ორნამენტები და ჩუქურთმები. იქსელება და იქსოვება ახალი ქსოვილი, მოდის და მოდის ქართული ხალიჩა, მოდის, რომ ლაზათი შეიტანოს მშრომელთა ოჯახებში, რომ თვალი და გული გაუხაროს მათ.

გიორგი გიგაური

ხალიჩების საქსოვი საამქროს ფოტო იხ. გარეკანის მეოთხე გვერდზე.

რაფიელ დანიბეგაშვილის ჩანაწერები ქართულ ენაზე პირველად 1950 წელს გამოიცა სოლომონ იორდანიშვილის წინასიტყვაობით და შენიშვნებით. მკვლევარმა ამით მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა და დანიბეგაშვილის დავიწყებული ჩანაწერები ქართველ მკითხველებს გააცნო. მომდევნო წლებში ამ წიგნისადმი ინტერესი უფრო გაიზარდა და ახლახან „საბჭოთა საქართველომ" ხელახლა გამოსცა იგი. თარგმანი, რედაქცია, შენიშვნები და ბიბლიოგრაფია ეკუთვნის გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს ლევან მარუაშვილს. მანვე დაურთო წიგნს ნარკვევი დანიბეგაშვილის ცხოვრებაზე, საარქივო საბუთები და სამარშრუტო რუკა. რედაქტორი სწორად მოიქცა, როდესაც შეუცვალა წიგნს სათაური — „მოგზაურობა ინდოეთში" და უწოდა „თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში". დანიბეგაშვილმა მართლაც თვრამეტ წელს იმოგზაურა — 1795 წლიდან 1813 წლამდე, და არა მარტო ინდოეთში, არამედ თურქეთში, ცეილონზე, ბირმაში, დასავლეთ ჩინეთში, ციმბირში და სხვა ქვეყნებში.

როგორც პროფ. ლ. მარუაშვილი შენიშნავს, რ. დანიბეგაშვილის თხზულებაში მოთხრობილია საკვირველი ცხოვრება ქართველი კაცისა, რომელმაც ესოდენ ვრცელი მარშრუტი მოიარა და „მოგზაურობის დასასრულს საქართველოს მეგობარ რუსეთში ჰპოვა მეორე სამშობლო".

როდესაც რ. დანიბეგაშვილის ჩანაწერებს ვეცნობით, გაოცებული ვრჩებით იმ გაუტეხელი ნებისყოფით, იმ სიმამაცით, ამტანობით, რომელსაც ავტორი იჩენს ხიფათებითა და განსაცდელით აღსავსე მოგზაურობის დროს.

რაფიელ დანიბეგაშვილი დიდი ცოდნითა და დაკვირვებით აღწერს იმ ქვეყნების ხალხთა ყოფაცხოვრებასა და პოლიტიკურ მდგომარეობას, რომლებიც მან მოგზაურობის დროს ინახულა. საინტერესოა ავტორის ულრმესი თანაგრძნობა დაჩაგრული ქვეყნებისადმი. დანიბეგაშვილი მოგვითხრობს ბრიტანეთის ექსპანსიაზე აზიის ქვეყნებში და ამ ქვეყნების ხალხთა სიძულვილზე დამპყრობლებისადმი.

რაოდენ საინტერესოა ეს ჩანაწერები დღეს, როცა კოლონიალიზმი მთელ მსოფლიოში თავისი აღსასრულის წუთებს ითვლის. და ჩვენი ქართველი ავტორი შორიდან, წლების სიღრმიდან ეხმაურება აზიისა და აფრიკის ხალხთა დღევანდელ გმირულ ბრძოლას იმპერიალისტთა წინააღმდეგ.

საერთოდ, აღნიშნული წიგნიდან კარგად ჩანს, რომ რ. დანიბეგაშვილი იყო უაღრესად ჰუმანურად განწყობილი ადამიანი, ტირანიისა და უსამართლობის მოძულე. მას, მაგალითად, სასაცილოდ მიაჩნდა ბომბეის მთავარმართებლის მდგომარეობა მეფის წინაშე. მოგზაური მოგვითხრობს: როდესაც ქალაქის მთავარმართებელი მეფეს ესაუბრება, მას არ შეუძლია „მის თანდასწრებით არა თუ ჯდომა, არამედ დგომაც და ამიტომ უნდა მუცლით იატაკზე გაწვეს და თუ იგი რამეს შეეკითხება მას, ფეხზე აუდგომლად უნდა უპასუხოს".



## თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში

დანიბეგაშვილის მოგზაურობა რომ ფართო პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა, ამაზე წიგნის რედაქტორი დაწვრილებით ლაპარაკობს.

დანიბეგაშვილმა მოიარა უამრავი ქვეყნები, გადასერა ზღვები და ოკეანეები. ბოლოს მან მოსკოვს მიაღწია. მოსკოვში, როგორც თვითონ ავტორი წერს, ის გულთბილად მიიღეს. „მე სინამდვილეში ვნახე— აღნიშნავს იგი, — გონებათა ის განათლებულობა, გულთა ის ლმობიერება და სიკეთე, ის სტუმართმოყვარეობა და თავაზიანობა, რომელთა შესახებ აქამდე მხოლოდ გაგონილი მქონდა".

რაფიელ დანიბეგაშვილის ჩანაწერები შესანიშნავი საბუთია რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა, რომელიც შორეული საუკუნეებიდან მომდინარეობს.

ალ. სიგუა

## ვარსკვლავთა მინდვრის ერთი ღიღილო

### გრიგოლ ცეცხლაძე

ადამიანი ცნობისმოყვარე
აკვირდებოდა მზეს, ვარსკვლავს, მთვარეს,
თაყვანსა სცემდა შუქს მოელვარეს.

მას აღაღებდა ქვეყანა ჩვენი
როცა გაზაფხულს ყვავილი შვენის
და აღონებდა დრო ფოთოლთცვენის...

არავინ იყო ისეთი ბედის,
არ შეხებოდა ნიავი სევდის,
არ დასჩენოდა ცრემლების წვეთი.

ცას შეჰყურებდნენ მოიარებით, —
ხან სიხარულით, ხან მწუხარებით.
გზას იმოკლებდნენ ცხენით, ხარებით.

მხოლოდ ზღაპრულ გმირს ჰქონდა სახელი
ცხრა მთა და ველის გადამლახველის.

დღეს სხვაგვარია საზომი დვრიტა,
კაცმა გონების ძალა ადიდა,
გალაქტიკების გზები განსჭვრიტა...

დღეს, ნორჩ შვილიშვილს როდესაც ვხედავ,
მეც ვფიქრობ: როგორ იცხოვრებს ნეტავ?
კოსმოსში ფრენას როცა გაბედავს?

მრავალ მილიონ კილომეტრ მანძილს
ის გადალახავს, რომ ჰპოვოს განძი,
მაცნედ მარადი სიხარულისა,
კვლავ დაბრუნდება მიწაზე ისა.

თუ ჰპოვებს, ვითა მარგალიტს ობოლს,
უკვდავების ხეს, მის უჭკნობ ფოთოლს?...
იქნებ მოვესწრო და მეც ვიხილო
ვარსკვლავთა მინდვრის ერთი ღიღილო!...

თუმც ვგრძნობ, ჩემს ღონეს აღემატება
ორი მომავლის ყოფის გაგება, —
არ მინდა ფიქრზე ხელის აღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი მეგობარი გოჩა

სერგო კლდიაშვილი

მოთხრობა

მხატვარი პ. მახარაძე

ჩვენი მეგობრობა უჩვეულოდ დაიწყო: გაცნობის პირველ დღეს ერთმანეთს თავპირი ვამტვრიეთ. ჩხუბის ამტეხი გოჩა იყო. რომ არ ველოდი, უეცრად სარმა გამომდო, ხელი მკრა და დამანარცხა. შევკრთი, მაგრამ არ წავხდი. დავითრიე, მიწაზე ვაგორავეთ ერთმანეთი, ხან ის იყო ზევით, ხან მე. როგორც იქნა გაგვაშველეს ამხანაგებმა. მერე იმდენი მოახერხეს, რომ შეგვარიგეს. რამდენიმე საათის შემდეგ კი აღარც გვახსოვდა უსიამოვნება და მეორე-მესამე დღეს კიდევაც დავმეგობრდით.

როგორც მაგონდება, ჩვენი ჩხუბის მიზეზი ის იყო, რომ თავკომბალა ვუწოდე. რომ თქვას კაცმა, ტყუილი არ მითქვამს. გოჩა მართლაც თავკომბალა იყო. გოგრასავით მრგვალი და გაბერილი თავი ისეთ წვრილ კისერზე ება, რომ მისი დამნახველი უნებურად შეფიქრიანდებოდა: ვაითუ იმ სათუთმა ღერაკმა სიმძიმეს ვერ გაუძლოს და გადატყდესო.

მაგრამ გოჩა მარტო ამით როდი იქცევდა ყურადღებას. ნამდვილად ჯადო ჰქონდა თითებში, ყველაფრის გაკეთება ემარჯვებოდა. გადაგდებულ ჟანგიან თუნუქის ნაჭერსაც შეეხებოდა თუ არა მისი ხელი, თუნუქი ახალ სიცოცხლეს იწყებდა, ისევ ბზინავდა და რაიმე სათამაშოს გასაკეთებლად გამოსადეგი ხდებოდა.

სიცილზე ძუნწი იყო, მაგრამ თუ ოდესმე გაიცინებდა — უტიეთ მაშინ — დამაყრუებელ ხარხარს იწყებდა არა მხოლოდ თავისი საძირე კბილებამდე გახლეჩილი პირით, არამედ მთელი ტანით, — თვალებს აბრიალებდა, ხელებს ასავსავებდა, ფეხებს წნელივით გრეხავდა. რა გადამდები სიცილი იცოდა!

მერე კიდევაც მადლობელი ვიყავი იმ დღისა, როცა დაუნდობლად ვუბასკუნეთ ერთმანეთს. იმ წუთში, თურმე, ისეთი მეგობარი შევიძინე, რომელიც არავისში არ გაიცვლებოდა. ის ჩემსავით ხეტიალის მოყვარული და თავგადასავლის მოტრფიალე იყო.

გასართობის მომგონი მე ვიყავი ხოლმე, მაგრამ ჩემი ნაფიქრალი მხოლოდ იმ შემთხვევაში ისხამდა ხორცს, თუ გოჩა მოინდომებდა. ერთი პატარა ბიძგი უნდა მიმეცა, შემდეგ კი მისი ფანტაზია ფრთას შლიდა საკვირველი სიძლიერით.

ალტაცებული ვიყავი გოჩათი, მინდოდა როგორმე მისი მოწონება დამემსახურებინა და კეთილი შურიც აღმეძრა მასში: ავდიოდი მაღალი ხის კენწეროზე, იქიდან ტოტზე გადმოვეკიდებოდი, ელვასავით გავირბენდი მინდორზე და რა ვიცი კიდევ რას არ ვცდილობდი, მაგრამ ის იშვიათად თუ რაიმეს გაიკვირვებდა.

ხშირად ვხეტიალობდით ტყეში პანტასა და შინდის, ხან გარეული თხილის საკრეფად. ზოგჯერ კლდეზე ავცოცდებოდით, იქიდან ლოდებს ვაგორებდით და ისეთი ხმით გავკიოდით, უფსკრულში დაქანებული ქვის ზათქიც აღარ ისმოდა. ამით ჩვენ ვითომ დევებს წარმოვსახავდით.

ერთხელ, ხეტიალის შემდეგ შინ რომ ვბრუნდებოდით, განაპირა გორაკზე რაღაც ქოხი დავინახე. შორიდან ისეთი პატარა ჩანდა, კოლოფს უფრო გავდა. დროისა და ავდრისგან გაშავებული და დაფერდებული, მარტო იდგა. ახლომახლო სხვა სახლი არსად იყო.

მეტაფორის მოყვარულს შეეძლო თავისი ფანტაზიისთვის სარბიელი მიეცა და მრავალ რაიმესთვის შეედარებია: სვავისთვის, რომელიც ზევიდან მსხვერპლს უთვალთვალებს, ვინმე განდეგილის სავანესთვის და კიდევ რა ვიცი რისთვის. ეს უკვე მისი ოცნების ფრთაგაშლილობაზე იყო დამოკიდებული. მე კი უეცრად ის აზრი დამებადა, რომ მოჯადოებული ციხე-კოშკი იყო.

რა თქმა უნდა, ჩემი აზრი მაშინვე გოჩას გავუზიარე. როგორც სჩვეოდა, მან არათუ გაიოცა, უმალვე გამიბათილა ნაოცნებარი:

— ახალი ამბავი თქვა! აქამდე არ იცოდი?

როგორმე უნდა მეჯობნა მისთვის და ვთქვი:

— შიგ ცხოვრობს შვიდთავიანი დევი...

ესეც ძველი ამბავი აღმოჩნდა მისთვის. დევის იქ ყოფნა დამიდასტურა, ოღონდ დააზუსტა:

— შენ ცუდად დაგითვლია, ცხრათავიანია. ერთ ლუკმად კამეჩი არ ჰყოფნის. იმ ბოროტს ტყვედ ჰყავს მზეთუნახავი. ძალიან ლამაზია.

— რა იცი, იქნებ ის გრძნეული იყო და როგორც მოეხასიათა, იმგვარად მოგაჩვენა თავი. დარწმუნებული ვარ, კუდიანი დედაბერი იყო! — დავაპირე გოჩას გაწბილება.

— არა, ნამდვილად მზეთუნახავია. ახლოდან დავინახე. თავის გრძელ ნაწნავებს რომ გაშლიდა, შეეძლო მთელი ტანით შიგ ჩამალულიყო. თმა ისეთი ოქროსფერით უბრწყინავდა, რომ დევი ბრმავდებოდა და ახლოს ველარ ეკარებოდა.

ერთხანს ასე ვეჯიბრებოდით ერთმანეთს და ბოლოს ამაზე შევთანხმდით: ის არის დევის მიერ მიტაცებული ბედნიერება ამ ქვეყნისა, მზეთუნახავთა შორის უმშვენიერესი, ყველაზე სათნო, კეთილი, სამართლიანი და თუ მას თავისუფლება ეღირსა, ადამიანები გაბედნიერდებიან.

—იცი რა, — ვუთხარი მეგობარს, — უნდა როგორმე ტყვეობიდან დავიხსნათ!

— მე ეგ სურვილი დიდი ხანია დამებადა, — გამენდო გოჩა. — თუ დამეხმარები, მივაღწევ მიზანს!

— ჰო, მაგრამ, ეგ არც ისე ადვილია, როგორც შენ გგონია. თუ ჯარი არ გვეყოლა, ჩვენ ორს გაგვიჭირდება დევთან შებრძოლება!

მეორე დღეს მრავალი ბიჭი შევიამხანაგეთ, დავსხეპეთ ტირიფის ტოტები, გამოვთალეთ ხმლები, სატევრები, შვილდისრები, ჯოხები ბედაურებად ვაქციეთ, ავმხედრდით და საომრად გავეშურეთ. სარდლად, რა თქმა უნდა, გოჩა ავირჩიეთ.

ღრმა და ვიწრო ხევი უნდა გაგვევლო, სანამ გორაკამდე მივაღწევდით.

# მოდა და მედიცინა

უხსოვარ დროიდან ებრძვიან ერთმანეთს მუდამ ცვალებადი, თავნება მოდა და მკაცრი პურიტანი — მედიცინა. ვინ იცის, რამდენი ომი გადაიტანეს მათ, მაგალითად, „წერწეტა წელის“ კორსეტების გამო. წელზე მეტისმეტად მოჭერა ხელს უშლიდა შინაგანი ორგანოების ნორმალურ მუშაობას. ზიანდებოდა მკერდი, ფილტვები, კუჭი, ღვიძლზე კი წარმოიქმნებოდა ე. წ. „ბაწრის ღარი“. კორსეტები ხელს უშლიდნენ აგრეთვე ჯანსაღი ბავშვების დაბადებას. საინტერესოა ერთ-ერთი გერმანელი პროფესორის შენიშვნა: „წვრილი წელი ბევრს რატომღაც ლამაზი ჰგონია, მაგრამ ქორწინებისათვის იგი საშიში მზითევია, რადგან მას მალე შეუძლია გინეკოლოგთან მიიყვანოს ქალი“.

სილამაზისა და მოხდენილობის სურვილი ახლაც მრავალ საზრუნავს უჩენს მედიცინის მუშაკებს: საჭირო ხდება იმის ახსნა-განმარტება, რომ არასაკმაო და, რაც მთავარია, არასწორმა კვებამ შეიძლება მართლაც კოხტა გარეგნობა მისცეს ადამიანის ტანს, მაგრამ ჯანმრთელობას კი მოუშლის.

მედიცინას ბრძოლა მოუხდა მეტისმეტად გრძელი ფრჩხილების წინააღმდეგაც; ჰიგიენამ ბრძოლა გამოუცხადა ზოგიერთი ცეკვით გატაცებასაც.

თუმცა ვიყოთ სამართლიანი: ხშირად ეს ბრძოლა ორივე მხარის მტკიცე კავშირსა და თანხმობაში გადაიზრდება ხოლმე. მაგალითად, ჰიგიენაც და მოდაც ერთხმად უჭერენ მხარს მსუბუქ, ლამაზ, გლუვზედაპირიან ავეჯს, უარყოფენ ათასნაირ ბალიშს და პატარა ფარდაგს, უამრავ საკამოდო სამშვენისებს, აბრეშუმის აბაჟურებსა და ა. შ.

დაწესებულებებში მოდაც და მედიცინაც ერთად გამოდიან ხავერდის მძიმე ფარდებისა (რამდენი მტვერი იყრის მათში თავს!) და უზარმაზარი სამელნე მოწყობილობების წინააღმდეგ; ამავე დროს მოდაც და მედიცინაც მეტად სასარგებლო საქმედ თვლიან ტურისტულ ლაშქრობებსა და წყალქვეშა ცურვას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ იმ საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ კამათის საგანს წარმოადგენს.

ამას წინათ, ერთ-ერთი აგარაკის მახლობლად თვალი მოვკარი მაღალ, ნემსივით წვრილ ქუსლებზე შემდგარ ქალიშვილს, რომელიც დიდი ტანჯვითა და წვალებით მიდიოდა. არა, მე წვრილი ქუსლების წინააღმდეგი როდი ვარ, მაგრამ... ჩაიცვით ასეთი ფეხსაცმელები იშვიათად — თეატრში, წვეულებაზე. ყოველდღიურად ნუ ატარებთ მათ, მაშინაც კი, თუ „შეეჩვიეთ“ და არავითარ უხერხულობას არ გრძნობთ. საქმე იმაშია, რომ ადამიანის სხეულის სიმძიმე ასე ნაწილდება: 60 პროცენტი ქუსლზე, დანარჩენი 40 პროცენტი ტერფის შიდა და გარე ნაწილზე. თუ ქუსლს ავწევთ ათი და მეტი სანტიმეტრის სიმაღლეზე, მაშინ სხეულს ეკარგება საყრდენი და სიმძიმის ცენტრი წინ გადადის. ამის შედეგად ვითარდება ე. წ. ბრტყელტერფიანობა.

ზოგიერთი უცხოელი ქირურგი-ორტოპედი სიამოვნებით იფშვნეტავს ხელებს ბიზნესის მოლოდინში — წვრილ ქუსლებს გვარიანი გასამრჯელო მოაქვს მათთვის.

ყოველდღიური ხმარებისათვის, ყველაზე ჰიგიენურად უნდა ჩაითვალოს ის ფეხსაცმელი, რომლის ქუსლის სიმაღლე 5 სანტიმეტრს არ აღემატება. თავისთავად ცხადია, რომ ლაშქრობებისა და საველე სამუშაოებისათვის ასეთი ქუსლი გამოუსადეგია. სრულიად დაუშვებელია 16-17 წლის ქალიშვილებისათვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების (განსაკუთრებით ე. წ. „ლოდოჩკების“) ხმარება.

თუმცა, მედიცინა არა მარტო ქალის, არამედ მამაკაცის ზოგიერთი ფეხსაცმლის მოყვანილობასაც არ ეთანხმება. ვიწრო (და არა ვიწროცხვირიანი!) ფეხსაცმელებიც ნაკლებად მიზანშეწონილია: ზამთარში ფეხები გეყინება, ზაფხულში მეტისმეტად გიოფლიანდება, ამას გარდა, ზიანდება ფეხის სისხლძარღვებიც.

მოკლე ლაბადები წვიმის დროს თითქოს სპეციალურად იმისთვის არის შექმნილი, რომ მათმა პატრონებმა სველი მუხლებით იარონ.

დიდი არეულ-დარეულობაა თმის ვარცხნილობის საქმეში. კარგია, რომ თავისი დრო მოჭამა „ცხენის კუდის“ მოდამ, ვინაიდან იმ ადგილებში, სადაც კანი ყველაზე უფრო მოჭიმული იყო, ამ მოდის მიმდევრებს სისხლის არასწორი მიმოქცევის გამო თმა სცვიოდათ. თანამედროვე ქალების თმის ვარცხნილობა (სათანადო წესების დაცვით) თითქოს არ იწვევს მედიცინის წინააღმდეგობას. მაგრამ თმის დაწეწვას (ე. წ. „ნაჩოსი“) შეუძლია გამოიწვიოს მისი დალუპვა, ამასთან იგი თითქმის შეუძლებელს ხდის მის მოვლას, რაც ზოგჯერ ავითარებს თავის კანის დაავადებებს. ორმა ნაცნობმა ექიმმა-ოკულისტმა შემომჩივლა, რომ იმ გოგონებს, რომლებსაც თმა შუბლზე აქვთ ჩამოვარცხნილი ან ჩამოშვებული პირდაპირ თვალებზე, ხშირად ემართებათ ანთებითი პროცესები — კონიუნქტივიტები.

კიდევ კარგი, რომ ჩვენში პომადებისა და ფრჩხილების ლაკისაგან მიღებული უსიამოვნებანი იშვიათია. თავს იჩენს გამოშვებული პროდუქციისადმი დაწესებული მკაცრი კონტროლი. ხორციელდება მრავალი ღონისძიება ჰიგიენური, ხმარებისათვის მოსახერხებელი და ლამაზი ქსოვილების შესაქმნელად.

მედიცინა და მოდა მეგობრულად უნდა ცხოვრობდნენ ერთად. აკი, როგორც ნ. ჩერნიშევსკიმ აღნიშნა, „ლამაზი და მშვენიერი ადამიანში წარმოუდგენელია მისი ორგანიზმის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარების გარეშე“.

ნ. ბორისოვი

ექიმი-ჰიგიენისტი

---

გზაში სიფრთხილეს ვიჩენდით, რომ ჩვენი ლაშქრობა ციხე-კოშკიდან არ შეენიშნათ. ისე უნდა მივახლოვებოდით, რომ მზვერავებს და ქონგურებზე მოდარაჯე მეციხოვნეთ არ დავენახეთ.

ავიარეთ ფერდობი და ციხე-კოშკის ძირში დავბანაკდით. ახ, შე წყეულო! შენ დგახარ ჩვენს წინაშე როგორც პატარა ძველი ქოხი, რომლის კარი მოტეხილ ფრთასავით დაკიდებულა და ნიავის ქროლვაზედაც ირწევა. შენ გინდა ისე მოგვაჩვენო, რომ შიგ ცხრაკლიტულში მჯდომარე ქალწული კი არა, თაგვიც ვერ დაიმალება, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერ მოგვატყუებ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ შენ მოჯადოებული ხარ და შეგიძლია ის გარეგნობა მიიღო, რომელიც შენთვის ხელსაყრელია!

სადღაც შორიდან გრგვინვა მოისმა.

— გაიგონეთ? — გაგვაფრთხილა სარდალმა. — ეს დევმა ხვრინვა ამოუშვა. სანამ გაიღვიძებდეს, შეტევაზე უნდა გადავიდეთ!

ვიფორთხეთ ბუჩქებს შორის, აღარ დავზოგეთ თავი. მხოლოდ ერთ ადგილას მცირე ხნით შევყოვნდით, — მწიფე შავქლიავით დახუნძლული ხე დავინახეთ, ჯერ მიწაზე ჩამოცვენილით შევნაყრდით და ის იყო თვითონ ტოტებს წავეპოტინეთ, როცა უეცრად გოჩამ დასჭექა:

— იერიშზე! ფიცხელ იერიშზე!

წამოვცვივდით და მტერს ვეკვეთეთ. ამ გაბედულმა და მოულოდნელმა იერიშმა, ცხადია, ისეთი თავზარი დასცა მეციხოვნეთ, რომ ყველა მიიმალა. შვილდისრებით ვცხრილავდით ციხის კედლებს, ხმლებით ვჩეხავდით ეზოში თავალერილ ანწლს, შურდულით კენჭებს ვტყორცნიდით ალაყაფის კარებს და ისეთი კიჟინა დავცხეთ, რომ ჩვენი ხმა ალბათ ქვემოთ სოფელში ესმოდათ.

— ვინც ცოცხალი დარჩით, მომყევით! — გადმოგვძახა სარდალმა, პირველი ეკვეთა ალაყაფის კარებს, შეიჭრა ციხე-კოშკში და ჩვენც შევცვივდით.

ქოხი ცარიელი აღმოჩნდა. შუა ადგილას თითქოს კერიას მსგავსი რაღაც დავინახეთ, ორი ქვა იდო და ნაცრის კვალი ჩანდა... იქნებ მიტოვებული ძველი ნამოსახლი იყო ანდა მწყემსების თავშესაფარი... მაინც მოვიფათურეთ გარშემო, ვითომ წავაჭერით დევს მისი ცხრა თავი, შევტეხეთ ცხრაკლიტული, ვიპოვეთ მზეთუნახავი და გამოვიყვანეთ. სარდალმა მტერზე ძლევა მოგვილოცა, ქება-დიდება შეგვასხა გმირული ბრძოლისათვის და, გამარჯვებულნი, ზეიმით გამოვბრუნდით.

რამდენიმე ათეული წელიწადია მას შემდეგ. თითქოს ძველი ამბავია და მარად ახალიც...

ბავშვობის დროიდან გოჩა აღარ მინახავს. მაგრამ ვიცი, ის ცოცხალია. მუდან თვალწინ მიდგას ეს დაუცხრომელი ქართველი ბიჭი, უკვე დავაჟკაცებული და ისევ ხალისით სავსე, რომლის ოცნება ახლა ბევრად დიდია და ჩემს ქვეყანას თავზე ევლება. მისი ცხოვრება ისე არ გაივლიდა, რომ კვალი არ დაეტოვებია. არა ერთხელ მომლანდებია ყველგან იქ, სადაც ხმაურობს ელსადგური და ძველ უდაბნოში გაჭრილ არხით წყალი მიედინება. ან იქნებ ახალ სივრცეებს იპყრობს ცაში, ანდა სადმე შორეულ ოკეანეში ვეშაპებზე სანადირო გემები დაჰყავს? ის კი ნამდვილად ვიცი, რომ თავისი ოქროსთმიანი მზეთუნახავი მუდამ თან ახლავს.



# ერთი ვერაგობის ფასი

დილით ბატალიონის ხელმძღვანელობამ წინააღმდეგობის მოძრაობის ჰოლანდიელ წარმომადგენლებს საზეიმო ვითარებაში გადასცა კუნძულზე სამოქალაქო ხელისუფლება. რატუშის თავზე ფრიალებდა საბჭოთა კავშირისა და ნიდერლანდების დროშები. სხვა შენობების სახურავებიც მორთული იყო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მეომარი მოკავშირე სახელმწიფოების ალმებით.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. სამი დღის შემდეგ გერმანელებმა სცადეს დესანტის გადასხმა კუნძულ ტექსელზე. ჯარით, ტანკებით და სწრაფმსროლელი ზარბაზნებით დატვირთული ოთხი გერმანული ხომალდი არტილერიის საფარ ქვეშ ცდილობდა ოუდე სხილდის ნავსადგურში შეჭრას. მაგრამ მტრის დესანტი მოგერიებულ იქნა. ორი ხომალდი სერიოზულად დაზიანდა. ფლოტილიამ პირი იბრუნა და ვერც ერთმა ჰიტლერელმა ჯარისკაცმა ვერ შეძლო ნაპირზე გადასვლა.

გამარჯვება კვლავ აჯანყებულთა მხარეზე იყო. მაგრამ მდგომარეობა მაინც კარგს არაფერს უქადდა მათ — გერმანელები ვერ ურიგდებოდნენ კუნძულის დაკარგვას. პირველ დარტყმას უეჭველად მოყვება მეორე, მეორეს — მესამე... ეყოფათ განა კუნძულზე იმდენი ძალა, რომ მტრის შემოტევა მოიგერიონ? სწორედ მაშინ გადაწყვიტეს რამდენიმე კაცის გაგზავნა ინგლისში დახმარების სათხოვნელად.

ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა წესრიგში მოიყვანეს ძველი მოტორიანი ნავი, დატვირთეს საგზლით, სასმელი წყლითა და, რაც მთავარია, საწვავით მოტორისათვის და იმავ ღამეს გაუდგნენ სახიფათო გზას.

ისინი ნაპირზე შალვა ლოლაძემ გააცილა. მან განზე გაიყვანა მებრძოლები და ერთხელ კიდევ უთხრა:

— როგორმე მიაღწიეთ, ბიჭებო, ინგლისამდე... რადაც არ უნდა დაგიჯდეთ. იქ ჩვენი მოკავშირეებია. თუ ერთი დაიღუპა, იცუროს მეორემ, მესამემ. ყველა რომ დაიღუპოთ, ამის უფლება არ გაქვთ. ოთხნი ხართ, ბიჭებო, და ერთმა მაინც უნდა მიაღწიოს ინგლისს. უთხარით იქ, დაგვეხმარონ. არადა, გაგვიჭირდება, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ არ დავნებდებით.

იქვე იყო იატაკქვეშური პარტიული კომიტეტის მდივანი ევგენი არტემიძეც. იმანაც უთხრა მათ — ეს თქვენი პარტიული დავალებაა, არ დაგავიწყდეთო...

აი ყველაფერი ის, რაც მოუთხრო საბჭოთა ოფიცერს ოთხმა ქართველმა ჭაბუკმა. მათ დასძინეს, რომ გათენებისას, როცა ნავი შორს, გაშლილ ზღვაში იმყოფებოდა, საჭესთან მდგომმა ჰოლანდიელმა მეზღვაურმა ხელი ჰორიზონტისაკენ გაიშვირა და თქვა:

— ისევ მიემართებიან ჩვენი ტექსელისაკენ...

დილის ნისლში მოჩანდა სადესანტო ხომალდები, რომლებსაც ტექსელისაკენ ჰქონდათ გეზი აღებული. როგორც ჩანდა, გერმანელები ახალ დესანტს სხამდნენ კუნძულზე.

აი რა აშფოთებდათ ტექსელიდან გამოგზავნილ ქართველ ბიჭებს. მათ სამხედრო მისიის ოფიცერს უთხრეს:

— საჩქაროდ უნდა დავბრუნდეთ უკან. ჩვენ იქ გველოდებიან. გვითხარით, შესძლებს თუ არა ბრიტანული დესანტი ხვალ გამგზავრებას?

ქართველ მებრძოლებს ინგლისის იმედი ჰქონდათ. სამხედრო მისიის ოფიცერმა გული არ გაუტეხა მათ.

— არ ვიცი, ეს ბრიტანეთის ხელისუფალთა საქმეა, — უპასუხა მან, — ყოველ შემთხვევისათვის მინდა გაგაფრთხილოთ, — ოფიცერმა ხმას დაუწია და ჩურჩულით თქვა, — ხვალ კიდევ მოვალ თქვენთან. თუ სადმე გადაგიყვანეს, მაცნობეთ. თუნდაც წერილი დაწერეთ და აი აქ დამალეთ.

და მან კარის ზემოთ კედლის ბზარზე მიუთითა.

მეორე დღეს საბჭოთა ოფიცერმა ბანაკში ისინი ველარ იპოვა. ბანაკის კომენდანტმა, მაღალმა, გამხდარმა მაიორმა განაცხადა, რომ კუნძულ ტექსელიდან მოსულებმა აღარ მოისურვეს საბჭოთა წარმომადგენელთან შეხვედრა და დატოვეს ბანაკი. სად წავიდნენ? კომენდანტს უფლება არა აქვს თქვას რამე ამის შესახებ, ეს მისი პირადი საქმე როდია.

საბჭოთა მისიის ოფიცერმა ხერხს მიმართა:

— იცით რა, — თავაზიანად წარმოთქვა მან, — სიმართლე გითხრათ, მეც ვეჭვობ, რომ ბიჭები ბანაკში იყვნენ. მაგრამ როგორ მოვახსენო ჩემს უფროსებს? იქნებ შევძლო იმ ოთახის ნახვა, სადაც მათ წუხელ გაათენეს. დამარწმუნეთ, რომ ისინი მართლა არ არიან ბანაკში.

ინგლისელი ხალისით დათანხმდა. იგი კმაყოფილი იყო, რომ საბჭოთა ოფიცერი ასე მშვიდობიანადაა განწყობილი. ნახავს და ამით დამთავრდება საქმე.

ოთახი, სადაც ტექსელიდან მოსულები ცხოვრობდნენ, ცარიელი იყო. სამხედრო მისიის მუშაკი კარებში შესდგა, ხელი ასწია, კარის ზემოთ ბზარი მოსინჯა და ქაღალდის ნაგლეჯი გამოიღო. წერილში რამდენიმე სტრიქონი ეწერა:

„გადავყევართ, მაგრამ არ ვიცით სად. მოვითხოვეთ საბჭოთა წარმომადგენლის გამოძახება, არ დაგვთანხმდნენ. დაგვემუქრნენ გა....“

წერილი დაუმთავრებელი იყო. ოფიცერმა იგი კომენდანტს გადაუთარგმნა.

— ახლაც იტყვით, რომ მებრძოლებმა ნებაყოფლობით დატოვეს ბანაკიო?

ინგლისელი კომენდანტი დაბნეული ახამხამებდა თვალებს.

— არ მესმის, ეს როგორ მოხდა... არ მესმის, — ამოღერღა მან როგორც იქნა.

სამიოდე კვირის შემდეგ, იმ დღეს, როცა ფელდმარშალმა კეიტელმა და გროსადმირალმა დენიცმა ხელი მოაწერეს ნაცისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს, უინსტონ ჩერჩილი მცირე ხნით ესტუმრა საბჭოთა საელჩოს, რათა ელჩისა და საელჩოს მუშაკებისათვის გამარჯვება მიელოცა. მან ღვინით სავსე ჭიქა ასწია და თქვა, რომ აქ შეკრებილთა სახით ულოცავს ყველა საბჭოთა ადამიანს. მერე გადაუდებელი საქმეები მოიმიზეზა და დაუნინგსტრიტში წავიდა.

ომის დამთავრების მეორე დღეს შტაბის უფროსმა მას კარტოგრაფიულ კაბინეტში მსოფლიოში არსებული მდგომარეობა გააცნო. შორეულ აღმოსავლეთში კვლავ გრძელდება ომი იაპონიასთან. ევროპაში უკვე მყუდროება ჩამოდგა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე კერას, სადაც უფრო ფანატიკურად განწყობილი ნაცისტები კვლავ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას. ჩეხოსლოვაკიაში იბრძვის გენერალ შერნერის დაჯგუფება. კუნძულ ტექსელზე კვლავინდებურად მიმდინარეობს გერმანიის დამსჯელი ჯარების მოქმედება ქართული ბატალიონისა და ჰოლანდიის წინააღმდეგობის რაზმების ნაშთების მოსასპობად. კაპიტულაციის შესახებ ბრძანების მიუხედავად, კუნძულზე მოქმედობს რამდენიმე ათასი ჰიტლერელი. შტაბის უფროსმა წინადადება წამოაყენა — ხომ არ გადავსხათ კუნძულზე კანადელთა ნაწილები გერმანელების განსაიარაღებლადო?

ჩერჩილმა დაუდევრად ჩაიქნია ხელი.

— დე, თვითონ მოუარონ მაგ საქმეს...

ასეთი გულღრძო კაცი იყო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი.

* * *

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უკვე ორი კვირა იყო გასული, მაგრამ კუნძულ ტექსელზე მაინც გრძელდებოდა გერმანელთა დამსჯელი ჯარების მოქმედება. მსოფლიო ზეიმობდა ფაშიზმზე გამარჯვებას, აჯანყებული ქართული ბატალიონის დაქუცმაცებული რაზმები და ჰოლანდიელი პატრიოტები კი კვლავ განაგრძობდნენ ესესელებთან ბრძოლას. დასავლეთის ვერაგი პოლიტიკით ბედის ანაბარა მიტოვებული აჯანყებულები ბრძოლის პარტიზანულ ხერხზე გადავიდნენ. ისინი იმალებოდნენ კუნძულის სიღრმეში ზღვისპირა ჯებირებში, ხევებში, ძველ ნანგრევებში და მოულოდნელად ესხმოდნენ თავს დამსჯელებს. ეს ბრძოლა გერმანელებს მცირე მსხვერპლად როდი დაუჯდათ — ნავსადგურ ოუდე სხილდის მისადგომები, შუქურას შემოგარენი, საველე აეროდრომი და მთელი სანაპირო ორი ათას ხუთასამდე გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამით იყო მოფენილი. მაგრამ აჯანყებულებმაც, რომლებმაც კუნძულის ხელში ჩაგდება თითქმის უდანაკარგოდ მოახერხეს, შემდეგ ბრძოლებში მძიმე დანაკლისი განიცადეს. თვე-ნახევარი გრძელდებოდა ეს უთანასწორო ბრძოლა კუნძულ ტექსელზე. გერმანელების მხრიდან მასში მონაწილეობას იღებდა ტანკებითა და საველე არტილერიით შეიარაღებული ოთხი ათასამდე ჰიტლერელი.

კუნძულზე მხოლოდ **1945** წლის **21** მაისს გადასხდნენ კანადელთა ნაწილები. გერმანელთა ჯარებმა უბრძოლველად დაყარეს იარაღი. მაგრამ განა ადრე არ შეიძლებოდა ამის გაკეთება?

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ აჯანყებულები მარხავდნენ თავიანთ დახოცილ ამხანაგებს, მარხავდნენ ბორცვზე, ძმათა სამარეში. ღია საფლავის წინ ცხრა რიგად იწვა ქართული ბატალიონის **522** ჯარისკაცი თავიანთ კაპიტან შალვა ლოლაძესთან ერთად. ჰოლანდიელ პატრიოტთა შორისაც ასამდე მოკლული დაითვლებოდა.

ყოველივე ეს იყო ერთი ვერაგობის ფასი.

ი. კოროლკოვი

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 7.

მარცხნიდან მარჯვნივ — დგანან: ზ. ჯაოშვილი, ლ. წიქარიძე, გ. გარსევანიშვილი, ლ. ხურცილავა, ნ. გურაშვილი, დ. სარჯველაძე; სხედან: გ. ფირცხალავა, გ. ცაგარეიშვილი, ევ. არტემიძე, შ. ნოზაძე, უ. სადღობელაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაწოლილი წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ განსაზღვრავს წიგნის ტირაჟს?

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა ივნისის პლენუმის შედეგების განხილვას და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, აღინიშნა, რომ „ჩვენს გამომცემლობათა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია... ბევრი წიგნი ისე გამოდის, რომ გათვალისწინებული არ არის მოსახლეობის მოთხოვნილება და ჩაწოლილია „საქწიგნის“ მაღაზიებისა და ბაზების წიგნის თაროებზე“.

რატომ ხდება ეს? შევიხედოთ საწყობებში. გადავხედოთ ამ ჩაწოლილ წიგნებს. სამწუხარო ისაა, რომ გაუსაღებელი რჩება არა მარტო მდარე, არამედ ხანდახან ძლიერ კარგი და შესანიშნავი წიგნებიც. აი, თუნდაც ლესინგის „დრამები“. 7.844 ეგზემპლარი ამ წიგნისა ინახება მიწის ქვეშ, სარდაფში, ინახება ძალზე საიმედოდ, საგულდაგულოდ დარაზული კარის იქით. გარდა ამისა, ბლომად არის ეს წიგნი, მაღაზიებშიც — ვიტრინებში და თაროებზე. ლესინგის „მინა ფონ ბარნჰელმი“, „ემილია გალოტი“ და „ნათან ბრძენი“ მსოფლიო ლიტერატურის იმ შედევრთა რიცხვს ეკუთვნიან, რომლებიც არასოდეს არ მოძველდებიან. მაშ რაშია საქმე? რატომ უნდა ეწყოს უქმად სარდაფში ეს შესანიშნავი ნაწარმოებები?

საქმე იმაშია, რომ თავის დროზე „საბჭოთა საქართველომ“ ტირაჟი წესიერად არ დაგეგმა. წიგნი გამოსცეს 18.000 ეგზემპლარის რაოდენობით; ლესინგის იგივე რჩეული თხზულებანი მოსკოვში, „გოსლიტიზდატმა“ რუსულ ენაზე გამოსცა 30.000 ცალის რაოდენობით. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ — განა ეს სწორი შეფარდებაა? მოსკოველმა გამომცემელმა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაგეგმა 30.000, თბილისელმა კი, ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით — 18.000. კომენტარები აქ ზედმეტია. ჩვენ არ გავითვალისწინეთ ჩვენი მკითხველის მოთხოვნილება და აი შედეგიც — ტირაჟის თითქმის ნახევარი უქმად აწყვია სარდაფებში.

და განა მარტო ამ წიგნს დაემართა ასეთი ამბავი? ჩვენ აქ შეიძლება გაგვეხსენებინა არა ერთი ასეთივე სამწუხარო ისტორია, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია.

მომავალში ამგვარი შემთხვევების აღკვეთისათვის აუცილებელია საგამომცემლო და სავაჭრო დარგების ურთიერთშერწყმული, შეთანხმებული მუშაობა. საჭიროა გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული, რათა პოლიგრაფიის მთავარი სამმართველო, „საქწიგნი“ და გამომცემლობები ყურს უგდებდნენ ერთიმეორეს, დაამყარონ ნამდვილი კონტაქტი, როცა ყურადღების ცენტრში იქნება მხოლოდ ერთი რამ — მკითხველის მოთხოვნილება. მკითხველის მოთხოვნილებას, მის ინტერესს კი, ცხადია, შესწავლა სჭირდება, ღრმა, საფუძვლიანი, ყოველმხრივი შესწავლა. ეს კი სწორედ „საქწიგნის“ ვალია. მხოლოდ ამგვარი შესწავლის შემდეგ უნდა დადგინდეს წიგნის ტირაჟი. და ეს უნდა გავავრცელოთ ყოველგვარი ხასიათის წიგნზე — იქნება ის პროზაული თუ პოეტური ნაწარმოები, თარგმნილი თუ ორიგინალური, ძველი თუ ჩვენი დროის ავტორის ქმნილება. მაშინ ჩვენს საწყობებში უქმად ჩალაგებული აღარ შეგვხვდებათ ერთი და იმავე ნაწარმოების პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. გამოცემები. ეს კი ამჟამად ძალზე ჩვეულებრივი ამბავია.

## წიგნები, რომლებსაც ობი ეკიდება

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ისიც აღინიშნა, რომ ჩვენი წიგნები შეუფერებელ სარდაფებში ინახება, რის გამოც ისინი ჰკარგავენ საქონლის სახეს. ამით გამოწვეული ზარალი შეადგენს უზარმაზარ თანხას — დაახლოებით 1.800 ათას მანეთს.

ჩვენ ვნახეთ ეს სარდაფები. აი, ერთი მათგანი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე (№ 38) მდებარეობს. ესაა წიგნის საფონდო საწყობი. ყრუ და ჩახუთულ სარდაფში დგას ნესტისა და ობის სუნი. შელახულია ჭერი, დაბზარულია კედლები. აგერ წიგნის ვეებერთელა გორები. წიგნები ყრია მიწაზე. მერე რა წიგნები: შესანიშნავი გამოცემანი, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, საქვეყნოდ სახელგანთქმული რომანები. ხელში ვიღებ ერთ მათგანს. ყდა თითქმის შემოცლილია, ფურცლები დალაქავებული, სტრიქონები წაშლილი. სატიტულო ფურცელი დაცრეცილია და ძლივს ამოიკითხება: მიგელ დე სერვანტეს საავედრა — „დონ კიხოტი“, წიგნი პირველი. აგერ მეორე ცალი, მესამე, მეასე...

და ამგვარ სურათს განა მხოლოდ ერთ საწყობში ნახავთ! მარტო თბილისში ექვსი საწყობი-სარდაფი სავსებით შეუფერებელია წიგნების შესანახად. ბოტანიკური ბაღის ორივე სარდაფი მეტად ცუდ დღეშია. ასევე ითქმის ორჯონიკიძის და პირველი მაისის რაიონებში მდებარე საწყობებზე. ცალკეულ სარდაფებში გზის გაკვლევა შეუძლებელია. წყალი ჟონავს. დაცული არ არის სანიტარული წესები. სინესტეა და სიბნელე. ერთი-ორი საათის შემდეგ ტანსაცმელი სველდება. წიგნს რაღა დაემართება?

## წყალში გადაყრილი მანეთები

როცა სარდაფი ისე აივსება ხოლმე, რომ შიგ შესვლაც შეუძლებელი ხდება, მაშინ „საქწიგნის“ მუშაკები იძულებულნი არიან დაიწყონ წიგნების ჩამოწერა. ჩამოსაწერი წიგნების დასადგენად გამოიყოფა კომისია, შედგება გარკვეული სია და წიგნი, რომელზეც აუარებელი შრომა, ჯაფა, ფული დაიხარჯა, ერთი კალმის მოსმით იქცევა მაკულატურად.

აი აქ იწყება იმ „ცოდვის ზღვევა“, რომელიც ტირაჟის დამდგენმა ჩაიდინა. წესიერი მუშაობა, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება რომ ყოფილიყო, მკითხველის მოთხოვნილება რომ გაგვეთვალისწინებინა, აღარც ეს კომისია იქნებოდა საჭირო და აღარც იძულებული ვიქნებოდით ასიათასობით მანეთები წყალში გადაგვეყარა.

წიგნის ჩაწოლისა და ჩამოწერის საფრთხეს ქმნის წიგნების დაგვიანებით გამოსვლაც. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის დროზე გამოცემას. მიმდინარე წელს ბავშვთა დაცვის დღისათვის გამიზნული მხატვრული პლაკატი „საბჭოთა საქართველომ“ საგრძნობი დაგვიანებით ჩააბარა „საქწიგნს“. „საბჭოთა საქართველოს ორმოცი წელი“ დღესასწაულიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ იხილა მკითხველმა. ცხადია, ამის გამო დიდად შეფერხდა ამ წიგნის გავრცელების საქმე.

## პოლიგრაფიული წუნი

საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ წიგნის მხატვრულ და პოლიგრაფიულ გაფორმებას. ჩვენი წიგნის ბაზარზე ჯერ კიდევ გვხვდება პოლიგრაფიულად მდარედ, უგემოვნოდ გაფორმებული წიგნები. ამიტომაც წიგნის ექსპერტის ცენტრალური გაერთიანება იძულებულია უკანვე დაუბრუნოს „საქწიგნს“ საექსპერტოდ გაგზავნილი წიგნები მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების დაბალი დონის გამო.

აი, ფაქტებიც: ჩარლზ დიკენსის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ ოცი საუკეთესო ცალი გაეგზავნა ექსპერტს. დამეთანხმებით, რომ ეს ეგზემპლარები გულდასმით იქნებოდა შერჩეული წიგნის მთელი ტირაჟიდან. და რა მოხდა: ოცივე ცალი მიჩნეულ იქნა აშკარა წუნდებულ პროდუქციად და გადმოიგზავნა ისევ უკანვე.

დავუშვათ, „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ ერთეული შემთხვევაა. „დაზგობრივი ფერწერის ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე“ რაღას იტყვიან? იქნებ ოცი ეგზემპლარიდან, ჩვიდმეტი „უმიზეზოდ“ დააბრუნა საკავშირო „კნიგოექსპერტმა“?

ახლა აიღეთ თუნდაც კრებულები „საბჭოთა აჭარა“, „საბჭოთა აფხაზეთი“, „საბჭოთა სამხრეთოსეთი“. სამივე უხარისხოდაა დაბეჭდილი, ტყდება და იშლება, ფოტოსურათებიდან სალებავები ერთმანეთშია გადასული. გარეკანი გაჭუჭყიანებულია.

ეს ხომ მომხმარებლის უპატივცემლობაა!

უხარისხოდ გამოცემულ წიგნს სტამბები ხშირად უხარისხოდაც ფუთავენ ხოლმე, არ იცავენ შეფუთვის დაკანონებულ წესებს. წუნი ამ გზითაც იქმნება და აქაც საჭიროა სათანადო ზომების მიღება.

## შევიხედოთ წიგნის მაღაზიებში

ლიტერატურის ასეთი დიდი რაოდენობით ჩაწოლის ერთ-ერთი მიზეზი ვაჭრობის ცუდი ორგანიზაციაა. წიგნის სავაჭრო მაღაზიებში არსებული პირობები სრულიადაც ვერ პასუხობენ მკითხველის გაზრდილ მოთხოვნებს.

ყველამ ვიცით სასტუმრო „საქართველო“ თბილისში. შესანიშნავი, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი ნაგებობაა. სასტუმროს წინ, მოპირისპირე მხარეს, ალბათ, წიგნის მაღაზიაც შეგინიშნავთ.

წიგნის მაღაზია კი ეწოდება, მაგრამ, რომ იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევსო, ამაზეა ზედგამოჭრილი. ცხრა კვადრატული მეტრი ფართობი,— აი მთელი მისი სიგრძე-სიგანე! ორი კაცი ხეირიანად ერთმანეთს გვერდს ვერ შეუვლის და დიდის ამბით მაღაზია კი ჰქვიან.

არც ლესელიძის ქუჩაზე მდებარე „საქწიგნის“ ნომერ ოცდაერთი მაღაზიაა კარგ დღეში. ეს კი არის, მისთვის სამი კვადრატული მეტრით მეტი ფართობი მიუზომავთ. მოდი და აქ კულტურულად ივაჭრე! დახორავებულ წიგნებში რომელი ერთი უნდა გამოარჩიო.

საგულისხმოა ასეთი გარემოებაც: ერთ უბანში, ხშირად ერთმანეთის გვერდიგვერდ, წიგნის რამდენიმე მაღაზია გხვდებათ.

ჩაიარეთ პლეხანოვის პროსპექტზე. დათვალეთ წიგნის რამდენი მაღაზიაა. ვინ ამბობს, რომ ეს ცუდია. მაგრამ რა დააშავა თბილისის სამმა დიდმა რაიონმა (ლენინის, ოქტომბრისა და ოცდაექვსი კომისრისა), მხოლოდ შვიდი მაღაზია რომ აკმარეს.

ორიოდე სიტყვა წიგნის ბაზაზედაც.

წიგნის ბაზა „საქწიგნის“ ქვემო სართულებშია განლაგებული. მესამე წელია დაგეგმეს წიგნის ბაზის მშენებლობა ორხევში. „მთავართბილმშენის“ მერვე უბანმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია მშენებლობის დამთავრებას.

## მკითხველი მოითხოვს კარგ წიგნს

მკითხველი მოითხოვს: მოგვეცით წიგნი, კარგი წიგნი. გაადიდეთ ტირაჟი. ახლა უფრო ხმამაღლა, ვიდრე ოდესმე წინათ, გაისმის წიგნის მოყვარულთა ეს მოთხოვნა.

მართალია მკითხველი. მას ესაჭიროება წიგნი, მხოლოდ ისეთი, რომელიც სულსა და გულს ეხმიანება, ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანის სულიერ სამყაროს შეეფერება. ყველა ოჯახს სურს თავისი ბიბლიოთეკა დაამშვენოს კარგად გამოცემული სრულფასოვანი წიგნებით. ბევრი ოჯახი პატარა ბიბლიოთეკას დაემსგავსა. წიგნისაკენ სწრაფვა ჩვენს ქვეყანაში დღითი დღე იზრდება, იზრდება განუსაზღვრელად, აქამდე არნახული მასშტაბებით. ამიტომაც ასე ახლო მისატანია გულთან, როცა ილუპება, ლპება და ფუჭდება უამრავი წიგნი.

არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ის უწესრიგობა, რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება წიგნის გამოცემა-გავრცელების საქმეში და რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ.

ვლ. ნიჟნიანიძე

# შემოდგომა

დერდ ჩაპო

ერთხელ, დილით, ნაციონალური მუზეუმის ბაღში ვიჯექი. ჩემს გვერდით ორი მოხუცი ისვენებდა. თითქოს სულგანაბულნი უსმენდნენ შემოდგომის შრიალს. ჭადრის ქვეშ ვისხედით. მზე ფოთლებში იჭვრიტებოდა.

— ეს სულ სხვაა, — წამოიწყო ერთმა მოხუცმა.

— რას იზამ, ზაფხული მიიწურა,— უპასუხა მეორემ და ჯოხის წვერით გზის ხაზვას შეუდგა.

— იცით, შემოდგომის ასეთ დღეებში რატომღაც ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს შეცდომაა, — თქვა ჭაღარათმიანმა.

ჯოხიანს არ უკითხავს რა შეცდომაზე ელაპარაკებოდა მოსაუბრე. ისედაც კარგად იცოდა.

მე შორიახლო ვიჯექი და თავი ისე მეჭირა, თითქოს მათი საუბარი სულაც არ მაინტერესებდა.

—რა კარგი იქნებოდა, რომ ყველაფერი პირუკუ ხდებოდეს, — განაგრძო ჭაღარამ, — რაოდენ კარგი იქნებოდა ხეებისთვისაც. დაიბადებოდნენ ბებრები, გამხმარი ფესვებითა და ტოტებით. მერე კი, წლიდან წლამდე ტანს აიყრიდნენ და გამწვანდებოდნენ, ახალ ხასხასა ყლორტებს გამოისხამდნენ.

— დიახ, ხეები გაიხარებდნენ. — თქვა მეორემ.

—ჩვენც, სიცოცხლეს სამოცი-სამოცდაათი წლის თმაჭაღარები დავიწყებდით, მერე თმები ნელ-ნელა გაშავდებოდა და ძალას მოვიკრებდით. გავხდებოდით ორმოცდაათის, შემდეგ ორმოცის, ოცდაათის... ბოლოს ამ სათვალესა და ქუდსაც მოვიშორებდი.

— ასე, ასე, — თქვა ჯოხიანმა. აი, ეს მესმის. მაშინ ქალიშვილებს ვეტყოდი: „ჯერ იცი, ოცდაათი წელი დამაცადეთ, მერე გიჩვენებთ რა ბიჭიცა ვარ...“

— სად იქნებოდნენ მაშინ ეს ქალიშვილები, — ჩუმად ჩაიცინა ჭაღარამ.

— მერე რა, ესენი თუ არა, სხვები იქნებოდნენ. დაიწყებოდა უცნაური ცხოვრება, უიმედო სიყვარული, მერე კი, ყველაფერი უფრო ლამაზი, წრფელი და ფიცხი გახდებოდა... ბოლოს, ყველანი ფუნჩულა ახალშობილები გავხდებოდით. როგორ გგონიათ?

მოხუცს პასუხის ნაცვლად გაეცინა.

— შემდეგ გავქრებოდით ისე, რომ ვერც გავიგებდით. დასასრულს ვერც ვიგრძნობდით. მაშინ ყველაფერი შემოდგომაზე დაიწყებოდა, მერე იქნებოდა მუდმივი გაზაფხული.

— მართლაც რა კარგი იქნებოდა! აღარ ვიფიქრებდით, რომ წარმავალნი ვართ, გვეცოდინებოდა, რომ უნდა მოვიდეთ ყოველ გაზაფხულზე... გავახალგაზრდავდებოდით.

მოხუცმა ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა.

ნელა ავდექი და გასასვლელისაკენ გავემართე. ჩემს გვერდით ახალგაზრდა წყვილი მოდიოდა. ძახილი შემომესმა:

— ახალგაზრდავ! — მივიხედე.

— მზის სათვალე დაგრჩათ, — მითხრა ჯოხიანმა მოხუცმა.

უკან დავბრუნდი და მადლობა გადავუხადე. ძველი, მოდიდან გამოსული სათვალე იყო. რამდენჯერ დავკარგე და რატომღაც ყოველთვის ვპოულობდი, ალბათ არავის გამოადგა. სათვალე გავიკეთე, თუმც სულაც აღარ იყო საჭირო, მაინც კმაყოფილი დავრჩი, რომ ისევ ვიპოვე.

— მომავალ წელს ისევ მოვა გაზაფხული, გამოგადგება, — მითხრა თმაჭაღარა მოხუცმა...

უნგრულიდან თარგმნეს

ლეილა ხუჭუამ და ელენე კოდუამ.

# გველი ქორწილში

ჩვენი ქვეყნის ზოოპარკებისათვის გარეული ცხოველები და ქვეწარმავლები ხშირად რკინიგზის ვაგონებით გადაყავთ. ბევრ გამყოლს არ უყვარს ამ ცხოველების გაცილება დანიშნულ ადგილამდე. განსაკუთრებით თავს არიდებენ იმ ვაგონებს, სადაც ქვეწარმავლებია მოთავსებული, თუმცა ამ უკანასკნელთა ტრანსპორტირება მეტად მოსახერხებელია: მათ შეუძლიათ მთელი დღეების, კვირეებისა და თვეების განმავლობაში არ ჭამონ და არც სვან, თანაც, მათ გალიებს არცთუ დიდი მოვლა-დასუფთავება სჭირდება.

ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა გველი, ნიანგი, კუ რამდენიმე თვით „აცხადებს“ შიმშილობას, ხოლო ზოგიერთი მახრჩობელა გველი — მთელი წლითაც. მერე კი კვლავ ნორმალურად იკვებებიან. მიუხედავად ამისა, გამყოლებს მაინც არ ეპიტნავებათ ქვეწარმავლების გაცილება. ეს უბრალოდ აიხსნება: გველებსა და ხვლიკებს შეუძლიათ გაძვრნენ ყველაზე ვიწრო ხვრელშიც კი და თუ წამით თვალი მოაშორე, ყუთი ან ტომარა ცარიელი დაგხვდებათ. ჰოდა, ეძებე მერე! განსაკუთრებით თუ შხამიანები გაგეპარნენ და ირგვლივ მყოფთ სასიკვდილო საფრთხე შეუქმნეს! მაინც უნდა ეძებო მანამდე, სანამ არ იპოვი. ყველაზე პატარა ანკარასაც კი დიდი პანიკისა და უსიამოვნების გამოწვევა შეუძლია.

ერთხელ მეც შემემთხვა ასეთი რამ. აზერბაიჯანის ერთ-ერთ ქალაქში ვიყავით. მე სასტუმროში ველოდებოდი გამყოლს, რომელიც ის-ის იყო თურქმენეთიდან ჩვენს ბაზაში უნდა ჩამოფრენილიყო. მას ქვეწარმავლების ერთი პარტია მოყავდა. დანიშნულ დროზე გამყოლი ჩამოვიდა და თავისი ტვირთით აეროდრომიდან პირდაპირ სასტუმროში მომადგა. ნომერში გავხსენით ორი ტომარა. ერთში გორგალივით დახვეული ათიოდე სხვადასხვა ფერისა და დაახლოებით მეტრ-ნახევარი სიგრძის მცურავი იწვა, მეორეში — მსროლელი გველები (ასე უწოდებენ მას ელვისებური მოძრაობის გამო). იმ დროს, როცა ჩვენ ამ გველებს ვათვალიერებდით, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. მე კარის გასაღებად წავედი, გამყოლმა კი საჩქაროდ თავი მოუკრა ტომრებს და საწოლქვეშ დამალა.

მოსულები ჩემი ნაცნობი მონადირეები იყვნენ. მათ სტუმრად მიგვიწვიეს მეზობელ სოფელში. იქიდან გვიან ღამით დავბრუნდით. მივუახლოვდით სასტუმროს და დავინახეთ: შენობას გარშემორტყმოდა მილიცია, ყველა ფანჯარაში სინათლე კაშკაშებდა, დერეფნებში ადამიანები დარბოდნენ.

— რა მოხდა? რა აურზაურია?—ვკითხეთ მილიციელს.

— ვიღაცამ გველები შეუსია სასტუმროს, — მიპასუხა მან.

მუხლები მომეკვეთა, ხელები ამიკანკალდა. ნამდვილად ჩვენი გველები მოედნენ აქაურობას-მეთქი, ვიფიქრე. წასვლისას დაგვავიწყდა საწოლქვეშ დამალული ტომრების შემოწმება. რა უნდა გვექნა?

ავვარდით ნომერში. მილიციამ გაგვიშვა, მაგრამ მკაცრად გაგვაფრთხილა: „თვალი გეჭიროთ, არაფერი შეგემთხვეთო“. ჩავკეტეთ კარი და მაშინვე საწოლქვეშ შევყავით თავი. ასეც იყო: ტომრები ცარიელი დაგვხვდა, გველები არსად ჩანდნენ. სასტუმროში დასეირნობდა ოცდაორი გველი, სასტუმროში მცხოვრებნი კი, როგორც ერთი კაცი, ქუჩაში გაკრეფილიყვნენ. მაშინვე ხმა გავრცელდა: სასტუმრო სავსეა შხამიანი გველებით, რომლებიც თავს ესხმიან ყველასო. დირექტორი ეზოში ვიპოვეთ და დანაშაულში გამოვუტყდით. ის იმდენად დამფრთხალი იყო, რომ ლანძღვაც კი არ დაგვიწყო, მარტო იმას გვევედრებოდა, რაიმე ზომები მიიღეთო. თითქმის დილამდე ვათვალიერებდით დერეფნებსა და ოთახებში დაფენილ ხალიჩებს, ადგილს ვუნაცვლებდით ავეჯს, ვიჭვრიტებოდით ლეიბების ქვეშ, ვძვრებოდით სხვენსა და სახურავზე, ჩავდიოდით სარდაფებში. ერთი სიტყვით, ყველაფერს ვჩხრეკდით. სასტუმროში კი ასამდე ოთახი იყო. ძებნისაგან ილაჯი გაგვიწყდა, თითქმის ყველაფერი გადავანგრიეთ, მაგრამ ოცდაორი გველიდან მხოლოდ ოცი დავიჭირეთ.

სად უნდა ყოფილიყო დანარჩენი ორი?

გათენებისას, როცა ჩვენი „ნადირობის“ შედეგები შეიტყეს და დარწმუნდნენ საფრთხე აღარ გველისო, მცხოვრებნი სასტუმროში დაბრუნდნენ.

გაქცეულმა გველებმა კი თვითონ გამოამჟღავნეს საკუთარი თავი, ერთი მათგანი სააბაზანოში შემძვრალიყო და წყალსადენის მილს შემოხვეოდა. წარმოგიდგენიათ, რა ველური ყვირილი მოისმა იქიდან?..

უკანასკნელი მცურავის ძებნას მთელი დღე მოვანდომეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. შებინდებისას ქანცმილეულნი ჩვენს ნომერში ფანჯარასთან დავსხედით. მეზობელი სახლის შესასვლელთან ახალგაზრდობას მოეყარა თავი. ქუხდა მუსიკა. თურმე ქორწილი ჰქონდათ გაჩაღებული. და სწორედ იმ დროს, როცა საზეიმოდ გაწყობილ სუფრაზე მისალოც სადღეგრძელოს წარმოთქვამდნენ, ფარდის ქვემოდან გამოძვრა გველი და თითქოს ნეფე-პატარძალის მისალოცად, მაგიდისაკენ გაემართა. რა ამბავი ატყდა! სტუმრები ელვის სისწრაფით აცვივდნენ ნაირ-ნაირი ხორაგით დატვირთულ მაგიდაზე, ისინი კი ვისაც იქ ადგილი არ ეყო, ზოგი კარადებზე აბობღდა, ზოგმაც გაქცევით უშველა თავს.

ასე აღმოვაჩინეთ ჩვენი მეოცდაორე მცურავიც.

ი. სოსნოვსკი

მოსკოვის ზოოპარკის დირექტორი

# მაია ჩიქოვანის პორტრეტი



ამ 20-25 წლის წინათ ჩემს მეგობართან, ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერსა და ქართული ხალხური ხელოვნების ენთუზიასტ არტემ გაბუნიასთან ვიყავი სტუმრად. მასპინძელმა უჯრა გამოაღო, იქიდან პატარა მინიატურა ამოიღო და თავმომწონედ მითხრა!

— შეხედე, რა შევიძინე, ეს პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი მაია ჩიქოვანია.

მინიატურაზე ხანშიშესული ქართველი ქალი იყო გამოსახული.

ახლა ყოველივე ეს ჟურნალ „დროშაში“ (№ 8) მოთავსებულმა გრ. ზარდალიშვილის წერილმა „პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი“ მომაგონა. შევუდექი გაბუნიასეული მინიატურის ძებნას და იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში აღმოვაჩინე.

პაპუნა წერეთელი



გი კი ძალიან ბნელი იყო. ერთი სიტყვით, როჯერი ყოველთვის გამოძებნიდა ხოლმე ნაკლს, რომ სახლი როგორმე დაეწუნებინა. რასაკვირველია, ძნელი იყო მისი გულის მოგება. როგორ შეეძლო საყვარელი რუთისათვის ისეთი სახლი შეეთავაზებინა, რომელიც ყოველმხრივ სრულყოფილი არ იქნებოდა. სრულყოფილის მიგნება კი გაჭირდა. სახლის ძებნა ისე დამქანცველი და მოსაბეზრებელი გახდა, რომ რუთს ნერვები აეშალა, როჯერი კი ევედრებოდა — მოთმინება იქონიეო. არწმუნებდა, არ შეიძლება სადმე ზუსტად ისეთი სახლი არ აღმოჩნდეს, როგორსაც ჩვენ ვეძებთ, ოღონდ საჭიროა ცოტა მეტი ამტანობა და უსათუოდ მივაგნებთო. მათ ნახეს ასობით სახლი, ათასობით კიბე აიარეს, ურიცხვი სამზარეულო დაათვალიერეს. რუთს არაქათი ელეოდა და არა ერთხელ გამოვიდა მოთმინებიდან.

**სომერსეტ მოემი**

# თავის დაღწევა

მე ყოველთვის მჯეროდა, თუ ქალმა მიზნად დაისახა გათხოვება და ვინმე ნიშანში ამოიღო, მის მსხვერპლს სასწრაფოდ გაქცევის გარდა ვერაფერი ველარ იხსნის. მაგრამ ყოველთვის ესეც არა სჭრის. ერთხელ ერთი ჩემი მეგობარი მიხვდა, რომ ეს საფრთხე უკვე ემუქრებოდა და მაშინვე რომელიღაც ნავსადგურიდან გაიპარა გემით (განსაცდელი იმდენად აშკარა იყო და ამიტომ ის ისე ჩქარობდა, რომ კბილის ჯაგრისის გარდა ვერაფრის წაღება ველარ მოასწრო) და მთელი წელი მოგზაურობაში გაატარა. როდესაც გადაწყვიტა, ალბათ უკვე გადავრჩიო (ქალი ცვალებადი ბუნებისაა, ფიქრობდა იგი, ამ ერთი წლის განმავლობაში კიდეც დამივიწყებდაო), დაბრუნდა იმავე ნავსადგურში და პირველი ადამიანი, ვინც მან დაინახა, მხიარულად რომ უქნევდა ხელს ნაპირიდან, გახლდათ სწორედ ის პატარა ქალბატონი, რომელსაც ხელიდან ძლივს დაუსხლტა. მე ვიცნობდი მხოლოდ ერთ კაცს, რომელმაც ამგვარი ვითარებიდან თავის დაძვრენა მოახერხა. მას როჯერ ჩერინგი ერქვა. აღარც ისე ახალგაზრდა იყო, როცა რუთ ბარლოუ შეუყვარდა, თან საკმაოდ გამოცდილიც იყო და იცოდა, რომ ფრთხილად უნდა ემოქმედნა, მაგრამ რუთ ბარლოუს გააჩნდა რაღაც ისეთი უნარი თუ თვისება, არ ვიცი რა ვუწოდო, რაც მამაკაცთა უმრავლესობას ფარხმალს დააყრევინებს ხოლმე. როჯერმა დაკარგა საღი გონება, სიბრძნე და წინდახედულობა. ის ერთბაშად შეიპყრო მოულოდნელმა გრძნობამ და თავ-გზა აურია... ეს გახლავთ ქალის ის უნარი, რომელიც მისდამი თანაგრძნობას აღუძრავს ხოლმე კაცს. მისის ბარლოუს, თუმცა ორგზის დაქვრივებულს, მშვენიერი მუქი ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, რომელთა მსგავსი არაფერი მინახავს; ისინი თითქოს ცრემლებით ავსებას ლამობდნენ მუდამ, თითქოს ამბობდნენ, ეს ქვეყანა მეტისმეტად დიდი და უხეშია ჩემთვისო, და თქვენ გრძნობდით, — ეს იყო საბრალო არსება, რომელსაც იმოდენა ტანჯვა-წვალება გამოევლო, სხვა ვინმე ძნელად თუ შეძლებდა მის გადატანას. თქვენ რომ როჯერ ჩერინგივით ძლიერი, ღონიერი, ფულიანი კაცი ყოფილიყავით, უსათუოდ იტყოდით — ცხოვრების ხიფათი უნდა ავაცილო ამ უმწეო, პატარა არსებას, ო, რა შესანიშნავი რამ იქნება, ამ დიდ ლამაზ თვალებს სევდა განვაშოროო! როჯერისაგან შევიტყე, თურმე მისის ბარლოუს ყველანი ცუდად ეპყრობოდნენ. ის ალბათ ეკუთვნოდა იმ უიღბლო ადამიანებს, რომლებმაც რაც უნდა ეცადონ, ბედი მაინც არა სწყალობთ. გათხოვდებოდა, — ქმარი სცემდა, მაკლერს იქირავებდა, — მაკლერი ატყუებდა, მზარეულს აიყვანდა, — მზარეული ლოთობდა. ერთი სიტყვით, მთელი მისი გარჯა და ამაგი ყოველთვის წყალში იყრებოდა.

როცა როჯერმა გამანდო, როგორც იქნა რუთ ბარლოუ ცოლად გამოყოლაზე დავითანხმეო, მე მას ბედნიერება ვუსურვე.

— იმედი მაქვს, თქვენც დამეგობრდებით, — დაურთო მან, — ხომ იცი, ცოტა არ იყოს შენი ეშინია, გულქვა კაცი ჰგონიხარ.

— ღმერთმანი ვერ გამიგია, რამ აფიქრებინა ეს?

— ხომ მოგწონს? ხომ კარგია?

— ძალიან.

— საწყალმა რამდენი ვაივაგლახი გამოიარა. ისე მებრალება...

— ჰო, — ვთქვი მე.

სხვა რა მეთქმოდა. ვიცოდი კი როგორი ქარაფშუტა ქალი ბრძანდებოდა და კარგადაც ვხედავდი ძირს როგორ უთხრიდა როჯერს. მე რომ მკითხოთ, ის ქალი ძალიან კერპი და ამტანიც იყო.

რუთ ბარლოუ ბრიჯის თამაშის დროს გავიცანი, ჩემი პარტნიორი იყო და ორი ტუზი ზედიზედ გამიჭრა კოზირით. ანგელოზივით გავიტრუნე, მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, თუ ვისმეს თვალებიდან აპირებდნენ ცრემლები გადმოფრქვევას, ეს მისი კი არა, ჩემი თვალები იქნებოდნენ. იმ საღამოს კარგა ძალი ფული წააგო ჩემთან, შემპირდა ჩეკს გამოგიგზავნითო, მაგრამ არც კი გახსენებია. მეორედ რომ შევხვდით, სულ ამაზე ვფიქრობდი და მას კი არა, მე უნდა მქონოდა შესაბრალისი გამომეტყველება.

როჯერი აცნობდა მას მეგობრებს, ასაჩუქრებდა ძვირფასი სამკაულებით, ატარებდა აქეთ, იქით, სადაც კი შეიძლებოდა. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ისინი სულ მალე დაქორწინდებოდნენ. როჯერი სიხარულით ცას ეწეოდა. მისი აზრით დიდ სიკეთეს ჩადიოდა და თანაც ის ნაბიჯი უნდა გადაედგა, რაც გულითა და სულით სწადდა. ერთი სიტყვით, უჩვეულო სიტუაცია შეიქმნა, და არ არის საკვირველი, რომ იგი, ცოტა არ იყოს, მეტისმეტად თვითკმაყოფილი და ატაცებულიც იყო, რაც მას სულაც არ შეჰფეროდა.

მაგრამ როჯერმა უეცრად გული აიცრუა რუთ ბარლოუზე. არ ვიცი, რატომ, ძნელი საფიქრებელია, რომ ქალმა ის გაუთავებელი ლაპარაკით დაქანცა. რუთს საერთოდ ლაპარაკი არ ეხერხებოდა. იქნებ, უბრალოდ, მისი თბილი გამოხედვა აღარ უთრთოლებდა როჯერს გულის სიმებს. მას თვალი აეხილა, კვლავ დაუბრუნდა საღი გონება, მიხვდა, რომ რუთ ბარლოუს მტკიცედ გადაეწყვიტა ცოლად წაჰყოლოდა მას. მაშინ როჯერმა მტკიცედ დაიფიცა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, არაფრის დიდებით არ ეთხოვა რუთი. მაგრამ, ამავე დროს, როჯერი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ახლა, როცა გონს მოეგო, აშკარად დაინახა ვისთანაც ჰქონდა საქმე და დარწმუნდა, რომ სიტყვის გატეხისა, პირობის დარღვევისა და გრძნობების შეურაცხყოფისათვის ქალი სამაგიეროს გადაუხდიდა და კარგა ძვირადაც დაუსვამდა. გარდა ამისა, კაცისათვის ქალის ასე მოტყუება და მიტოვებაც უხერხულია. ასეთ კაცს ხალხი გაჰკიცხავს ხოლმე — ცუდად მოიქცაო.

მაშინ როჯერმა ასეთ ხერხს მიმართა: არც სიტყვით, არც საქციელით არ გაუმჟღავნებია, რომ რუთ ბარლოუსადმი გული გაუცივდა. მის ყოველ სურვილს კვლავ გულისყურით ეკიდებოდა — დაჰყავდა სასადილოდ რესტორნებში, ერთად დადიოდნენ თეატრებში, უგზავნიდა ყვავილებს, არ აკლებდა თანაგრძნობას და ძველებურად უზომოდ შეყვარებულივით ეჭირა თავი. როჯერს მდიდრულად მორთული ბინა ჰქონდა, რუთი შედარებით ღატაკად მოწყობილ ნაქირავებ ოთახებში ცხოვრობდა. ისინი შეთანხმდნენ ექორწინათ მაშინვე, როგორც კი შესაფერ სახლს იშოვნიდნენ. ამგვარად შეუდგნენ სასურველი რეზიდენციის ძებნას. აგენტები უგზავნიდნენ მისამართებს და როჯერს თან მიჰყავდა რუთი სახლების დასათვალიერებლად. ძალიან გაჭირდა შესაფერი ბინის შოვნა. როჯერმა მიმართა ახალ აგენტებს. როჯერი და რუთი ათვალიერებდნენ სახლს სახლზე, ათვალიერებდნენ გულდაგულ, დაწყებული სარდაფით და გათავებული სხვენით. ზოგი მეტისმეტად დიდი იყო. ზოგიც მეტისმეტად პატარა; ზოგი ძალიან შორს იყო ცენტრიდან, ზოგიც ძალიან ახლოს; ზოგი ძალიან ძვირად ფასობდა, ზოგიც ძალიან დიდ შეკეთებას მოითხოვდა: ზოგი მეტისმეტად ჩახუთული იყო და ზოგი მეტისმეტად გაშლილი; ზოგი კი ძალიან ბნელი იყო.

— ბოლოს და ბოლოს, თუ სახლს მალე არ იპოვნი, — განუცხადა მან, — მე იძულებული გავხდები ხელახლა ავწონ-დავწონო მთელი ეს საქმე. აბა რა! თუ ასე განაგრძობ, ჩვენ ალბათ წლების განმავლობაში ვერ ვიქორწინებთ.

— მაგას რატომ ამბობ, — მიუგო როჯერმა, — გემუდარები ცოტაც მოითმინო. ეს-ეს არის მივიღე სრულიად ახალი სიები აგენტებისაგან. სამოცზე მეტი სახლია ჩამოთვლილი.

ისინი კვლავ შეუდგნენ ძებნას. ნახულობდნენ სულ სხვადასხვა სახლებს. ორი წლის განმავლობაში ათვალიერებდნენ და ათვალიერებდნენ. რუთი შეიცვალა, დადუმდა და სახეზე დამცინავი იერი გაუჩნდა. მისმა სევდიანმა, ლამაზმა თვალებმა თითქმის კუშტი გამომეტყველება მიიღეს. ადამიანის მოთმინებასაც საზღვარი აქვს. მისის ბარლოუს ანგელოზის მოთმინება ჰქონდა, მაგრამ ბოლოს აფეთქდა.

— ჩემს შერთვას აპირებ თუ არა? — უჩვეულოდ სასტიკი ხმით მიმართა როჯერს, მაგრამ ამანაც აღარ გასჭრა.

— როგორ არა, — მშვიდად მიუგო როჯერმა, — სახლს ვიპოვნით და მაშინვე ქორწილს გადავიხდით. მართლა, შევიტყე აღმოჩნდა რაღაც ისეთი, რაც იქნებ გამოგვადგეს...

— ისე ცუდადა ვარ, რომ არც ერთი სახლის ნახვის თავი აღარა მაქვს.

— ჩემო საბრალო, ჩემო მშვენიერო, მეც მეჩვენება, რომ ცოტა არ იყოს გადაიღალე.

რუთ ბარლოუ ლოგინად ჩავარდა. როჯერს აღარ ღებულობდა. მასაც სხვა გზა აღარა ჰქონდა, სჯერდებოდა მხოლოდ იმას, რომ ტელეფონით ურეკავდა ბინაზე და გებულობდა მის ამბებს, ყვავილებს ისევ უგზავნიდა. როგორც ყოველთვის, ერთგული და თავაზიანი იყო. ყოველდღე წერდა რუთს — კიდევ აღმოჩნდა სახლი, რომელიც უნდა დავათვალიეროთო. გაიარა ერთმა კვირამ და მან მიიღო შემდეგი წერილი:

„როჯერ! არა მჯერა, რომ მართლა გიყვარვარ. მე ვიპოვნე სხვა, რომელიც მზად არის მფარველობა გამიწიოს. დღეს ვთხოვდები. რუთი".

როჯერმა სპეციალური შიკრიკის ხელით გაუგზავნა პასუხი:

„რუთ! შენი ამბავი ელდასავით მეცა. არ ვიცი ამ თავზარს როგორ გადავიტან. მაგრამ, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, შენი ბედნიერებისათვის ვზრუნავ. ამასთან ერთად გიგზავნი შვიდ მისამართს; დღეს დილით მივიღე. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის აღმოჩნდება ისეთი სახლი, რომელიც თქვენ ორივეს ძლიერ მოგეწონებათ. როჯერი".



ინგლისურიდან თარგმნა
**ციალა თოფურიძემ**



სპორტსმენის ოჯახი.

ფოტო ო. თურქიასი



სპორტის არც ერთი სახე არ არის ისე მიმზიდველი, მასობრივი და სანტერესო, როგორც ფეხბურთი. ეს, რა თქმა უნდა, გასაგებიცაა; აქ ადამიანი ხვდავს ძალისა და გამძლეობის, რწმენისა და ნებისყოფის, სიჩაუქისა და სისხარტის, ნერვებისა და საზრიანობის, ტემპერამენტისა და ენერგიის ბრძოლას.

ფეხბურთის გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმია და მიხეილ მესხიც ამ ორგანიზმის ერთ-ერთი სიცოცხლისუნარიანი და საღი ნაწილია, იგი გუნდის მაჯისცემაა.

რიტმის გრძნობა ისევე აუცილებელია ფეხბურთელისათვის, როგორც მუსიკოსისათვის ანდა პოეტისათვის; მართლაც, შინაგანი რიტმის გარეშე, დრიბლინგი წარმოუდგენელია; მიხეილ მესხის მოძრაობა ბურთით — რიტმით აღსავსეა, მას დისტანციის უდიდესი გრძნობა აქვს, შესანიშნავად ხედავს მოედანსა და პარტნიორებს, ზუსტად არჩევს ადგილებს; როდესაც მესხს ბურთი აქვს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს იგი ბურთს ეფერებოდეს და სიყვარულით ეპყრობოდეს, ალბათ ამიტომ მორჩილობს მას ბურთი. მიხეილი ხშირად იტყვის ხოლმე — ბურთს ზრდილობიანი და სათუთი მოპყრობა უყვარსო. ცხოვრებაში იგი დინჯი, აუღელვებელი და თავშეკავებულია, ერთი რამ კი დაუდევრობაში უნდა ჩამოვართვათ მიხეილს. მას არ გააჩნია არც ერთი გაზეთი თუ ჟურნალი, სადაც კი მასზედ რამე თქმულა, თვის თავზე ლაპარაკი კი არ ეხერხება. სამგზეროდ ზევრის თქმა შეუძლია მეგობრებზე, გუნდზე.

* * *

არის მატჩები, რომლებიც არასოდეს ავიწყდება მაყურებელს, ასეთი მატჩები კი 1960 წელს საკმაოდ ბლომად მოეწყო. აქ მხოლოდ რამდენიმე შეხვედრას მოვაგონებთ გულშემატკივრებს, თუმცა ვინც იმ წლის 28 მაისს დაესწრო ინგლისის „შეფილდ უენსდეის" და თბილისის „დინამოს" მატჩს, შეხვედრის გარეშეც მოიგონებს შეხვედრის უმნიშვნელო დეტალებსაც კი.

თბილისელები ამ დღეს თამაშობდნენ შესანიშნავად. მაღალ დონეზე ჩაატარეს ასპარეზობა ინგლისელებმაც, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეკარე რ. სპრინგეტი. მესხი წამდაუწუმ გურბოდა მცველ ჯონსონს, დაზღვევაზე ხშირად მოდიოდა ცენტრალური მცველი სვენი. დინამოელთა იერიშები იმდენად მწვავე იყო, რომ ბრიტანელები იძულებული გახდნენ ეხმარათ აკრძალული ილეთები, რის გამოც პირველ და მეორე ნახევარში დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო. ჯერ გუნდის თავმა ავთანდილ ღოღობერიძემ დაარტყა, მაგრამ მეკარე სპრინგეტმა მოიგერია კარგად დარტყმული საჯარიმო. მეორე ტაიმში კი კაპიტანმა მიხეილს მიანდო განაჩენის აღსრულება. დარტყმა და სპრინგეტმა ვერც კი შენიშნა თუ კარის რომელ კუთხეში გაეხვია ბურთი. მატჩი მოიგეს ქართველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

* დასასრული. იხ. „დროშა", № 6, 7.

იმავე წლის ექვს ივლისს, საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის თასზე, მარსელში, შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ძლიერ კოლექტივს და დაამარცხა იგი. მიხეილის მცველმა შაფრანეკმა რაინდულად აღიარა, რომ მესხმა იგი აშკარად დაჩაგრა; თვით ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რუდოლფ ვიტლაჩილმა განაცხადა: „მიხეილ მესხი ყველაზე ხაშიში ფეხბურთელია, იგი მეტოქის რისხვაა!" ოთხი დღის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს გადამწყვეტი ბრძოლა ელოდა. ფინალში ჩვენი ფეხბურთელები ხვდებოდნენ იუგოსლაველ სპორტსმენებს; პროგნოზის მოყვარული ფრანგი კომენტატორები სდუმდნენ. ევროპის თასი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. ორივე გუნდი დაუოკებელი ბრძოლის სურვილით იყო განწყობილი. ამ დღეს დიდგან საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდნენ ლ. იაშინი, გ. ჩოხელი, ა. მასლიონკინი, ა. კრუტიკოვი, ი. ნეტო, ი. ვოინოვი, ს. მეტრეველი, ვ. ივანოვი, ვ. პონედელნიკი, ვ. ბუბუკინი და მ. მესხი. ჩვენი გუნდი გამოვიდა სისტემით 3 + 2 + 5, იუგოსლაველები კი 3 + 3 + 4; ასე რომ, საბჭოთა თავდამსხმელებს ძნელი ბრძოლა ელოდათ. დაცვაში იუგოსლაველები პერსონალური დაჭერის პრინციპს იყენებდნენ. თავდასხმაში ძალიან სწრაფად იცვლიდნენ ადგილებს და ყოველნაირად ცდილობდნენ ჩვენი დაცვის ხაზის დაბნევას, ისინი თამაშობდნენ გაბედულად, მწვავედ და ხშირად უხეშადაც კი.

ჩვენი დაცვის ხაზიც პერსონალური დაჭერის პრინციპს ადგა, თავდასხმაში კი უტევდნენ ფართო ფრონტით ფლანგებიდან. თამაში ძირითადად აგებული იყო გრძელ გასწვრივ გადაცემებზე.

პირველი ტაიმის დასასრულს ოთხი წუთი აკლდა, ბურთი გვერდით ხაზს გადასცდა, მასლიონკინმა ხელების აწევით ინგლისელ მსაჯ ელისს ანიშნა ეს და შეჩერდა, მაგრამ მსაჯს ყურადღება არ მიუქცევია, რითაც ისარგებლა იუგოსლაველმა ერკოვიჩმა და ბურთი გაიტანა.

თამაშის მეორე ნახევარში ჩვენი ფეხბურთელები გააფთრებით ევეთნენ მოწინააღმდეგეს, მალე სლავა მეტრეველმა ბურთი გაიტანა და თასის დასაკუთრების შანსები გათანაბრდა. ამოიწურა თამაშის მეორე ნახევარიც, ფრე 1:1. „პარკ დე პრენსის" სტადიონი აღტაცებით გუგუნებს, მაყურებელს მოელით კიდევ დამატებით ოცდაათწუთიანი საინტერესო ბრძოლის ხილვა.

დაიწყო მესამე ტაიმი, გავიდა ხუთი... ათი... ოცი წუთი და აი, ასმეთერთმეტე წუთზე ბურთი მიიღო ბუბუკინმა, რომელმაც გადასცა ვოინოვს, მან კი მესხს. მესხმა წამის რაღაც სულ მცირე მონაკვეთში შენიშნა ცენტრში თავისუფლად მდგომი პონედელნიკი და დაუყოვნებლივ ზუსტად ჩააწოდა მას... თავური დარტყმა... არის! პონედელნიკი მესხისაკენ გაექანა და გადაკოცნა. დარჩენილ რვა წუთში ჩვენმა დამცველებმა — ჩოხელმა, კრუტიკოვმა და მასლიონკინმა პირდაპირ გმირული თამაში უჩვენეს. ევროპის თასი ფეხბურთში მოპოვებულია, მოპოვებულია ფიცხელ და ძნელ ბრძოლაში.

• მოსკოვი დიდი ზეიმით შეხვდა გამარჯვებულ სპორტსმენებს.

მალე საბჭოთა კავშირში ჩასატარებლად ჩამოვიდა ბრაზილიის თასის მფლობელი გუნდი „ბაია"; აღსანიშნავია, რომ პირველი მატჩი ბრაზილიელებმა კიევის „დინამოსთან" წააგეს; ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ „ბაიას" ფეხბურთელებმა შეხვედრა ჩაატარეს მგზავრობისაგან დაღლილებმა; ამავე დროს, აკლდათ რამდენიმე ძლიერი მოთამაშე. ამის შემდეგ მათ ფრედ დაამთავრეს მოსკოვის „სპარტაკთან" და დაამარცხეს მოსკოვის არმიელები ანგარიშით 2:1.

ოცდაერთ აგვისტოს თბილისის „დინამოს" შეხვდა „ბაიას". თამაში თავიდანვე თბილისელთა შეტევით დაიწყო. მარჯვენა მცველი პერეირა და ცენტრალური დამცველი სანტოსი მესხის წინააღმდეგ ვერაფერს აწყობდნენ. პირველი გოლი გატანილ იქნა მეთორმეტე წუთზე, მიხეილმა ზედიზედ მოატყუა სამი დამცველი და ბურთი ღოღობერიძეს გადასცა, მეკარე კორდოსმა ამაოდ გააკეთა ნახტომი. მეორე ნახევარში თბილისელებმა კიდევ სამი ბურთი გაიტანეს, მათ შორის, ერთი — მესხის კომბინაციით, ხოლო მეორე — თვითონ მიხეილმა. თბილისელებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 4:0.

ვისაც ეს თამაში ახსოვს, ალბათ იმასაც მოიგონებს, რომ გიგანტური აღნაგობის ზანგი ენრიკე დოს სანტოსი, რომელიც ბრაზილიაში საკმაოდ პოპულარული ფეხბურთელია, პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა; იგი მრავალჯერ მივარდა მესხს, მან ერთხელაც კი ვერ მოახერხა მისი დაჭერა და ბოლოს სანტოსი ბურთს კი არა, მესხს დაედევნა; მიხეილი კი თითქოსდა გაქცეულ მამალ მისდევსო, ოსტატური ცრუ მოძრაობით რამდენჯერმე გაუსხლტა ბრაზილიელს; ეს იყო ნამდვილი „დაჭერობანას" თამაში; ბოლოს როგორც იქნა მკლავში წვდა ზანგი მიხეილს და... გულში ჩაიხუტა, რამდენჯერმე გადაკოცნა და განაგრძო თამაში.

ბრაზილიელები გააოცა მიხეილმა. „ბაიას" კლუბის პრეზიდენტმა ოზორიო ვილას-ბოასმა „ფუტბოლის" კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

„არ შემიძლია გვერდი ავუარო ისეთ მოთამაშეს, როგორიც მიხეილ მესხია; იმ დღე ანგარიშში, რომლითაც ჩვენ წავაგეთ თბილისელებთან, მესხი უფრო დამნაშავეა, ვიდრე მთელი „ბაიას" დაცვის ხაზი".

„ბაიას" მწვრთნელმა კ. ვოლანტემ განაცხადა: „თბილისელთა მარცხენა გარემარბი უდავოდ საერთაშორისო კლასის ფეხბურთელია და შეიძლება თამამად დავაყენოთ ბრაზილიის საუკეთესო თავდამსხმელთა გვერდით". სანტერესოა „ბაიას" გუნდის კაპიტანის ენაცილდე ბრიგლის აზრი, რომელიც მან გამოთქვა გაზეთ „მოსკოვსკაია სპორტივნაია ნედელიაში": „მესხი ბურთის ნამდვილი ვირტუოზია და მანერით მოგვაგონებს ჩვენს გარინჩას, მაგრამ მისგან განსხვავებით, მესხი ფლობს დიდ ტაქტიკურ აზროვნებას. თუკი 1962 წელს თქვენი ნაკრები შედგენილ იქნება თერთმეტი ლობანოვსკისა და მესხისაგან, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ წაგვართმევთ ჩემპიონობის ტიტულს".

იმავე წელს თბილისის დინამოელები ინგლისს ესტუმრნენ. მათ ბრწყინვალედ ითამაშეს „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან", ანუ „მგლებთან", როგორც მათ თავიანთ სამშობლოში უწოდებენ. ამ მატჩის შესახებ აქ არაფერს ვიტყვი, მხოლოდ არ შეგვიძლია ორიოდე ამონაწერი არ მოვიყვანოთ. გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ მომავალ მატჩში დინამოელებთან დამცველებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მესხს. „ტაიმსი" მესხს უწოდებდა გამოჩენილ მარცხენა გარემარბს, ხოლო „დეილი სკეტჩი" წერდა: „მესხმა დიდი სამუშაო მისცა „მგლების" კაპიტანს ედი სტიუარტს". „დეილი ჰერალდი" აღნიშნავდა, რომ „მარჯვენა დამცველ ე. სტიუარტს მოუხდა ცხრა წუთით კომშიარის გადატანა, იმის გამო, რომ იგი ედევნებოდა სწრაფ მესხს წინააღმდეგ თამაშობდა. სწორედ მან ჩაკიდა ბურთი მეთორმეტე წუთზე, რომელიც უძლიერესი დარტყმით გაიტანა მარცხენა იმსაიდან ღოღობერიძემ".

ინგლისიდან ჩამოსვლისთანავე მიხეილმა ქორწილიც გადაიხადა, რომელსაც, რა თქმა უნდა, მისი მეგობარი მხატვრებიც დაესწრნენ. ბევრი რამ უსურვეს მიხეილს იმ დღეს; კერძოდ ისიც უთხრეს, რომ გარინჩას არ ჩამორჩენოდა შვილების სიმრავლეში, და თუ ბრაზილიელს რვა ქალიშვილი ჰყავს, მიხეილს თერთმეტი ბიჭი მაინც უნდა გაეზარდა.

# მარცხენა ფრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე წარმატებით დაასრულა მიხეილმა 1960 წელი.

სპორტული დიდების მწვერვალისაკენ მესხი ყოველ წელიწადს ახალ საფეხურებს იკვალავდა. და აი, დადგა 1961 წელი, მიხეილს მსოფლიო არენაზე უნდა გამოეტანა თავისი ხელოვნება, მას უნდა დაეცვა საბჭოთა სპორტის ღირსება; მსოფლიოს 56 გუნდიდან ერთ გუნდს უნდა რგებოდა წილად ქიულ რიმეს ოქროს თასი — გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს გამოსახულებით.

ალბათ მკითხველისათვის საინტერესო იქნება თვით ამ თასის შექმნის ისტორია. 1930 წელს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფა) დაავალა ცნობილ პარიზელ ოქრომჭედელს აბელ ლაფლერს დაემზადებია თასი. ლაფლერმა ბაჯაღლო ოქროსაგან შექმნა გამარჯვების თასი — მითოლოგიურ ქალღმერთ ნიკეს გამოსახულება, რომელსაც საძირკვლად მარმარილო გაუკეთა; მთლიანად თასი იწონის ერთ კილოს და რვაას გრამს, სიმაღლე ოცდაათი სანტიმეტრია, ხოლო ღირებულება ათი ათას დოლარს შეადგენს. ეს თასი ამჟამად რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთი შენობის ვიტრინაშია, რომელსაც დღე და ღამე იცავენ პოლიციელები.

„ოქროს ქალღმერთის" ხელში ჩაგდება გახდა ფეხბურთის ყველა გუნდის სანუკვარ ოცნებად. გადამწყვეტი ბრძოლები ჩილიში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ამ საგზურის მისაღებადაც საჭირო იყო ბარიერების გადალახვა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებს ორ-ორი მატჩი უნდა ჩაეტარებინა თურქეთისა და ნორვეგიის ეროვნული ნაკრებების წინააღმდეგ. ოთხივე შეხვედრა მოგებულ იქნა, რაშიც მიხეილ მესხმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა. ამ მატჩებში საბჭოთა ფეხბურთელებმა თერთმეტი ბურთი გაიტანეს და მხოლოდ სამი მიიღეს საკუთარ კარში. უკანასკნელი შეხვედრა ჩვენ ფეხბურთელებს თურქებთან ჰქონდათ დანიშნული თორმეტი ნოემბრისათვის. წვრთნას საბჭოთა ნაკრები გადიოდა ერევანში. მიხეილს მოუსვენრობა ეტყობოდა და ნერვიულობდა კიდეც. გუნდში ყველამ იცოდა მიხეილის წუხილის მიზეზი — იგი მალე მამა უნდა გამხდარიყო. ზუსტად თურქეთში გაფრენის წინ, 30 ოქტომბერს თბილისიდან დეპეშა მოვიდა — ახალი მიხეილ მესხი დაიბადაო.

ფოსტალიონს დეპეშა ვიქტორ პონედელნიკმა ჩამოართვა. ვიქტორი კი არ მორბოდა, მოფრინავდა, სწორედ ისე, როგორც მოედანზე იცის ხოლმე; ის აშკარად ვერ მალავდა მღელვარებას, უნდოდა მახარობელი თვითონ ყოფილიყო. მაგრამ მიშა? მთელი ქალაქი გადაატრიალა ვიქტორმა, მაგრამ ამაოდ, მიხეილი არსად ჩანდა; ბოლოს როგორც იქნა მიაგნო, მიშა თავის ოთახში ჩაკეტილიყო და ფიქრს მისცემოდა, პონედელნიკი და ჩოხელი ერთდროულად მივარდნენ მას და ყურები აუწიეს. მიხვდა მიხეილი რაშიც იყო საქმე.

თურქეთის გუნდთან ჩვენმა ნაკრებმა მოიგო 2:1, ერთ-ერთი ბურთის თანაავტორი მიხეილი გახლდათ. ჩილის საგზური ჩვენს ნაკრებს ხელთ ჰქონდა.

თურქეთიდან საბჭოთა ფეხბურთელები სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრნენ ტურნეს ჩასატარებლად. აქ საბჭოთა ფეხბურთელებს დიდი ინტერესით მოელოდნენ, მაგრამ აზრადაც არავის მოსდიოდა ის, რომ საბჭოთა ნაკრები შესძლებდა ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია სამხრეთ ამერიკის გუნდებისათვის. პირიქით, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ. ყველაზე პოპულარულმა არგენტინელმა ფორვარდმა სან ფილიპომ განაცხადა, რომ ისინი მოიგებდნენ სამი ბურთის განსხვავებით და ანგარიშსაც კი ასახელებდა — 4:1. არგენტინის ეროვნული ნაკრების დამცველი სემეონე კი ირწმუნებოდა, რომ დაცვის ხაზი ერთ ბურთსაც არ გაუშვებდა და მატჩი 4:0-ზე დამთავრდებოდა. პროგნოზებს თავისებური საფუძველი ჰქონდა, ბუენოს-აირესში ჯერ არც ერთ ევროპულ გუნდს არ მოეგო მატჩი.

და აი, 18 ნოემბერს „რივერ პლეიტის" სტადიონზე არგენტინელებმა, მართლაც შესანიშნავად დაიწყეს თამაში; სან ფილიპომ რამდენიმე სახიფათო გასვლა გააკეთა ჩვენს საჯარიმო მოედანზე. ახლა სიტყვა მიხეილ მესხს უნდა ეთქვა, იგი გრიგალივით დაიძრა არგენტინელთა კარისაკენ, სემეონემ ვერაფერი გაუგო საბჭოთა გარემარბს და იძულებული გახდა მაისურაზე ეტაცა ხელი და ისე შეეჩერებინა, საჯარიმოს შესრულება გუნდმა მიხეილს მიანდო, მან იმ წამსვე შეამჩნია კარგ პოზიციაში მდგომი პონედელნიკი და ბურთი მისკენ გაგზავნა, ვიქტორმა ლამაზი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია. ეს მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1. ასოცათასიანი ტემპერამენტიანი აუდიტორია გრიალებდა; მაყურებელთა შეჩერება ვერ შესძლო ვერც მავთულხლართებმა და ვერც პოლიციელებმა, ისინი გადაცვივდნენ მოედანზე და დაიძრნენ მესხისა და მეტრეველისაკენ. მიხეილმა გასხლტომა მოახერხა, სლავა კი ველარ გაექცა რკალად შეკრულ მაყურებლებს, იგი თვალის დახამხამებაში დედიშობილად დატოვეს, მისი მაისურა ნაფლეთებად აქციეს და სუვენირებად გაინაწილეს.

მესხი არგენტინელ სპორტულ კომენტატორთა ყურადღების ცენტრში მოექცა, მას „ქართველი გარინჩა" შეარქვეს.

ჟურნალი „გოლესი" წერდა: „ჩვენ ასე გვეუბნებიან მესხზე, თითქოსდა ის მხოლოდ ძალიან სწრაფი იყოს. ამ აზრს შეიძლება მხოლოდ სანახევროდ დაეთანხმო. მესხი მარტო სწრაფი რომ ყოფილიყო, სემეონე ადვილად აუღებდა ალღოს, მაგრამ მისი ვირტუოზობა სწორედ აქ გამომჟღავნდა, მან გვიჩვენა არნახული, ლამაზი, ძლიერი და დახვეწილი ტექნიკა. ჩვენი დამარცხების მიზეზიც სწორედ ეს იყო".

სსრ კავშირ-არგენტინის მატჩს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გაზეთები გამოეხმაურნენ. შვეიცარიულ გაზეთ „შპორტში" დაიბეჭდა გერმანელი ჟურნალისტის ფრიც ჰაკის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: „რაც მომცრო ტანის მესხმა არგენტინის უძლიერეს მცველ სემეონეს დააყარა, ვერც ერთი გარინჩა ვერ გააკეთებდა" ხოლო თვით ამ მატჩზე ავტორი აღნიშნავდა, რომ ეს იყო ტექნიკურად ყველაზე უკეთესი თამაში უკანასკნელ წლებში სამხრეთ ამერიკაში ჩატარებული მატჩებიდანო.

სამხრეთ ამერიკაში ჩვენმა ფეხბურთელებმა კიდევ ორი მატჩი ჩაატარეს; ეს იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ურუგვაისა და ჩილის წინააღმდეგ. ორივე შეხვედრა საბჭოთა ნაკრებმა მოიგო. ამ ტურნეს შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები აღიარებულ იქნენ „ოქროს ქალღმერთის" თასის მფლობელობის მთავარ პრეტენდენტად.

მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებმა კარგი სტარტი აიღო, მაგრამ ბედმა უმტყუნა, დამარცხება განიცადა ჩილის ეროვნულ ნაკრებთან, რომელიც გაცილებით სუსტი იყო ჩვენს გუნდზე.

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ჩილის გაზეთ „ლა ტერსერა დე ლა ორაში" გამოქვეყნდა მსოფლიოს იდეალური ნაკრების სია, რომელშიც მესხის გვარიც იყო ჩაწერილი. მაგრამ მარტო ჩილიში როდი აღიარეს მიხეილი მსოფლიოში პირველ მარცხენა გარემარბად; იგივე აზრი გაიზიარეს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმა. ჩეხოსლოვაკიაში კონკურსიც კი მოაწყო ჟურნალმა „კოპანამ", სადაც გულშემატკივრებს უნდა შეედგინათ მსოფლიოს ნაკრები. საბოლოო შედეგები ასეთი იყო: მარცხენა ფრთაზე 604 ქულით პირველ ადგილზე გავიდა მიხეილ მესხი, 306 ქულით — ესპანელი ჰენტო, საბჭოთა კავშირიდან კიდევ ორი ფეხბურთელი გავიდა პირველ ადგილზე, მარჯვენა ფრთაზე — სლავა მეტრეველი და მეკარედ — ლევ იაშინი. და ბოლოს ოფიციალურად გამოქვეყნდა მსოფლიოს ნაკრების კანდიდატები, რომლებიც უნდა შეხვედროდნენ ინგლისის ეროვნულ ნაკრებს, ინგლისის ფეხბურთის 100 წლისთავის საიუბილეო მატჩში მსოფლიო ოფიციალურ ნაკრების კანდიდატთა შორის მარცხენა ფრთაზე დასახელებული იყო მიხეილ მესხი და ესპანელი ჰენტო. აი რა აზრი გამოთქვა გაბრიელ ანომ მსოფლიო ნაკრებზე და კერძოდ მესხზე:

„მარცხენა ფრთა დიდებულია! ორივე ფეხბურთელის თამაშს კარგად ვიცნობ. უფრო მეტად კი მიხეილ მესხისას, საბჭოთა ფეხბურთელის სხვა თამაშზე რომ არაფერი ვთქვა, მხოლოდ და მხოლოდ პარიზში გამართული ევროპის თასის პირველობის გახსენება იკმარებს. მ. მესხის გონებამახვილურმა თამაშმა, ტექნიკის ბრწყინვალე დემონსტრირებამ მარტო მე კი არა, მრავალ სახელმოხვეჭილ სპეციალისტს გულწრფელად ათქმევინა, რომ იგი დიდი მომავლის ვირტუოზი ფეხბურთელია".

საბჭოთა კავშირში ალბათ არ მოიპოვება ფეხბურთის ერთი გულშემატკივარიც კი, ვისაც არ გაეხარდა მიხეილის მსოფლიო ნაკრების კანდიდატად შეყვანა; ყველაზე მეტად კი ეს გაეხარდა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს, რომელმაც ასე ზუსტად იწინასწარმეტყველა მესხის მომავალი. მიხეილს ეს წარმატება მიულოცა ჩვენი ქვეყნის მრავალმა გულშემატკივარმა, მიულოცეს მოსკოველებმა, რიგელებმა, კიეველებმა, ნოვოსიბირსკელებმა და, რა თქმა უნდა, თბილისელებმა.

მიხეილი როდია ისეთი კაცი, რომელიც მიღწეულით კმაყოფილდება; იგი ყოველთვის ახალს ეძებს, ყოველდღიურად ცდილობს დახვეწოს თავის ტექნიკა. გავამხელ მის საიდუმლოებას და ვიტყვი, რომ ამჟამად მიხეილი ახალ რთულ ფინტზე მუშაობს, რომელიც გამიზნულია მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოსაყვანად. ამ ფინტის პრინციპი ასეთია — თუ მიხეილი აქამდე მცველს გაურბოდა იმ მხრიდან, საიდანაც ის არ მოელოდა. ახლა პირიქით, სწორედ იქიდან გავა, საიდანაც მოელის, და ეს მოხდება მაშინ, როდესაც მცველს ცრუ მოძრაობით წონასწორობას დააკარგვინებს.

მაშ ფრთხილად იყავით დამცველებო, მიხეილს ხუმრობა არ უყვარს, მისი სიტყვა და საქმე ერთია! ეცადეთ არ დაკარგოთ წონასწორობა.

**ბარი მეტრეველი**

ბურთი გაიტანა მიხეილ მესხმა.

ფოტო თ. ფურცხვანიძისა



## ეს იყო კონკურსის ყველაზე უკეთესი ნაწარმოები



საჭადრაკო კომპოზიცია დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ეს შეეხება საეტიუდო ხელოვნებას. ამ მხრივ საქართველოში ჩატარებულმა კონკურსებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა და საბჭოთა საჭადრაკო ეტიუდის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გაზეთების „ლელოს" და „ახალგაზრდა კომუნისტის" კონკურსებში გამარჯვებულ ნაწარმოებებს არაიშვიათად ვხვდებით უცხოეთის საჭადრაკო პრესაშიც.

1961-62 წლების გაზეთ „ლელოს" პირველმა საერთაშორისო კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში მონაწილეობდნენ საბჭოთა და უცხოეთის თვალსაჩინო საჭადრაკო კომპოზიტორები. ამ კონკურსზე თავი ისახელეს ნიჭიერმა საჭადრაკო კომპოზიტორებმა ვ. კალანდაძემ და ვ. ნეიძემ, მათმა კოლექტიურმა ნაწარმოებმა პირველი პრიზი მოიპოვა. ეს ეტიუდი უკვე უცხოეთის რამდენიმე საჭადრაკო ჟურნალში დაიბეჭდა. აი რას წერს პოლონური საჭადრაკო ჟურნალი „შახი" ამ ეტიუდის შესახებ: იშვიათი უბრალოებით განხორციელებულია შამათის თემა მეფის ორი უჯრის დინამიური ბლოკირებით. ეტიუდი წარმოადგენს საჭადრაკო კომპოზიციის საუკეთესო ქმნილებას.

აი ეს ეტიუდიც:

თეთრები იწყებენ და იგებენ.

1. b7—b8ლ . . .

არაფერს იძლევა 1.კf2+მფ:h3 2.b8ლ კd7+3.მფb3 კe6+ 4.მფc2 კf5+ 5.მფd1 კg4+ და ყაიმია მუდმივი ქიშით.

1 . . . . კe6—d7+

ახე უკეთესია. თუ1... კ:h3 2.ლf4+ კg4 3.კf2+ მფh5 4.ლe5+ მოგებით.

2. მფa4—b3 კd7—e6+
3. მფb3—c2 კe6—f5+
4. მფc2—d1 კf5—g4+

შავებისათვის ახე უკეთესია. თუ 4... კ:h3 5. კf2+ მფg4 6.ლe5! ეh5 7.ლe4+ და იგებენ. ამიტომ შავები აგრძელებენ ქიშების გამოცხადებას.

5. მფd1—c1 კd8—g5+

თითქოს ეს არის შავებმა მიაღწიეს მიზანს, მაგრამ თეთრებმა იპოვეს

6. მh3—f4!! . . .

იშვიათი სიძლიერის სვლა.

6. . . ეh8—c8+

შავები იყენებენ უკანასკნელ რესურსებს

7. მფc1—d2 ეc8—d8+
8. მფd2—e1! . . .

ცხადია, რომ 8. ლ:d8? კ:d8 გამო.

8. . ეd8:b8
9. კg1—f2×

ბრწყინვალე ნაწარმოებია!

კონკურსის მსაჯი
**გ. ნადარეიშვილი**
საერთაშორისო არბიტრი
საჭადრაკო კომპოზიციაში

გარეკანის პირველ გვერდზე: თონესთან. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა
მეოთხე გვერდზე: ხალიჩების საქსოვ საამქროში.
ფოტო თ. ფურცხვანიძისა

**ჟურნალ „დროშის" № 7-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი**

ჰორიზონტალურად: 4. ორმო; 6. ტროლეიბუსი; 9. ქონი; 10. კროსვორდი; 12. თეფში; 14. ბადრო; 17. ყელი; 18. ბალი; 20. ბის; 23. სასადილო; 24. ძვალი; 27. რკო; 28. სიცილი; 30. დიპლომი; 33. ქრთამი; 35. მატარებელი.

ვერტიკალურად: 1. ოქრო; 2. ვაი; 3. კომბინაცია; 5. ხე; 7. ობი; 8. ვირი; 9. ქარი; 11. სურდო; 13. ფუნიკულიორი; 14. ბილეთი; 15. ობობა; 16. ლუდი; 19. ლობიო; 21. სტადიონი; 22. ხახვი; 23. საპონი; 25. ლოთი; 26. ოფიციანტი; 29. ნამუსი; 30. „დაისი"; 31. მაგრამ; 32. ცელი; 34. ფუ შენი.

# სხვადასხვა

## უჩვეულო ოპერაცია



შვედ პროფესორს გუნარ ვიბერგს დახმარებისათვის მიმართა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც 2 მეტრი და 28 სანტიმეტრი სიმაღლისა იყო. პაციენტი ჩიოდა, რომ გიგანტური სიმაღლის გამო არ შეეძლო ტრანსპორტით სარგებლობა, ვერც სპექტაკლებს და კინოფილმებს ესწრებოდა, რადგან უკანა რიგებში მსხდომნი ვერაფერს ხედავდნენ.

პროფესორმა ვიბერგმა უჩვეულო ოპერაცია გააკეთა. მან პაციენტს მოხერხა თეძოს და ფეხის ძვლის ნაწილი. დამოკლებული თეძო და ფეხის ძვალი მტკიცედ მიამაგრა ერთმანეთს, როგორც ამას ძვლის გადატეხის დროს აკეთებენ.

„დადაბლებული" პაციენტი ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

## სხვა მზის პლანეტა



ამერიკელმა ასტრონომმა პეტერ ვან დე კემპმა აღმოაჩინა ახალი პლანეტა, რომელიც ჩვენი მზის სისტემის გარეთ იმყოფება. ასტრონომმა დაადგინა, რომ ეს პლანეტა დედამიწიდან დაშორებულია ექვსი სინათლის წლით.

ახლად აღმოჩენილი პლანეტის მასა ერთნახევარჯერ მეტია იუპიტერზე, ჩვენი მზის სისტემის ყველაზე დიდ პლანეტაზე.

## ჰიპერტონია და ელექტრობა



ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ს. გაგომ შეიმუშავა ჰიპერტონიის მკურნალობის ახალი მეთოდი.

პაციენტების მკურნალობა წარმოებს მაღალი სიხშირის დენით. ავადმყოფმა 20-25 პროცედურა უნდა გაიაროს.

დაკვირვებამ ნათელყო, რომ მაღალი სიხშირის დენით მკურნალობის დროს ჰიპერტონიით დაავადებულთა 50 პროცენტს წნევამ მნიშვნელოვნად დაუწია, ანდა ნორმალური გაუხდა.

## თამბაქო და ფეხმძიმე ქალები



ამერიკელი ექიმი ჯეი ზაბრისკი დიდხანს აწარმოებდა დაკვირვებებს ფეხმძიმე ქალებზე, რომლებიც თამბაქოს ეწევიან. ამ დაკვირვების შედეგად ექიმმა დაადგინა, რომ თამბაქოს მწეველ ქალებს ხშირად სწყდებათ ნაყოფი, გარდა ამისა, ისინი უფრო ნაკლები წონის ბავშვებს შობენ, ვიდრე ის ქალები, რომლებიც თამბაქოს არ ეწევიან.

## ავტომანქანის პირველი ნომერი




გერმანელმა რუდოლფ ჰერცოგმა 1901 წელს თავის ავტომანქანას მიამაგრა მსოფლიოში პირველი ნომერი —„ია-1".

როგორც გადმოგვცემენ, რუდოლფ ჰერცოგს გაგიჟებით უყვარდა თავისი ახალგაზრდა ცოლი. მანქანის ნომერზე წარწერილი „ია" მისი მეუღლის იოანა ანკერის სახელისა და გვარის პირველ ასოებს აღნიშნავდა, რიცხვი — „1" კი იმისი მაჩვენებელი იყო, რომ მომხიბვლელი იოანა მანქანის პატრონის პირველი და უკანასკნელი სიყვარული იყო.

## ქორწინება ყვავილებთან



ინდოეთში არსებობს რელიგიური კასტა კადავა კანბი, რომელსაც ერთი მეტად უცნაური კანონი აქვს. მათს ქალიშვილებს გათხოვების ნება თორმეტ წელიწადში ერთხელ ეძლევათ, — ისიც საგანგებოდ შერჩეულ დღეს.

ამ მკაცრი კანონისაგან თავის დასაღწევად ქალიშვილებმა ეშმაკურ ხერხს მიმართეს. ისინი ფორმალურად იწერენ ჯვარს... ყვავილების თაიგულზე. ყვავილების დაჭკნობის შემდეგ ახალგაზრდა ქალი „ქვრივდება". ქვრივს კი ნება აქვს, როცა მოესურვება, მაშინ გათხოვდეს.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-63 წ. გამომც. № 62, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 1601, უე 06538

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნდრე ტორნდაიკი (გდრ)



ანელი ტორნდაიკი (გდრ)



კარმენი (კუბა)



ტატიანა სამოილოვა (სსრკ)



ლია ელიავა (სსრკ)



ჟან მარე (საფრანგეთი)



ლოლიტა ტორესი (არგენტინა)

ТРЕТИЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ КИНОФЕСТИВАЛЬ 1963 МОСКВА

# მესამე საერთაშორისო



ლეილა აბაშიძე და ესტონელი კინომსახიობი ევა კივი.

ფოტო გ. თიკანაძისა.



სალამოს პრეს-ბარში.



მხატვრებიც არ ჰკარგავდნენ დროს



ამერიკელი კინომსახიობები ტონი კერტისი და კრისტინა კაუფმანი.



ქართველ და იტალიელ კინომუშაკთა შეხვედრა.





ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა